

478
1967

საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მინისტროს


საქართველო საბჭოთავო



საქართველოს კვლევითი
კომიტეტის
გამომცემლობა

1967

6



მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ
ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა... ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის
ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყ-
ვეს სოციალიზმის გამარჯვება.

3. 0. ლ 26060



საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომბერი—დეკემბერი

1967 წელი

ბამოცემის XIV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანაარსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო მმართველობის ლენინური პრინციპების ზეიმი	3
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა	10
საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან	13
გ. ინწკირველი — საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე	25
ვ. ჭანია — საბჭოთა დემოკრატიის საწყისებთან	35
ს. როგავა — სოციალისტური კანონიერების ლენინური საფუძვლები	42
ა. შუშანაშვილი — ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა სასამართლოს შექმნა	50
ბ. ფარვიზფუერი — ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა ირანის სუვერენიტეტის აღორძინებისათვის	57
ვ. შანიძე — სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განვითარება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ	63

ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა ხ ა ლ ს ო კ ო მ ი ს რ ე ბ ი

ფ. ლომაშვილი — გ. თ. სტურუა	73
ს. ი. ქავთარაძე	63

მ ო ჯ ი ნ ა ვ ე თ ა კ ო რ ტ რ ა ე ტ ა ბ ი

მ. ვაყელიშვილი — გულის კარნახით	87
---------------------------------	----

მ ო თ ხ რ ო ზ ა

შ. გვეტაძე — ნაპრალი	89
----------------------	----



СОДЕРЖАНИЕ

Торжество ленинских принципов государственного правления	3
Указ Президиума Верховного Совета СССР	10
У истоков правосудия Советской Грузии	13
Г. Инцкирвели — Советское государство к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции	25
В. Чаниа — У истоков Советской демократии	35
Х. Рогова — Ленинские основы Социалистической законности	42
А. Шушанашвили — Октябрьская революция и создание Советского суда	50
Б. Парвизфур — Значение Октябрьской революции в возрождении суверенитета Ирана	57
В. Шанидзе — Развитие судебно-медицинской экспертизы в Грузии после Октябрьской революции	63

НАРОДНЫЕ КОМИССАРЫ ЮСТИЦИИ

Ф. Ломашвили — Г. Ф. Стуруа	68
С. И. Кавтарадзе	79

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

М. Вакелишвили — По зову сердца	87
---	----

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина	89
---------------------------------	----

სარედაქციო კოლეგია

შტკ. № 3836
ტირაჟი 5600
უგ 11587

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 5/X-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-67 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

სახელმწიფო მმართველობის ღენინური პრინციპების ზიიმი

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას, — სოციალიზმს, ახალ სოციალ-ეკონომიურ წყობილებას და მის შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციას — საბჭოთა სახელმწიფოს. საბჭოების რესპუბლიკა არის პირველი არაექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ მშრომელები. საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება გულისხმობს სრულიად ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული მეთოდებითა და ფორმებით.

მმართველობის ორგანოთა ყველა რგოლის ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად დაედო დემოკრატიული პრინციპები, რომელთა შემუშავებასა და დანერგვაში უდიდესი როლი მიუძღვის ვ. ი. ლენინს. ეს პრინციპები წითელი ზოლივით გასდევს მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობას, წარმოადგენს განმსაზღვრელს მის საქმიანობაში.

მმართველობის პრინციპებად იწოდებიან ის ძირითადი, მთავარი მიმართულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის არსს. ასეთ პრინციპებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მუშაობაში წარმოადგენენ: პარტიული ხელმძღვანელობა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, ხალხთა მასების მონაწილეობა მმართველობაში, ერთა თანასწორუფლებიანობა, სოციალისტური კანონიერება და სოციალისტური გეგმიურობა. ეს პრინციპები ჩვენი სახელმწიფოს ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მიმართულებათა გამომხატველია და მეტ-ნაკლები სიმკვეთრით ხორციელდება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველსავე დღიდანვე.

ისინი სულ უფრო სრულყოფილი და ხორცშესხმული ხდებოდნენ სოციალიზმის მშენებლობის კვალობაზე. განსაკუთრებული განვითარება ამ პრინციპებმა ჰპოვეს 1936 წლის კონსტიტუციაში — გამარჯვებული სოციალიზმის ძირითად კანონში.

პროლეტარიატის დიქტატურის საერთო-სახალხო სახელმწიფოში გადაზრდამ გამოიწვია სახელმწიფო მმართველობის ღენინური დემოკრატიული პრინციპების არნახული განვითარება. სახელმწიფო აპარატის ეს დემოკრატიული საწყისები აუცილებელ ელემენტებად იქცნენ საერთო-სახალხო სახელმწიფოს მმართველობის ყველა ორგანოთა საქმიანობაში.

ამ პრინციპების მიხედვით აგებულია საბჭოთა სახელმწიფოს არა მარტო აღმასრულებელ-განმკარგულებელი ანუ მმართველობის ორგანოები, არამედ სახელმწიფო აპარატის სხვა რგოლები და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მმართველობის ღენინური დემოკრატიული პრინციპები კომუნისტური

პარტიის გამოცდილებისა და თეორიული განზოგადების ნაყოფია. ყველა ისინი უკლებლივ დამახასიათებელია თვით პარტიული ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის. სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპები პირველ რიგში შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპებია. აქედან გამომდინარე, განუზომლად დიდია პარტიის როლი სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობის, მისი სწორი და ნორმალური მუშაობის საქმეში.

პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ჩვენს სახელმწიფოში განმტკიცებულია საკანონმდებლო წესით. სსრ კავშირის კონსტიტუციის 126-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სკკპ წარმოადგენს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვს. პარტიის ხელმძღვანელი როლი გაპირობებულია იმით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელი მაღალი დონე მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას, სწორ, დასაბუთებულ მითითებებს ერთი ცენტრიდან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აუცილებელია საბჭოთა აპარატისათვის იმიტომაც, რომ პარტია, როგორც საზოგადოების მოწინავე რაზმი, წინასწარ განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის გზებს და სახავს ამოცანებს ამ მიმართულებით. პარტიის ხელმძღვანელი როლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო აპარატის ნორმალური და თანმიმდევრული მუშაობა კომუნისტური მნიშვნელობის გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

მიუთითებდა რა პარტიის სწორი ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე სახელმწიფო ორგანოთა მუშაობაში, ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავდა: „ჩვენს რესპუბლიკაში არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს არ წყვეტს არც ერთი სახელმწიფო დაწესებულება ისე, თუ პარტიის ცეკას სახელმძღვანელო მითითებანი არ იქნა!“.


ამჟამად განსაკუთრებით გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელობის პრინციპის მნიშვნელობა მმართველობის დღევანდელ ორგანოთა მუშაობაში. ჩვენი პარტია წარმოადგენს მმართველ პარტიას საერთო-სახალხო სახელმწიფოში. მისი რიგები გაზრდილია როგორც მუშათა და გლეხთა კლასების წარმომადგენლებისაგან, ისე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგანაც. კომუნისტების მრავალათასიანი არმია ის ბირთვია, რომელიც ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალას ქმნის. სახელმწიფოს თითქმის ყველა ხელმძღვანელ პოსტზე დღეს მუშაობენ კომუნისტები, რომლებიც თანაბრად ანგარიშვალდებული არიან როგორც პარტიული, ისე წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

არ არის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სკკპ ყურადღების ცენტრში არ იყოს. პარტია ინიციატორია ყველა წამოწყებისა კომუნისტურ მშენებლობაში. „კომუნისტური პარტია, — აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, — ...დაუფლებულია საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უზრუნველყოფს კომუნისტური მშენებლობისათვის მთელი მუშაობის სწორ ხელმძღვანელობას, აძლევს მას ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ სასიათს“¹.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა მოითხოვს შრომის ნაყოფიერების შემდგომ წრდას, მეურნეობის ახალი დარგების განვითარებას, ტექნიკური მიღწევების ცხოვრებაში დანერგვას, მაღალკვალიფიციური სპეცი-

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 39.

2. სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962, გვ. 525.



ალისტების მომზადებას, სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე ორგანიზატორული ხელმძღვანელობის მაღალ ღონეზე დაყენებას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში, პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შემდგომი ამაღლების ვითარებაში.

პარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიმართ ვლინდება სხვადასხვა ფორმებში. მათგან მეტად მნიშვნელოვანია პარტიული დირექტივები.

თავის ყრილობებზე და პლენუმებზე პარტია შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის თუ სოციალ-კულტურული მშენებლობის განვითარების დირექტივებს. პარტიის მიერ დასახული, მეცნიერულად დასაბუთებული ეს ამოცანები განსაზღვრავენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მუშაობის ძირითად მიმართულებებს. სახელმწიფო მმართველობის ძირითადი შინაარსი სწორედ პარტიის პოლიტიკის გატარებაში გამოიხატება.

ამდენად, პარტიულ დირექტივებს დიდი მათრგანიზებელი ძალა აქვს. იგი სავალდებულოა არა მარტო პარტიის ყველა წევრისათვის, არამედ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს ყველა მშრომელში და მთელი ხალხის ღვიძლ საქმედ იქცევა.

ზოგიერთ მნიშვნელოვან სამეურნეო და სოციალ-პოლიტიკური მშენებლობის საკითხზე მიიღება პარტიისა და მთავრობის ერთობლივი დადგენილება. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი აქტი თანაბრად სავალდებულოა როგორც პარტიული, ისე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის.

არ ცვლიან რა სახელმწიფო ორგანოებს, პარტიული ორგანოები თავიანთი ხელმძღვანელობის ძირითად ამოცანას იმაში ხედავენ, რომ სწორად და განუხრავლად ტარდებოდეს ცხოვრებაში მმართველობის ლენინური დემოკრატიული პრინციპები. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი სახელმწიფო მმართველობის სხვა პრინციპების საფუძველია.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში არნახულ გაფურჩქნასა და განვითარებას მიაღწია მართველობის ყველა ლენინურმა პრინციპმა. მათ შორის უნდა აღინიშნოს დემოკრატიული ცენტრალიზმის ყოველმხრივ გაშლა სახელმწიფო მმართველობაში.

დემოკრატიული ცენტრალიზმი გულისხმობს ადგილობრივი თავისებურებების, ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედების მაქსიმალურ განვითარებას ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პირობებში. ვ. ი. ლენინი ასე განმარტავდა ამ პრინციპს: „დემოკრატიულ და სოციალისტურ ცენტრალიზმთან საერთო არაფერი აქვს არც გაშაბლონებას და არც ერთფეროვნების დამყარებას ზემოდან. ერთიანობას ძირითადში, მთავარში, არსებითში კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს მ რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ი ბ ა წვრილმანებში, ადგილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი მი დ გ ო მ ი ს ხერხებში, კონტროლის განხორციელების საშუალებეებში...“³

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი საფუძვლად უდევს მთელ ჩვენს ფედერაციულ სახელმწიფო წყობილებას, თითოეული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობას. მაგრამ, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს იური-

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 26, გვ. 480.



დიულ ლიტერატურაში, ამ პრინციპს აქვს თავისი სპეციფიკური გამოვლინება სახელმწიფო მმართველობაში⁴. ამ სფეროში ეს პრინციპი განსაკუთრებით გამოვლინდება ისეთ ორგანიზაციულ ფორმებში, როგორცაა ორმაგი დაქვემდებარება, კოლეგიალობა და ერთმმართველობა.

ორმაგი დაქვემდებარების თვალსაზრისით დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპმა შემდგომი განვითარება პოვა ჩვენს ქვეყანაში იმ გაგებით, რომ განმტკიცდა ორგანოთა ვერტიკალური დაქვემდებარება მმართველობის დარგობრივ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს გაიზარდა წარმომადგენლობითი ორგანოების როლი მმართველობის ორგანოთა კონტროლისა და შემოწმების საქმეში.

ახალი ეკონომიური რეფორმის გატარებამ უზრუნველყო ჩვენი საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობის განმტკიცება, მათი ინიციატივის ზრდა, მაღალი მაჩვენებლებისათვის მატერიალური სტიმულირება, მაგრამ ამავე დროს გაზარდა მათი პასუხისმგებლობა გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის. ზუსტად განსაზღვრა სამინისტროების კომპენტენცია ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრისა და საწარმოო პროცესების საერთო ხელმძღვანელობის საქმეში.

საგრძობლად გაიზარდა წარმომადგენლობითი ორგანოების როლი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სწორი განვითარების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ზელისუფლების ორგანოები პერიოდულად ისმენენ ანგარიშებს მმართველობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობის შესახებ, სახავენ ამოცანებს ნაკლოვანებათა ამოსასწორებლად.

კონტროლის მეტი ეფექტურობისა და მმართველობის დარგებთან უშუალო ყოველდღიურ კავშირში ყოფნის მიზნით სსრ კავშირის ზელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მასშტაბით, შეიქმნა დარგობრივი მუდმივი კომისიები, რომელთა წევრები ამოწმებენ მეურნეობის შესაბამის დარგებს და აყენებენ წინადადებებს საბჭოების სესიებზე სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. ამით კიდევ უფრო მტკიცდება ზელისუფლების ორგანოთა საკონტროლო ფუნქციები, მათი უშუალო მონაწილეობა სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ორმაგ დაქვემდებარებასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფოში განვითარება პოვა კოლეგიალობამ და ერთმმართველობამაც. „საბჭოთა დაწესებულებებში მმართველობის ყველა საკითხის კოლეგიალურ განხილვას და გადაწყვეტას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თან უნდა სდევდეს როგორც გნებავთ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი ყოველი პირის უაღრესად ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული, ნათლად და მკვეთრად შემოფარგლული დავალებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისათვის“⁵.

ლენინის ეს მოთხოვნა სრულ განხორციელებას პოულობს მმართველობის ორგანოთა მუშაობაში. კოლეგიალური განხილვა და გადაწყვეტა ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს პრინციპადაა გამოცხადებული. არ არსებობს არც ერთი ორგანო, დაწესებულება თუ საწარმო, სადაც კოლექტიურ აზრს, კოლეგიალურად საქმის გადაწყვეტას უპირატესობა არ ქონდეს.

გაზრდილია სამინისტროების კოლეგიების ფუნქციები და როლი, ყველა

⁴ Ц. А. Ямпольская. О принципах государственного управления в СССР, жур. «Советское государство и право», 1967, № 3, стр. 7.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 433



მნიშვნელოვანი საკითხი სამინისტროს ცხოვრებაში კოლექტივის მსჯელობის საგანია. დიდად გაიზარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოო თათბირების მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. უწყების ხელმძღვანელები, ერთპიროვნული მმართველები ვიდრე საკითხს გადაჭრიდნენ ეთათბირებიან მშრომლებს ამოცანების განხორციელების გზების გამოძებნაში, იწვევენ საწარმოო თათბირებს, გააქვთ საკითხები კონფერენციებზე.

დიდად გაიზარდა უმაღლესი და ცენტრალური მმართველობის ორგანოთა ისეთი პრაქტიკის მნიშვნელობა, როცა საკითხების გადაწყვეტამდე ისინი ეთათბირებიან ხალხს, არკვევენ მათ სურვილებსა და მიზნებს. პარტია და მთავრობა, ვიდრე საკითხებს კონკრეტულად გადაწყვეტდეს, ხშირად საჯარო პაექრობაზე გამოაქვთ ისინი, აქვეყნებენ პრესაში და საყოველთაო-სახალხო განხილვის საგნად აქცევენ.

მაგრამ საკითხების კოლექტიურად გადაწყვეტასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მუშაკთა ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ამასთან ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონე მოითხოვს ერთპიროვნული ხელმძღვანელისადმი მკაცრ დამორჩილებას, მისი მითითებების ზუსტად და განუხრელად შესრულებას. სხვაგვარად შეუძლებელია უხელმძღვანელო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ წარმოებას დღევანდელ პირობებში. ამიტომაც, რომ პარტია თავის XXIII ყრილობაზე ხაზს უსვამდა თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებას თავის სამუშაო უბანზე.

მმართველობის დარგობრივ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით განვითარდა და სრულყოფილი გახდა ერთმმართველობა. ჩვენს სამინისტროებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი, საქმის მცოდნე პირები, რომელთა მაღალი ორგანიზატორული ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სწრაფ განვითარებას. პარტია მოითხოვს, რათა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელები მუშაკები იყვნენ კარგი ორგანიზატორები, საქმის მცოდნენი, დისციპლინირებულნი, მაგრამ ამავე დროს მომთხოვნი, ერთპიროვნული გამგებელნი, კოლექტიური აზრისადმი ანგარიშის გამწვევნი. ერთმმართველობისა და კოლექტივობის ურთიერთშეხამება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მუშაობის არსებითი ნიშანია.

დიდი სრულყოფა და განვითარება პოვა სახელმწიფო მმართველობაში ხალხთა მასების მონაწილეობის პრინციპაც. მმართველობის ეს პრინციპი ერთ-ერთ აუცილებელ ნიშნად იქცა ჩვენს სახელმწიფოსათვის. კომუნისმის მშენებლობა თვით ხალხის საქმეა, და აქედან გამომდინარე საერთო-სახალხო სახელმწიფოს მმართველობაში მასების მონაწილეობა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია: „სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სკლმძღვანელობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის გაძლიერება — ასეთია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულება კომუნისმის მშენებლობის პერიოდში“.



სახელმწიფო მმართველობაში ხალხთა მასების მონაწილეობის ფორმები მრავალფეროვანია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: საბჭოთა მოქალაქეთა ინდივიდუალური მონაწილეობა მმართველობაში, მშრომელთა კოლექტივების, თვითმოქმედი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში.⁷ ყველა ეს ფორმა განვითარებასა და სრულყოფას განიცდის ჩვენს სახელმწიფოში. ისინი ქმნიან აუცილებელ პირობებს მმართველობის ორგანოთა სწორი მუშაობისათვის.

მშრომელთა მასების მმართველობაში მონაწილეობის დასახელებული ფორმებიდან უნდა აღინიშნოს მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მუშაობაში. დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მრავალრიცხოვანი თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობენ მმართველობის ორგანოებთან და გადაამწყვეტ როლს თამაშობენ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში.

ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა მმართველობის ისეთ დარგებში, როგორცაა საყოფაცხოვრებო-კულტურული მშენებლობა. ამ სფეროებში შექმნილი მრავალრიცხოვანი კომიტეტები, კომისიები, საზოგადოებრივი საბჭოები და სხვ. დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფო მმართველობის ამოცანების განხორციელებაში. ასეთ თვითმოქმედ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეამოწმონ შესაბამისი დაწესებულების მუშაობა, დასვან საკითხი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებლად, უშუალოდ მიიღონ ზომები მათი ლიკვიდაციისათვის, გამოიყენონ და განაზოგადონ მოწინავე გამოცდილება. ისინი ცხოვრების საქმის კურსში არიან და უდიდეს დახმარებას უწევენ მმართველობის ორგანოებს. საბჭოთა სახელმწიფო კვლავ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მშრომელთა თვითმოქმედ ორგანიზაციებს მმართველობაში ჩასაბმელად.

შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი სახელმწიფო მმართველობაში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პროფკავშირების გაზრდილი უფლებები. ისინი უშუალოდ ახორციელებენ შრომის კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობის მთელ ფუნქციას, მონაწილეობენ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავებაში, თანაბარი უფლებით სარგებლობენ ადმინისტრაციასთან ერთად მთელი რიგი მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაში. სახელმწიფო ცდილობს ზოგიერთი ფუნქცია, რომელიც მმართველობის ორგანოს ახასიათებს გადასცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც წარმატებით წარუძღვება მინდობილ საქმეს (მაგ., სპორტის საქმეს დღეს განაგებს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციათა საკავშირო ფედერაცია). მომავალში კიდევ უფრო გაიზარდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში, ვინაიდან ეს არის საწინდარი კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში გადასვლისა.

სახელმწიფო მმართველობის პრინციპები ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს ავსებენ. მმართველობის პრინციპების სწორი და თანმიმდევრული დაცვა უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის აპარატის ნორმალურ მუშაობას. ეს ითქმის არა მარტო ზემოაღნიშნულ პრინციპებზე, არამედ სხვა ისეთებზედაც, როგორცაა: ეროვ-

⁷ Ю. А. Козлов, Ленинский принцип участия трудящихся в советском государственном управлении, изд. МГУ, 1962, стр. 63.

საქართველო
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ნებათა თანასწორუფლებიანობა, სოციალისტური კანონიერება და გეგმიურობა ეს უკანასკნელი სამი პრინციპი კომუნისმის მშენებლობის პერიოდში დიდ როლს ასრულებენ მმართველობის ორგანოთა მუშაობაში, სულ უფრო მდიდარი შინაარსისა და სრულყოფილი ხდებიან. კერძოდ, ეროვნული თავისებურების გათვალისწინებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობით შედიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობათა თავმჯდომარეები. ვარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილია მოკავშირე რესპუბლიკების მუდმივი წარმომადგენლობა, რომელიც ხელს უწყობს ნაციონალურ თავისებურების გათვალისწინებას მმართველობის უმაღლესი ორგანოს მუშაობაში. ამ პრინციპის დაცვაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა სახელმწიფო აპარატში მუშაობა ხელმისაწვდომია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ეროვნების განურჩევლად და სხვ.

ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი კონკრეტულად ჩამოთვლილ ფორმებში დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობისათვის, რომელიც ეყრდნობა თავისუფალ საბჭოთა ერთა სუვერენულ თანასწორუფლებიანობას. ამიტომ ფედერალიზმისა და ავტონომიის საფუძველზე შექმნილი ჩვენი სახელმწიფო წყობილება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებად სახელმწიფო მმართველობაში, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი თვლის⁸. საბჭოთა სახელმწიფო წყობილება საფუძველია სახელმწიფო მმართველობისა და ამავე დროს წარმოადგენს ერთა თანასწორუფლებიანობის ზოგადი პრინციპის განსახიერებას, რასაც სახელმწიფო მმართველობაში კონკრეტული გამოხატულება აქვს.

რაც შეეხება სოციალისტური კანონიერების პრინციპს სახელმწიფო მმართველობაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ განმტკიცდა თვით მმართველობის ორგანოთა საზედამხედველო ფუნქციები სოციალისტური კანონიერების დაცვაზე. შეიქმნა მტკიცე სისტემა ისეთი ორგანოებისა, რომელთა უშუალო დანიშნულებაა ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლა, საზოგადოებრივი წესრიგისა და მართლწესრიგის განმტკიცება. ამ საქმეში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრიობის მონაწილეობას, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებას დამრღვევთა გამოსწორებისა და აღზრდისათვის.

როგორც პარტიის პროგრამაშია აღნიშნული, ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარება იქეთვე მიდის, რომ უნდა შემცირდეს ადმინისტრირების მეთოდების გამოყენება და გაიზარდოს დარწმუნების, შთაგონების, მაგალითის მიცემის ფორმების მოქმედების არე. ასეთი გეზი სოციალისტური კანონიერების დაცვის საიმედო გარანტიაა.

სოციალისტური კანონიერების დაცვის მოთხოვნების გაზრდა, ისევე როგორც გეგმიურობისა და სახელმწიფოებრივ დისციპლინის ამოღება, აუცილებელი ნიშანია სახელმწიფო მმართველობის აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში, აუცილებელი პირობაა დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

სახელმწიფო მმართველობის ლენინური დემოკრატიული პრინციპები აყვავებასა და გაფურჩქნას განიცდიან. ისინი ამზადებენ პირობებს სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს დონეზე აყვანისა და კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნისათვის.

⁸ Административное право, учебник, М., 1967, გვ. 58.

ზ რ ძ ა ნ ე გ უ ლ ე გ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით

ამნისტიის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შესაძლოდ მიაჩნია გამოიყენოს ამნისტია იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, და სამაგალითო საქციელით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი მისწრაფება გამოსყიდონ დანაშაული საზოგადოების წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი ორ წლამდე ვადის ჩათვლით ან ის პირნი, რომლებსაც მიესაჯათ სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

2. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი ხუთ წლამდე ვადის ჩათვლით:

ა) პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით საბჭოთა სამშობლოს დასაცავად საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ომის ინვალიდები;

ბ) ქალები, რომლებსაც ჰყავთ 17 წლამდე ასაკის შვილები, და ორსული ქალები;

გ) 65 წელზე უხნესი კაცები და 55 წელზე უხნესი ქალები;

დ) პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 16 წლამდე ასაკში;

ე) პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს გაუფრთხილებლობის გამო;

3. სანახევროდ შეუმცირდეთ სასჯელის ის ნაწილი, რომელიც არ მოუხდიათ ამ კანონის ძალაში შესვლის დღემდე, პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ორ წელზე მეტი ხნის ვადით.

4. წარმოებით შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმე და სასამართლოების მიერ განუხილველი საქმეები ამ ბრძანებულების გამოცემამდე ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების

ადკვეთის სახით ორი წლის ვადამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე საქმეები დანაშაულობათა შესახებ, რომლებსთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ხუთი წლის ვადამდე ჩათვლით, რაც ჩაიდინეს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

იმ საქმეების გამო დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც ჩადენილია ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე, რომლებსთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ხნით, აგრეთვე დანაშაულობათა შესახებ, რომლებსთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ხნის ვადით, რომლებიც ჩაიდინეს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა, საკითხს ამნისტიის გამოყენების შესახებ წყვეტს სასამართლო ამ ბრძანებულების 1, 2 და 3 მუხლების შესაბამისად.

5. სასჯელის დამატებითი ზომებისაგან გადასახლებისა და გასახლების სახით განთავისუფლდნენ პირები, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ ბრძანებულების 1, 2 და 3 მუხლებში.

6. ამნისტია გამოყენებული არ იქნეს იმ პირთა მიმართ:

ა) რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულთათვის, რომლებიც გათვალისწინებულია „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14, მე-14¹, მე-15, მე-16, მე-17, 23-ე, 24-ე და 25-მუხლებით, „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, მე-4 მუხლით, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-11 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით, მე-13 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-19 მუხლის „ე“ პუნქტით, 21-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით;

ბ) რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა განზრახი მკვლელობა, საჭირო დაცვის ფარგლების გადამეტებისა თუ ძლიერი სულიერი მღელვარების დროს მკვლელობის გარდა; განზრახი მძიმე სხეულის დაზიანება, საჭირო თავდაცვის ფარგლების გადამეტების ან ძლიერი სულიერი მღელვარების დროს მიყენებული დაზიანების გარდა, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა; გაუპატიურება; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, რაც ჩადენილია განმეორებით ან დიდი თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა მტაცებლობა; ყაჩაღობა; ძარცვა; მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა განმეორებით ჩადენილი; ქრთამის მიღება, ქრთამის მიცემა, ან შუამავლობა მექრთამეობაში; ბოროტი ხულიგნობა; ისეთი ჯგუფური მოქმედების ორგანიზაცია ან აქტიური მონაწილეობა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, გასაღება ან გასაღების მიზნით შექმნა; არასრულწლოვანთა ჩათრევა დანაშაულებრივ საქმიანობაში;

გ) რომლებიც აღიარებული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე წინათ მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათ-



ვის და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ სასჯელი სუფლების აღკვეთის სახით;

დ) რომლებიც წინათ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის სრულ მოხდამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლეს ამნისტიით, შეწყალების წესით, პირობით-ვადამდე ან სხვა საფუძველზე და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ე) რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს.

7. განთავისუფლდნენ სახდელის ზომებისაგან პირები, რომლებმაც ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს გადაცდომა, რაც ადმინისტრაციული წესით ისჯება, იმ პირობით, თუ ისინი სამაგალითოდ იქცევიან და პატიოსნად ეკიდებიან შრომას.


8. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. კოლკოზნი.**


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1967 წლის 31 ოქტომბერი.

საქართველოს 50 წლისათვის



საბჭოთა საპარტველოს მკათდმსაჯუდების სათავეებთან*



ღეკრბბი

საპარტველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭოსი.

კარძო მფლობელოგის სახლბზი სასოვრბეალი საღოგის შესახებ.

1922 წ. მისის 17 თარღისა და მე-4 № დეკრეტის გასაუქმებლად, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში სახლის პატრონთა მფლობელობასა და განკარგულებაში არის ყველა სახლი, გარდა:

- ა) მუნიციპალიზაციაქმნილი და
- ბ) სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული სახლებისა.

2. სახლის პატრონი ვალდებულია განაგოს თავისი სახლი პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით, აწარმოოს სახლის საჭირო შეკეთება და შეასრულოს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრაციული ხასითისა.

3. პატრონს აქვს უფლება სახლის განსხვებებისა ყოველგვარი კანონიერი წესით, იჯარით გაცემისა და აგრეთვე ბინების გაქირავებისა.

4. ადგილობრივ კომუნალურ განყოფილება, — კატეგორიის პირთ (მუხ. 8) ბინებით დასაკმყოფილებლად, — შეუძლიან მფლობელთა სახლებში აიღოს აღნუსხვაზე საერთო საცხოვრებელი სივრცის არა უმეტეს 25 პროცენტისა, შემდეგ ქალაქებში: თბილისსა, ბათუმსა, ქუთაისსა, გორსა და ჭიათურაში, დანარჩენ ქალაქებში არაუმეტეს 15 პროცენტისა.

შენიშვნა: იმ სახლებში, სადაც ამ ნორმით ბინები უკვე უჭირავთ I კატეგორიის პირთა გადამხდელებს, სხვა დანარჩენი საცხოვრებელი სივრცე გათავისუფლებულია აღნუსხვისაგან და სახლია პატრონს შეუძლიან დაქირავოს თავისუფალი შეთანხმებით.

5. ყველა, ვისაც უჭირავს ბინა, იქნება ის კერძო პირი, საზოგადო თუ საბჭოთა დაწესებულება, ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის პატრონი ბინის ქირით.

6. I კატეგორიის პირთა საცხოვრებელი ბინისა და საბჭოთა დაწესებულებების მიერ დაჭერილი სადგომების ქირის ტარიფიკაციის საერთო ნორმებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებისთვის შეიმუშავენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისარტა საბჭო.

საცხოვრებელი სივრცის ნორმად თვითეულ სულზე დაწესებული იქნეს 25 კვ. არშინი ყოველი მოქალაქისათვის გამოუნაკლისად.

* გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1967 წ. № 2, № 3, № 5.



შენიშვნა: ნორმის გარეშე ერთი კაბინეტის (სივრცით არა უმეტეს 30 კვ. არშინისა) დაქუერის უფლება აქვს საბჭოთა პასუხისმგებელ მომუშავეს, პროფესორს, მოპრაქტიკე ექიმს და აგრეთვე საბჭოთა სამსახურში მყოფ ინჟინერს.

8. საბინაო-ქირის გადახდის მიხედვით მდგმურები განიყოფებიან ორ კატეგორიად:

I-ლი კატეგორია: ა. (სახელმწიფო-საზოგადო და კერძო დაწესებულების წარმოების მუშა-მოსამსახურე, თუ იგი ითვლება პროფესიონალური კავშირის წევრად და არა აქვს რაიმე გარეშე შემოსავალი. აგრეთვე წითელ არმიელი და ყველა ზემოხსენებულ პირთა ოჯახის წევრნი, უკეთუ იგინი მათ რჩენა-მზრუნველობაზე იმყოფებიან.

ბ) ის პირი, რომელსაც დაუქარავს სამუდამოდ შრომის უნარი სამხედრო ან შრომის ფრონტზე და აგრეთვე ის, ვინც სოციალურ მზრუნველობაზე იმყოფება.

გ) ის უმუშევარი, რომელიც აღნუსხულია და სარგებლობს სოციალური დაზღვევის უფლებით.

დ) სახელმწიფო სასწავლებლის ღარიბი მოსწავლე, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს — არა მშობლებთან, უკეთუ იგი წარუდგენს სათანადო სასწავლებლის სპეციალურ მოწმობას სიღარიბის შესახებ.

მე 2-ე კატეგორია. ყველა დანარჩენი მოქალაქე.

9. I-ლი კატეგორიის პირთათვის საბინაო ქირას აღნიშნული საერთო ნორმის ფარგლებში (მუხ. 6) აწესებს სათანადო ქალაქისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.

10. ყველ აღნარჩენი მოქალაქე, ბინის ქირას გადახდის სახლის პატრონთან შეთანხმებით.

11. მიმდინარე თვის ბინის ქირა I-ლი კატეგორიის პირს შეაქვს არა უგვიანეს თვის დასასრულისა, მე 2-ე კატეგორიის პირს კი შეაქვს ყოველი თვისათვის წინდაწინვე, უკეთუ მის და სახლის პატრონს შორის ამის შესახებ რაიმე სხვაგვარი შეთანხმება არ მომხდარა.

12. მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

13. I-ლი კატეგორიის პირის გამოსახლება შეიძლება შემდეგ შემთხვევაში:

ა) სახლის პატრონის ბინის ქირით დაუკმაყოფილებლობის გამო.

ბ) ბინისადმი ცუდად მოპყრობისათვის, რაც გამოიწვევს მის დაზიანებასა და გაბინძურებას.

გ) ისეთი პირობების შექმნა, რაც შეუძლებლად ხდის სხვებთან ერთად ცხოვრებას სახლში და სხვა.

შენიშვნა: საბინაო ქირის ზემოაღნიშნულ ვადაზე გადაუხდელობის გამო I-ლი კატეგორიის პირი სახალხო სასამართლოს დადგენილებით შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ბინიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გადაუხდელობა არ იყო გამოწვეული სამსახურებრივ ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობით, ან სხვა რამე მიზეზით, რაც სასამართლოს მიერ პატივსაღებად იქნება ცნობილი.

14. მეორე კატეგორიის პირის გამოსახლება, მე-13 მუხლში მოხსენებულ შემთხვევების გარდა, შესაძლებელია აგრეთვე სახლის პატრონთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის გამო, უკეთუ ხელშეკრულებაში მოხსენებულია გამოსახლება, როგორც მისი დარღვევის შედეგი:

შენიშვნა: უკეთუ სახლის პატრონსა და მეორე კატეგორიის პირს შორის, რომელიც უკვე ცხოვრობს სახლში, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, ბინის ქირას განსაზღვრავს სახალხო სასამართლო გარემოებათა მიხედვით, — არა უმეტეს ომამდე არსებული ქირის რაოდენობისა, ამასთანავე ბინისათვის — იმავე რაიონში (ბინებზე გამოანგარიშებით).

15. დეკრეტი ესე ძალაში, შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ს. ქავთარაძე

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი: ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ალ. სალარაძე.

1922 წ. მაისის 2

თბილისი-სახალხო

(„ტრიბუნა“ 1922 წ. № 228)

დადგენილება № 16

საპარტეზლოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ


საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადგენა შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

2. ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადება შეუძლიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო არა სამაზრო ქალაქებში — ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. ადმინისტრაციული წესით დაიდება შემდეგი სასჯელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე,



ბ) თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი სა-
მუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე.

გ) ჯარიმა არა უმეტეს ათი მილიონი მანეთისა,
რომელიც შეიცვლება იძულებითი მუშაობაზე
ორ თვემდე, იმ შემთხვევაში, უკეთეს სასჯელ-
დადებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

4. დადგენილება ადმინისტრაციული წესით
სასჯელის სადგების შესახებ უნდა ჩაიწეროს
ოქმში, სადაც აღინიშნება სახელდობრ ვის, რა
საფუძვლით, რა სავალდებულო დადგენილების
დარღვევისათვის და რა სასჯელი დაედო; ამ
დადგენილების ასლი უნდა ეცნობოს დასჯილს.

5. ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში
მიცემა შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავ-
ლობაში სავალდებულო დადგენილების დარ-
ღვევის დღიდან.

6. ის პირი, რომელიც რაიმე დანაშაულობი-
სათვის სასამართლოს წესით იქნება პასუხისგე-
ბაში მიცემული, არ შეიძლება იმავე მოქმედე-
ბისათვის ადმინისტრაციული წესით დაისჯოს.

7. დადგენილება ადმინისტრაციული წესით
სასჯელის დადების შესახებ შეიძლება სათანა-
დო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით
განსაზივრებული იქნეს შინაგან საქმეთა სა-
ხალხო კომისარიატში შვიდი დღის ვადაზე აღ-

მინისტრაციული წესით სასჯელის დადების შე-
სახებ დადგენილების ასლის ჩაბარების დღი-
დან.

8. არაკანონიერად და წინააღმდეგად აღ-
მინისტრაციულის წესით სასჯელის დადებას
თან სდევს არა მარტო სასჯელის დადების გა-
უქმება, არამედ ამ საქმეში დამნაშავე თანამდე-
ბობის პირის სამართალში მიცემაც, როგორც
სასჯელ-დადებულ პირთა საჩივრით, ისე მე-
თვალყურეობის წესით.

9. რაიმე სავალდებულო დადგენილებით ის-
ეთი ადმინისტრაციული სასჯელის დადება
რომელიც ამა დადგენილებით გათვალისწინე-
ბული არ არის, — არ შეიძლება.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღი-
დან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რე-
სპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე: ს. ქავთარაძე
სახალხო კომისართა საბჭოს

მდივანი: ალ. სარალიძე.

1922 წ. მაისის 2. თბილისი-სასახლე.

(გზ. „ტრიბუნა“ 1922 წ. № 208).

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საპარტვილოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საპარტვილოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან
მყოფ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა შესახებ.

1921 წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 პ-ით გამოცემული დეკრეტის
26 და 27 მუხლის გასაუქმებლად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რეს-
პუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს
სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან ჩათვლება ის პირი,
რომელსაც თავისი მთავრობის სახელით მიცემული ექნება სათანადო რწმუნე-
ბის გრამოტა, საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური ფუნქციების შესას-
რულებლად, და რომელიც ამ მიზნით იქნება მოსული საქართველოს ტერიტო-
რიაზე — საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმე-
თა სახალხო კომისარიატისა და უცხო სახელმწიფოს მთავრობას შორის ჯერო-
ვანი ურთიერთმიმართვის შემდეგ.

2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან
მყოფ დიპლომატიური კორპუსის შედგენილობაში, დიპლომატიური წარმო-
მადგენლობის მეთაურის გარდა, შევლენ ის პირნი, რომელთა შესახებ მოხდება
შეთანხმება სათანადო დიპლომატიურ წარმომადგენლობისა და გარეშე საქმეთა
სახალხო კომისარიატს შორის.

3. დიპლომატიურ წარმომადგენელს და დიპლომატიური კორპუსის წევრს
აქვს შემდეგი უფლება და უპირატესობა:



ა) პირადი შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება სხენებულ პირთა შეპყრობა არც ადმინისტრაციული და არც სასამართლოს წესით;

ბ) კერძო ბინისა და სამსახურო კანცელარიის შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება აღნიშნული სადგომის გაჩხრეკა, დათვალიერება და დაბეჭდვა, თუ ამის შესახებ თანახმა არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომლისგანაც საჭირო შემთხვევაში ეს თანხმობა გამოთხოვილი უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით;

გ) უფლება, რომლის ძალითაც იგი არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას, არც სისხლის სამართლის და არც სამოქალაქო საქმეებში, რის გამოც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო საწარმოებლად არ მიიღებს მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსა და სარჩელს, არამედ გადასცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალება ყოველგვარი დონისძიების მიღება დიპლომატიური გზით დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად.

დ) განთავისუფლდება ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი, პირადი, ნატურალური და ფულადი ბეგარისაგან.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული უფლება ვრცელდება აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლისა და დიპლომატიური კორპუსის წევრის ცოლსა და შვილზე, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი.

4. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს, მე-3 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარდა ეკუთვნის:

ა) უფლება დაუბრკოლებელი მიმართვისა თავისი მთავრობისადმი და სხვა სახელმწიფოში მყოფ მის დიპლომატიურ წარმომადგენლობისადმი ღია და შიფრიანი დეპეშების გაგზავნით და აგრეთვე დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით.

ბ) უფლება კერძო და სამსახურო სადგომებზე, აგრეთვე, მიმოსვლისათვის მის მიერ ხმარებულ საშუალებებზე თავისი ქვეყნის დროშის აღმართვისა.

5. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან მე-3 და მე-4 მუხლში ჩამოთვლილი უფლებანი გაავრცელოს იმ უცხოელებზედაც, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მოვლენ განსაკუთრებული პოლიტიკური მისიის განსახორციელებლად, აგრეთვე იმათზედაც, ვინც უცხო სახელმწიფოთა დადებულ განსაკუთრებულ შეთანხმების ძალით უნდა შეასრულოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატიური ფუნქციები, თუნდაც ოფიციალური დიპლომატიური წოდებაც არა ჰქონდეს. ამ შემთხვევისათვის აღნიშნულ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა მისცეს სათანადო მოწმობა.

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ დიპლომატიური წარმომადგენელი, ან თითონ მარტო, ან მისიის მთელ შემადგენლობასთან ერთად, დააპირებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკიდან წასვლას, იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცემს თავის გაწვევის გრამოტას და მიიღებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან პასპორტს საზღვარგარეთ წასასვლელად, ამასთანავე რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლამდე, როგორც თითონ იგი,

ისე მე-2 მუხლში დასახელებული მისი თანმხლებელნი, სარგებლობენ ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული ყველა უფლებით.

7. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: **ს. ქავთარაძე.**
გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი: **ალ. სვანიძე.**
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: **ალ. სალარიძე**
1922 წ. აპრილის 29. თბილისი — სასახლე.
(ბაზ. „ტრიბუნა“ 1922 წ. № 209).

დებულება

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან გყოვ
შტრო სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენლების შესახებ

1921 წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 ნომრით გამოცემული დეკრეტის 28 მუხლის
შეცავდელად საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღ-
გენს:

1. უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენლად (გენერალურ კონსულად, კონსულად, ვიცე-კონსულად, საკონსულო აგენტად) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, ვინც თავისი მოვალეობის აღსასრულებლად ჭეროვან დასტურს (ეგზეკვატურას) მიიღებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისაგან გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. საკონსულო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ურთიერთ მიმართვა, მათი სამყოფელი ადგილის განსაზღვრა, საკონსულო დაწესებულების მოსამსახურეთა შედგენილობა, კონსულების სამსახურებრივი მოქმედება, დროებითი მოადგილეობისა და საქართველოს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულების ურთიერთ მიმართვა წარმოებულ უნდა იქნეს იმ წესით, რომელსაც ამისათვის გამოსცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს აქვს შემდეგი უფლება:

ა) საკონსულო წარმომადგენლის პირადად დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის წესისამებრ; მისი წინასწარი დაპატიმრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის წინააღმდეგ აღძრული იქნა სასამართლოს დევნა ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც ექვემდებარება რევოლუციონურ ტრიბუნალის ან სახალხო სასამართლოს — ექვსი მსჯელობის შედეგისა.

ბ) საკონსულო წარმომადგენელი უწყესო მოქმედებისა ან თავის სამსახურებრივი რწმუნებულობის გადამეტებისათვის არ ექვემდებარება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებას. ყოველი ასეთი მოქმედების შესახებ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ადგილობრივმა დაწესებულებამ, აგრეთვე ამ მოქმედებისაგან დაზარალებულმა კერძო პირმა უნდა აცნობოს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს საქმის დიპლომატიური გზით წარსამართავად.

გ) საკონსულო წარმომადგენელი თავისუფალია ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირადი და ნატურალური ბეგარისაგან.


დ) საკონსულო კანცელარია, რომელიც მოთავსებულია და ინახება კონსულის კერძო ქონებისა და პირადი მიწერ-მოწერის გარეშეთ — თუნდაც იმავე ბინაზედაც იყოს, — არ შეიძლება გაჩხრეკილი, დათვალიერებული ან დაბეჭდილი იქნეს საქართველოს ხელისუფლების აგენტების მიერ კონსულის დაუთანხმებლად, — მაგრამ ამასთანავე საკონსულო კანცელარია არ უნდა გადაიქცეს თავშესაფარად იმ პირთა და საგნებისათვის, რომელთაც კანცელარიასთან კავშირი არა აქვთ; — უკეთუ ეს უკანასკნელი წესი დარღვეული იქნა, გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის თანხმობით.

ე) კონსულს ნება ეძლევა საკონსულო შესავალ კარებზე გამოჰილოს ჯარი თავისი სახელმწიფოს დეზრით და ზედ წარწერით. „ამა და ამ სახელმწიფოს საკონსულო (გენერალური საკონსულო, ვიცე-საკონსულო, საკონსულო, სააგენტო) და თავისი ეროვნული დროშა.

2. საბჭოთა სამართალი № 6.

10471





4. ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული გამოწვევის გარეშე, საკონსულო წარმომადგენელი ემორჩილება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა კანონმდებლობას.

5. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: ს. ჭავჭავაძე.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი: ალ. სვანიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 29. თბილისი — სასახლე.

(ბაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. № 211).

დადგენილება № 16

სრულიად საპარტიველო საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ამნისტრიის შესახებ

დიდი პროლეტარული რევოლუციის ხუთი წლის შესრულების აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი სასჯელის ზომის სასჯელი, შეეცვალოს ეს სასჯელი ათი წლით თავისუფლების აღკვეთად სასტიკი იზოლაციით.

2. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა არა ნაკლებ ერთი წლისა, თავისუფლების აღკვეთის ან იძულებითი მუშაობის ვადა შეუმცირდეს ნახევრად და ამასთანავე ჩათვალოს უკვე მოხდილი ნაწილი.

3. გათავისუფლებულ იქნეს სრულიად სასჯელისაგან და ყველა მისი შედეგებისაგან (გარდა უკვე სისრულეში მოყვანილი ქონებრივი გადასახდელისა) ისე ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა პირობით და თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ერთ წელზე ნაკლები ვადის და სხვა მცირე სასჯელი.

შენიშვნა: უკეთუ ამ დადგენილების 1-ლ, მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნულ პირთა საქმე ვერ არ არის განხილული და საქმეთა ამ კატეგორიას არ უდგება, რომელიც ამ დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსპობილ უნდა იყოს, ამნისტრიის საკითხი გადაწყდება ამ დადგენილებაში აღნიშნული წესის თანახმად.

4. გათავისუფლებულ იქნეს სრულიად გასამართლებისაგან ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს საქმე, ის ბრალდებული, რომლის საქმეც განხილული არ იქნება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე (15 ნოემბრამდე), უკეთუ მას ბრალდება ისეთი მოქმედება, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსში დაწესებულია ამ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული სასჯელი.

შენიშვნა: მე-3 და მე-4 მუხლი გავრცელებული იქნეს აგრეთვე ამინისტრაციულ სასჯელზედაც.

5. სრულიად გათავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურისაგან თავის ასარიდებლად ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან გაქცევისათვის მსჯავრდებული იქნა ან რომელსაც ამ დანაშაულის ჩადენა ბრალდება, უკეთუ იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ან ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში. გამოცხადდება სამსახურში ჩასარიცხავად სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთან.

შენიშვნა: ეს მუხლი გავრცელებულია აგრეთვე დევერტირის დამხმარეზე და დამფარველზე.

6. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული შედეგით სრულებით არ გავრცელდება იმ პირზე, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჩაუდენია:

ა) კონტრ-რევოლუციონური მიზნით მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყებისა, ან მონაწილეობა ასეთ აჯანყებაში, აგრეთვე მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებში და იმავე მიზნით მოწყობა აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საშუალებით. რკინიგზის ან სხვა რამ გზის და მიმოსვლის საშუალებათა, წყალსადენთა, საზოგადოებრივ საწყობთა და სხვ. განადგურება-დაზიანების და ასეთ დანაშაულში მონაწილეობა;

ბ) ჯაშუშობა,

გ) სახელმწიფოებრივი ღალატი,

დ) ბანდიტიზმი და

ვ) მექრთამეობა.

7. ყველა სხვა კონტრ-რევოლუციონური მოქმედების გამო, დაევალოს სათანადო სასამართლოს, სხვა დაწესებულებას გადასწყვიტოს საკითხი ამნისტიის გავრცელების შესახებ აღნიშნული მოქმედებისათვის იმ მსჯავრდებულზე, რომლის სასჯელის ვადით შემცირება ან სასჯელისაგან სრული განთავისუფლება, საქმის ვითარების მიხედვით, საშიშროებას არ წარმოადგენს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

შენიშვნა: იმ პირის შესახებ, ვისი საქმეც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე განხილული არ იქნება, მე-7 მუხლში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის განხილვისას.

8. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სასჯელი მხოლოდ ერთი მესამედით შეუმცირდება, იმას, ვისაც ამა დადგენილების გამოცემამდე შემდეგი დანაშაული ჩაუდგინა: მონაწილეობა წესიერების მასიურ დარღვევაში, ყაჩაღობა, ძარცვა, სქესობრივი ძალადობა, მკვლელობა ჩადენილი ბრალის დამამძიმებელ გარემოებაში, ყალბი ფულის მოჭრა და ყალბი საბუთების დამზადება, დეზერტირობა და თანამდებობრივი დანაშაული ანგარებითი ხსიათისა.

9. ამა დადგენილების მე-2 და მე-8 მუხლში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება იმ პირზე, ვისაც უმაღლესი ზომის სასჯელი გადაეწყვიტა, მაგრამ ეს სასჯელი თვით განაჩენის გამოტანის დროს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ან წინანდელ ამნისტიების ძალით უკვე შეცვლილი იქნა თავისუფლების აღკვეთად.

10. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს მსჯავრდებულებზედაც, წინა მუხლში აღნიშნულთა გარდა, ვისაც შეეხო წინანდელი ამნისტიები.

11. დადგენილება ესე არა ვრცელდება კერძო ბრალდების წესით აღძრულ საქმეებზე, რომელიც შეიძლება მორიგებით დამთავრდეს.

12. ამა დადგენილების ძალით გათავისუფლება სამართლისა და სასჯელისაგან არ ათავისუფლებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან; ხოლო უკვე განცხადებული სამოქალაქო სარჩელი, ჯერ გაურჩეველი, მაგრამ ამა დადგენილების ძალით მოსასპობი საქმის გამო, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წესით.

13. დადგენილება ესე არა ვრცელდება გამოძიებასა და სამართალში მყოფ ბრალდებულზე ან სამართალში მიცემულ ისეთ პირზე, რომლის შესახებ დადგენილი განაჩენი, მის მიერ საკასაციო საჩივრის აღძვრის გამო, ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან მასზე ამ ამნისტიის გავრცელებისა, ითხოვს საქმის განხილვას იმ აზრით, რომ სასამართლოში თავი იმართლოს.

შენიშვნა: ეს მუხლი გავრცელდება წინანდელ ამნისტიებზედაც.

14. ამ ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომლებიც სასჯელს უკვე იხდიან, დაევალოს იმ სასამართლო ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე აღმინისტრაციულ ორგანოს, რომელთა განაჩენით ან დადგენილებით. სენებული პირნი სასჯელს იხდიან, ხოლო იმ ბრალდებულთათვის, რომელთა საქმეც განუხილველია, მაგრამ მოსასპობი კი, დაევალოს სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას ქვემდებარეობისამებრ.

15. საგამომიებლო ორგანოებმა, ამა დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსასპობი საქმე, თავიანთი დასკვნით უნდა წარუდგინონ მოსასპობად სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლუციონურ ტრიბუნალს.

16. მთელი მუშაობა ამა დადგენილების განსასორციელებლად დასრულებული უნდა იქნეს არა უკვიანეს ერთი თვისა.

17. თვალყურის დევნება იმისა, რომ ეს დადგენილება სწორედ და მტკიცედ იქნეს შესრულებული, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, დაევალოს:

ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამასწორებელ სახლში სასჯელს იხდიან — ცენტრალური დასჯა — გასწორების განყოფილების განმანაწილებელ კომისიას.

ბ) იმ პირთა შესახებ, რომელნიც იძულებითი მუშაობას იხდიან — იძულებითი მუშაობის ბიუროს.

გ) ყველა დანარჩენის შესახებ იუსტიციის კომისარიატთან არსებულ სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

18. ყოველგვარი განმარტებისათვის, საჩივრით ამნისტიის მუხლების არასწორი შეფარდებისათვის ან შეუფარდებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეფარდებული უნდა ყოფილიყო, უნდა მიმართონ სათანადო შემთხვევაში ზემოთ მუხლში დასახელებულ დაწესებულებებს, რომელთაც ყველა ამ შემთხვევის



შესახებ უნდა მოახსენონ იუსტიციის სახალხო კომისარს, რომელზედაც დამოკიდებულია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

19. დადგენილება ესე მოქმედებაში შევიდეს ტელეგრაფის საშუალებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **ფ. მანსარაძე**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მდივანი: **თ. კალანდიაძე**.

1922 წ. ნოემბრის 7. თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1922 წ. № 256).

დეკრეტი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მემკვიდრეობის სამართლის შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის გამოცემამდე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. კანონით და ანდერძით დამკვიდრება, ქვემოთ მოყვანილი მუხლების თანახმად, შეიძლება სამკვიდრო ქონების საერთო ღირებულების იმ ფარგლებში, რაც გარდაცვალებულს ყველა ვალის გამოკლებით 10,000 ოქროს ნანეთს არ აღემატება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ბ: ის უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან (საიჯარო, საკონცესიო, სააღნაგო და სხვ.) გამომდინარეობს, როგორც სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დროს, ისე შემდეგშიაც გადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების წესისამებრ თვინიერ ამ მუხლში დაწესებული უკიდურესი ღირებულებისა.

2. უკეთეს სამკვიდროს საერთო ღირებულება 10.000 ოქროს ნანეთს აღემატება, სახელმწიფო, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახით და კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სახელმწიფოს დაინტერესებულ ორგანოს სასარგებლოთ გაყოფა ან დალიკვიდაცია სამკვიდრო ქონების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებას აღემატება.

უკეთეს სამკვიდროს ქონების გაყოფა, ამ ქონების შემადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო, მეურნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხერხებელია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგანოების და კერძო პირის საერთო მფლობელობა, ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოსყიდვის უფლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოდ, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაძლებელია.

3. იმ პირთა წრეს, რომელნიც კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ უნდა იქნენ გამოწვეულნი, შეადგენენ მხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილი-შვილები); გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირნი, რომელთაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ბ: მემკვიდრედ შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის დროს, აგრეთვე მის სიცოცხლეში ჩახახული და მისი სიკვდილის შემდეგ დაბადებული შვილი.



4. კანონით დამკვიდრება ქონებისა, მისი ღირებულების ფასეულობაში, რაც პირველ მუხლშია აღნიშნული, შეიძლება ყოველთვის, როდესაც და რამდენადაც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

5. კანონით დამკვიდრების დროს სამკვიდრო ქონება უნდა გაყოფილი იქნეს თანასწორ წილად და კაცის თავზე მესამე მუხლში აღნიშნულ ყველა პირთა შორის.

უ მ ე ნ ი უ მ ე ნ ა : სახლის ჩვეულებრივი მოწყობილობა, ფუფუნების საგნების გარდა, არ ჩაითვლება პირველ მუხლში სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებაში და გადადის თანასწორად მ მუხლში ჩამოთვლილ იმ მემკვიდრეებზე, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ ან იმ პირებზე, რომელნიც ანდერძში არიან აღნიშნულნი.

6. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვევოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს მესამე მუხლში აღნიშნულთაგანს ერთს ან რამდენსამე პირს, ან იგი ქონება განაწილებულ იქნეს ყველა იმ პირსა და ან მათგან რამდენსამე პირს შორის სხვაგვარი წესის და არა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 5 მუხლში.

უ მ ე ნ ი უ მ ე ნ ა : 1. მოანდერძეს შეუძლიან კანონით მემკვიდრეობის უფლება მოუსპოს მ მუხლში აღნიშნულ პირთაგან ერთს, რამდენიმეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება მოესპობა, განაწილებულ უნდა იქნეს დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო გადადის სახელმწიფოს ხელში.

უ მ ე ნ ი უ მ ე ნ ა : 2. მოანდერძეს უფლება აქვს ქონება, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანათლებელი ან სხვა კანონის არა საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი დაწესებულების განკარგულებაში.

7. მოანდერძეს შეუძლიან იმას, ვისაც ანდერძით სამკვიდრო ქონება ეძლევა დააკისროს რაიმე ვალდებულების ასრულება ერთისა, რამდენიმესი ან ყველა დანარჩენი კანონიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელთაც ამ განკარგულების ძალით უფლება აქვთ მოსთხოვონ ანდერძით მემკვიდრეს სათანადო ვალდებულების ასრულება.

8. შეიძლება დატოვება ისეთი ანდერძისა, რომელშიაც, იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ანდერძით დანიშნული მემკვიდრე მემკვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა, ან მემკვიდრედ დანიშნულმა უარი სთქვა მემკვიდრეობაზე, მოანდერძე გამოიწვევს სამკვიდროდ სხვა რომელიმე კანონიერ მემკვიდრეთაგანს.

9. ანდერძის პროექტი ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ და წარდგენილი სახალხო ნოტარიუსისათვის, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლისათვის სიგელთა დავთარში შესატანად. სიგელთა დავთარში შეტანილი და მოანდერძისა, ნოტარიუსისა ან მოსამართლის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედნად ჩაითვლება.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მოანდერძეს არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ავადყოფობის ან სხვა მიზეზის გამო), მის მაგიერ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა. სიგელთა დავთრიდან ამონაწერი დედნის სამაგიეროა.

10. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინათ შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთ განკარგულებას, რომელიც კი გათვალისწინებული არ იქნება მერმინდელი ანდერძით. მოანდერძეს შეუძლიან ახალი ანდერძის შეუდგენლადაც გააუქმოს წინანდელი ანდერძი ნოტარიუსისათვის ან სასამართლოში განცხადებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სიგელთა დავთარში ან სასამართლოს ოქმში, ნოტარიუსი ან მოსა-



მართლე სიგელის ან ოქმის პირს გაუგზავნის იმ ორგანოს, რომელთანაც გაუქმებული ანდერძი ქნნილი იყო.

11. ანდერძი სისრულეში უნდა მოიყვანონ ანდერძით დანიშნულმა მემკვიდრეებმა, უკეთუ მოანდერძემ თავის ნების აღსრულება არ მიანდო განსაკუთრებულ პირს, ანდერძის აღსრულებელს, მისი თანხმობით, რომელიც მან უნდა განაცხადოს თვით ანდერძშივე ან მასთან დართულ ცალკე განცხადებაში.

12. უთანხმოება და დავა, კერძო პირებს შორის ან კერძო პირებსა და სახელმწიფო ორგანოთა შორის იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება სამკვიდრო ქონების შეფასებასა, გაყოფასა და ანგარიშის გასწორების წესს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

უპენიუპენა: სამკვიდრო ქონების შეფასება ქალაქში მოხდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სათანადო დადგენილებაში უსასყიდლოდ გადასაცემელ ქონებაზე სამკვიდროს ბაჟის გამოანგარიშების შესახებ.

13. მემკვიდრეობის გახსნისას სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიება მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არ იქნება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, ან როდესაც მემკვიდრენი არ ჩაიბარებენ სამკვიდრო ქონების მართვა-გამგეობას.

უპენიუპენა: 1. უარი დამკვიდრებაზე უნდა განცხადებული იქნეს სათანადო სასამართლოსადმი სამი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნიდან. იმისი წილი, ვინც კანონით დამკვიდრებაზე უარს განაცხადებს, გადადის სხვა მემკვიდრეებზე 1 და 3 მუხლში აღნიშნული წესითა და ფარგალში.

უპენიუპენა: 2. თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლიან არ დაუცადოს სხვა მემკვიდრის გამოცხადება და ჩაიბაროს სამკვიდრო ქონების გამგეობა: სხვაგან მყოფ მემკვიდრეს თავის დროზე გამოცხადებისას შეუძლიან მოითხოვოს სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილი.

14. მემკვიდრეს, რომელიც არ იქნება მემკვიდრეობის გახსნის ადგილას, შეუძლიან ჩაიბაროს სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან, თუ დასაცავი ღონისძიება იქნა მიღებული, ამ ღონისძიების მიღების დღიდან.

უპენიუპენა: იმ მემკვიდრის წილი, რომელიც მემკვიდრეობის გახსნის დროს ჯერ დაბადებული არ იქნება, დაცულ უნდა იქნეს და შეიძლება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილ იქნეს სამი თვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

15. მემკვიდრეების გამოწვევა პუბლიკაციით ან სხვა საშუალებით უნდა მოხდეს, მაგრამ იმ ადგილის სახალხო სასამართლომ, სადაც მემკვიდრეობა განიხსნება, როდესაც იგი ცნობას მიიღებს სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების შესახებ, უკეთუ იქნება 13 მუხლისა და 14 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები, უნდა მიიღოს სამკვიდროს დასაცავი ღონისძიება. სამკვიდროს დაცვა გრძელდება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან — არა უმეტეს ექვსი თვისა.

უპენიუპენა: 1. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა, მისი სიკვდილის ამბის გაგებისთანავე მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სათანადო სახალხო მოსამართლეს.

უპენიუპენა: 2. მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. ის ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მუდმივად ან უპირატესად ბინადრობდა თავისი სამსახურისა და მუდმივი მოსაქმეობის გამო ან იმის გამო, რომ იქ მისი ქონება იყო.

16. უკეთუ თანამყოფი მემკვიდრენი მონაქმედი საწარმოსი (სავაჭრო ან სამრეწველო-საწარმოო სახელოსნო და სხვა); ადგილობრივ არ იქნებიან სახალხო მოსამართლემ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული პასუხისმგებელი მზრუნველი; მზრუნველი უნდა წარადგინოს ისეთმა სახელმწიფო ორგანომ, რომლის გამგებლობაში არის ანგვარივე საწარმო ან დაწესებულება.



17. უკეთუ მემკვიდრენი არ გამოცხადდებიან ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აგრეთვე უკეთუ მემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვიდრებაზე (8 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევის გარდა), ქონება ბეითალმანად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადავა.

18. მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც ბეითალმანი გადავა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალდებისათვის, სამკვიდრო ქონების მხოლოდ ნამდვილი ღირებულების ფარგლებში.

შენიშვნა: სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორი მოვალეა, რათა არ დაჰკარგოს მოთხოვნის უფლება, განაცხადოს თავისი პრეტენზია ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიების დღიდან.

19. იმას ვინც კანონით ან ანდერძით სამკვიდროდ იქნება გამოწვეული, შეუძლიან ადგილობრივ სახალხო მოსამართლისაგან მიიღოს მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი ნოწმობა.

20. ამ დეკრეტის წესები უნდა შეფარდებული იქნეს სამკვიდრო ქონებისათვის, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე მემკვიდრეებს თავისთვის ფაქტიურად არ ჩაუბარებიათ, ან რომლის გამოც არა ყოფილა დადგენილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა: იმ სამკვიდროს, რომელსაც შეადგენს მსხვილი მრეწველობის საწარმო, და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წ. თებერვლის 25-დან) ამა დეკრეტის გამოცემის დღემდე, უნდა შეეფარდოს ამა დეკრეტის წესი (1 და 3 მუხ.).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის
მდივანი: პ საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 17, თბილისი — სსსსლმ.

(გზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. № 449).

დადგენილება № 88

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო
კომისარტთა საბჭოსი.

გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წარმოებულ საჩივრებს მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში უკვე დაკარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარტთა საბჭო ადვენს:

რადგანაც უკვე საკმაო ხანი გავიდა დღიდან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 78 ნომერი დეკრეტის გამოცემისა ყოფილ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული იმ ძველი საჩივრების მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში უკვე დაკარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარტთა საბჭო ადვენს:



1. გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული ყველა სამოქალაქო, აგრეთვე კერძო ბრალდების წესით აღძრული ჰისსლის სამართლის საქმე, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მხარეთა შერიგებით და, რომლის განახლებაც თანახმად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. ნოემბრის 9-ს თარიღით და 78 ნომრით გამოცემული დეკრეტისა, არ განუახლებიათ მხარეებს ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, — ჩაითვალოს მოსპობილად.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე: ა. გეგეჭკორი.

იუსტიციის სახალხო კომისარი: ი. ვარძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 17, თბილისი — სსსრკ.

(გაზ. „ტრიბუნა“ 1923 წ. № 250).

საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე

პროფ. ვ. ინჟინიანი

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მთელ მოწინავე კაცობრიობასთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუცია თანამედროვე ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა. მისი საერთაშორისო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ მან განუზომლად დიდი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. „ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის განთავისუფლებას ექსპლოატატორული წყობილებისაგან. მეცნიერული კომუნისმის იდეების განხორციელებამ, უღრმესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე. მან დაიწყო მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა“.¹


ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე რევოლუციის პროცესში, რომელიც რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა, — დამხობილ იქნა რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და შექმნა მსოფლიოში პირველი ნამდვილად სახალხო სოციალისტური სახელმწიფო, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. ამით პრაქტიკულად იქნა განხორციელებული მარქსიზმ-ლენინისმის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი დებულება — მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისა და განმტკიცების აუცილებლობა.

მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს მთავარი ადგილი უკავია. პროლეტარიატის დიქტატურა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, გარდუვალი, აუცილებელი და უცილობლად სავალდებულოა კაპიტალიზმიდან გამოსვლისა და სოციალიზმზე გადასვლისათვის. იგი წერდა რომ „მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განაგრძობს“.²

ვ. ი. ლენინმა არა მარტო დაიცვა ყოველგვარი დამახინჯებისაგან მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, არამედ შემდგომ გაამდიდრა იგი ახალი დებულებებით. სახელდობრ, მან დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. გარდა ამისა, ლენინმა განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც განსაკუთრებული ფორმა მუშათა კლასის კლას-

¹ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, ვაზ. „კომუნისტი“, 1967 წ. 26 ივნისი.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 506-507.



სობრივი კავშირისა გლახობასთან და მშრომელთა სხვა არაპროლეტარულ მასებთან კავშირისა, რომელშიც ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატი ასრულებს და რომელიც მიმართულია ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის აშენებისა და განმტკიცებისაკენ.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც ლენინმა დაასაბუთა მის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორიის განვითარების პროცესში, იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის არსი არ გამოიხატება მარტო ბურჟუაზიის მიმართ ძალადობაში. „...მარტო ძალმომრეობა და უმთავრესად ძალმომრეობა როდია პროლეტარული დიქტატურის დედა-არსი. მისი დედაარსი უმთავრესად მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის, პროლეტარიატის დარაზმულობა და დისციპლინაა. მისი მიზანია — სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანთა ექსპლოატაციისათვის ყოველგვარი ნიადაგის გამოცვლა“.³

ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასობრივი საზოგადოების პირობებში დემოკრატიის უმაღლესი ტიპი, პროლეტარული დემოკრატიის ფორმა, რომელიც უმრავლესობის, მშრომელების ინტერესებს გამოხატავს, წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელიც უმცირესობის, ექსპლოატატორების ინტერესების გამოხატველია.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მშრომელთა ხელისუფლების არსი ნათლად მოწმობს იმაზე, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის სოციალისტური სახელმწიფოს შინაარსს მუშათა კლასის დიქტატურა შეადგენდა. თანამედროვეობის სხვა სოციალისტური სახელმწიფოების გამოცდილებაც ადასტურებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მათთვის ერთადერთი გზაა სოციალიზმისკენ.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის მუდმივი მოვლენა. როგორც სკკპ პროგრამაშია აღნიშნული, მუშათა კლასი მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრებას. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის დიქტატურის განხორციელების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა სოციალიზმის ბრული და საბოლოო გამარჯვება, მას შემდეგ, რაც სოციალისტური საკუთრება განუყოფლად გაბატონდა მეურნეობის ყველა დარგში, ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული ელემენტები. ხოლო მუშები, გლეხები და ინტელიგენცია გადაიქცნენ ქალაქისა და სოფლის თავისუფალ მშრომელებად, — მუშათა კლასის დიქტატურის მისიაც შესრულებულად ითვლება და იგი აუცილებელი აღარ არის.

ასეთ პირობებში სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, გადაიქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ.

საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი განმასხვავებელი თავისებურება ისაა, რომ იგი მთელი საზოგადოების ერთსულოვანი მისწრაფებების განხორციელების იარაღს წარმოადგენს და მის საქმიანობაში გამოხატულია საყოველთაო სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები. მამასადამე სოცია-

ბულია: მოაწყოს კომუნისმის მატერიალური-ტექნიკური ბაზის შექმნა, მოამზადოს სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობებად, განახორციელოს კონტროლი შრომის საზომისა და მოხმარების საზომისადმი, უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, დაიცვას სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება, განავითაროს ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან.

სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე მდგარი ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები, რომლებიც პარტიის პროგრამითაა ფორმულირებული, მისი საქმიანობის ცალკეულ მხარეებში, შესაბამის ფუნქციებშია გამოხატული. ეს ფუნქციები რამდენიმე საშინაო და საგარეო ფუნქციად იყოფა. საშინაო ფუნქციებია: სამეურნეო-ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის, სოციალისტური საკუთრებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის; საგარეო ფუნქციებია: ქვეყნის თავდაცვა, მშვიდობისათვის ბრძოლა, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ცხადია, რომ დასახელებული ფუნქციები საბჭოთა სახელმწიფოს თავისი განვითარების წინა პერიოდშიც გააჩნდა, მაგრამ ამჟამად ისინი შემდგომ განვითარებას განიცდიან და ახალი შინაარსით ივსებიან.

შევხვით სამეურნეო-ორგანიზატორულ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობას სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით. ამ ფუნქციის განხორციელებისათვის დამახასიათებელია: პირველ ყოვლისა, სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, გეგმიური ხელმძღვანელობა, რაც თავის მხრივ გამოხატულებას პოულობს სახალხო-სამეურნეო გეგმებში. როგორც ცნობილია მიმდინარე წლის ოქტომბერში სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლისა და 1969-70 წლების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებს და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, კერძოდ, 1968 წელს ნავარაუდევია სამრეწველო წარმოების ზრდა 8,1 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გადიდება 7,4 პროცენტით, ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გაფართოება 5 პროცენტით. მიღებულ გეგმებში გათვალისწინებულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების შესახებ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა რეალიზაცია. ეროვნული შემოსავალი — წარმოების გაფართოებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მთავარი წყარო — 1968 წელს გაიზარდება 6,8 პროცენტით. ხოლო მთლიანად ხუთწლედის მანძილზე — 39 პროცენტით, რაც შეესაბამება სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით დადგენილ დავალებებს.

საბჭოთა სახელმწიფოს როლი მეურნეობისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის საქმეში გამოიხატება არა მარტო გეგმების შედგენით, არამედ მათი შესრულების ორგანიზაციითაც, ვინაიდან გეგმის შედგენა, დაგეგმვის ამოცანის გადაწყვეტის მხოლოდ დასაწყისია, რასაც უნდა მოჰყვეს გეგმის რეალიზაცია, მისი



შესრულების უზრუნველყოფა. უკანასკნელ დროს დასახულია და ხორციელდება ღონისძიებანი დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებისათვის იმ მიმართულებით, რომ სწორად იქნას შეხამებული ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვა სოციალისტურ საწარმოთა ფართო სამეურნეო ინიციატივასთან, გაიზარდოს დაგეგმვის მეცნიერული დონე და უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება.

სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ სახალხო მეურნეობისადმი გეგმიანი ხელშეწყობის განხორციელებაში და საერთოდ, მის სამეურნეო-ორგანიზატორულ საქმიანობაში, ისევე როგორც კულტურულ-აღმზრდელით საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა და შესრულება. საბჭოთა სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა ცენტრალიზებულია, სსრ კავშირის ერთიან ბიუჯეტს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო ბიუჯეტის განხორციელება ევალება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ბიუჯეტის მეშვეობით ჩვენი სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად კრებს ქვეყნის საფინანსო რესურსებს და წარმართავს მათ სამეურნეო მშენებლობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და აგრეთვე თავდაცვის მიზნებისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ მშვიდობიან პერიოდში ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტით ყველაზე უფრო მეტი რაოდენობის სახსრები გამოიყოფა სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, კერძოდ, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დამზადებისა და საბინაო-კომუნალური მშენებლობის განვითარებისათვის. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს თუნდაც სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც უმაღლესმა საბჭომ მიიღო ა/წ ოქტომბრის თვეში. ეს ბიუჯეტი უზრუნველყოფს საჭირო თანხებით იმ ამოცანების განხორციელებას, რომელიც პარტიის XXIII ყრილობამ დასახა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში.

სახელმწიფოს მხრივ საზოგადოებრივი წარმოების პროცესისადმი, ხელშეწყობა გულისხმობს აგრეთვე ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა უბანზე პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საქმიანობას, სოციალისტური საწარმოების მუშაობის უშუალო მართვას. მეურნეობის მართვის ახალი სისტემა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმებზე იქნა შემუშავებული და დადასტურა XXIII ყრილობამ, გულისხმობს საწარმოთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ამაღლებას, მათი სამეურნეო უფლებების გაფართოებას, სამეურნეო ანგარიშის დანერგვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და რგოლში.

სამეურნეო-ორგანიზატორულ ფუნქციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და არსებითად მის შემადგენელ ნაწილს შეადგენს საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობა შრომის საზომსა და მოხმარების საზომზე კონტროლის უზრუნველსაყოფად. ამ საქმის სახელმწიფოებრივი რეგულირება თავის გამოხატულებას პოულობს სამუშაო დროისა და შრომის ხელფასის საკითხების მოწესრიგებაში სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში, შემოსავლის განაწილების სისტემის სრულყოფაში კოლმეურნეობებში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრულად გატარებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ფართო ღონისძიებების განხორ-

ციელბაში, უსაქმურების, ყალთაბანდების, მოძხვეჭელების, მუქთანობების წინააღმდეგ ბრძოლაში და ა. შ.

კომუნისტური საზოგადოების იდეოლოგიურ და კულტურული წინამძღვრების მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს მეორე საშინაო ფუნქციას — კულტურულ-აღმზრდელით მუშაობას, რომელმაც ამჟამად არნახული განვითარება მიიღო.

საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ-აღმზრდელითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრა, ვინაიდან ისინი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ კომუნისტური წინააღმდეგობის წინსვლის გზაზე. ასეთი გადმონაშთებია მაგალითად, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, კერძო-მესაკუთრული ტენდენციები, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დაუდევარი მოპყრობა, შოვინისტური და ნაციონალისტური გამოხდომები, თავაშვებულობა ყოფა-ცხოვრებაში, ხულიგნობა, ლოთობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევანი, რელიგიური ცრურწმენები და ა. შ., რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხოლმე ცალკეულ მოქალაქეთა შორის. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია სისტემატურ მუშაობას აწარმოებენ მშრომელთა აღზრდისათვის კომუნისტური სულისკვეთებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მათი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სულისკვეთებით.

კომუნისტური გაშლილი მშენებლობის პერიოდში საზოგადოების კულტურული დონის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტისას სოციალისტური სახელმწიფო შეუწელებელ ზრუნვას იჩენს და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა მეცნიერების განვითარებას, ვინაიდან კომუნისტური აშენება წარმოუდგენელია მოწინავე მეცნიერებაზე დაყრდნობის გარეშე. სწორედ საბჭოთა სახელმწიფოს ეკუთვნის გადამწყვეტი როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მეცნიერების მჭიდრო კავშირის დამყარებაში. სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს დახმარებას უწევს მეცნიერებს, ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა თანამშრომლობას, მოითხოვს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, გადამწყვეტ ბრძოლას დოგმატიზმის წინააღმდეგ და ა. შ.

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოთა კულტურულ აღმზრდელითი მუშაობაში ძირითად მეთოდად გამოყენებულია დარწმუნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას მშრომელი მასების საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე სახელმწიფო განუმარტავს მათ ახალი, სოციალისტური და კომუნისტური წყობილების დიად ძალას და უპირატესობას, ფართო შესაძლებლობას ქმნის მათი შემოქმედებისა და ინიციატივის გამოსავლინებლად. დარწმუნების მეთოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას და, მაშასადამე, კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს პოლიტიკური პრობლემა და აგიტაცია, რაც ემსახურება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ განათლებას, მათ შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით. დარწმუნების მეთოდის მეორე მნიშვნელოვანი ფორმაა წახალისება, რომელსაც სახელმწიფო ფართოდ იყენებს და რასაც უდიდესი როლი ენიჭება მშრომელთა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებაში, შრომის ნაყოფიერებისა და ინტენსივობის ზრდით დაინტერესებაში.

მაგრამ აღზრდის მეთოდთან, დარწმუნებასთან ერთად სოციალისტური სახელმწიფო აღმზრდელი მუშაობის განხორციელებისას იყენებს აგრეთვე იძულების მეთოდს, დასჯას. იძულების თავისებურება ჩვენში ისაა, რომ იგი გამოყენებულია სოციალისტური კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ე. ი. საზოგადოების წევრთა უმნიშვნელო უმცირესობის წინააღმდეგ უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად.

იმის გამო, რომ კომუნიზმის მშენებლობის პერიოდშიც სოციალისტური სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების და ხელისუფლების ინტერესები, მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და თავისუფლებანი — მას ჯერ კიდევ რჩება სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქცია. იგი საბოლოო ანგარიშში სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისაკენაა მიმართული.

საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და სიმდიდრის, მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყაროს წარმოადგენს. იგი საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველია. ამიტომ სახელმწიფო შეუწელებლად ზრუნავს მის დაცვასა და განმტკიცებაზე, ყოველმხრივ გამრავლებასა და განვითარებაზე. საზოგადოებრივი ქონების გამრავლებებს, დამტაცებლებსა და ქურდებს სახელმწიფო უბოროტეს დამნაშავეებად თვლის და სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ყველა იმთა წინააღმდეგ, ვინც დანაშაულებრივ დამოკიდებულებას იჩენს სახალხო დოქტრინისადმი.

რაც შეეხება დასახელებული საშინაო ფუნქციის მეორე მხარეს — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მასში იგულისხმება საბჭოთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისათვის შესაფერისი წესების დადგენა და უზრუნველყოფა ადამიანთა შორის ურთიერთობაში, სახელმწიფოს ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობაში. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესებისა და პირადი ინტერესების სწორად შეთავსება და ა. შ. საბჭოთა სახელმწიფო ფართო ხასიათის ღონისძიებებს ახორციელებს სოციალისტური საზოგადოების წევრთა პოლიტიკური და სამოქალაქო, შრომითი, საბინაო და სხვა უფლებების უზრუნველსაყოფად, უკანონობისა და თვითნებობის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გატარება, რაც ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ხორციელდება, არ ნიშნავს სახელმწიფოსა და მისი დამსჯელი ორგანოების — მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს როლის შეუფასებლობას მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი როლი ჯერ კიდევ სოციალისტურ სახელმწიფოს ეკუთვნის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი იძულების შეხამებით საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებთან.

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი თავისებურ ასახვას პოულობს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებშიც.

ავიღოთ ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს გაუჩნდა მისი არსებობის პირველსავე დღიდან. განვითარების შემდგომ ეტაპებზე და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდშიც სახელმწიფო ინარჩუნებს ამ ფუნქციას, ხოლო მისი გაქრობა დამოკიდებული იქნება არა ქვეყ-

ნის განვითარების შინაგან პირობებზე, არამედ საგარეო ვითარებაზე. საერთოდ, თავდაცვის ფუნქციის წარმოშობა და არსებობა განპირობებულია არა საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებით, არამედ აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ სოციალისტურ ქვეყანაზე თავდასხმის მუდმივი საფრთხით. ამჟამად განსაკუთრებით აუცილებელია საბრძოლო მზადყოფნა და სიფხიზლე, ვინაიდან საერთაშორისო იმპერიალიზმი, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქმნიან ომის კერებს, აწყობენ აშკარა პროვოკაციებს. სწორედ ამიტომ პარტია და მთავრობა საჭირო ზომებს იღებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალების ძლიერების ამაღლებისათვის. ა. წ. ოქტომბრის თვეში მიღებული ახალი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კარგად ასახავს სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ თანამედროვე მოთხოვნებს.

გარდა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის ფუნქციისა, თანამედროვე პერიოდში სრული განვითარება მიიღო ჩვენი სახელმწიფოს შედარებით ახალმა საგარეო ფუნქციებმა — სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციამ, განვითარებადი და კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის დახმარებამ.

მიუხედავად სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების სიმრავლისა და მრავალფეროვნებისა, ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მათ შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი. ეს იმით აიხსნება რომ ყველა ფუნქცია საბოლოო ანგარიშში ემსახურება ერთ ძირითად მიზანს — კომუნისტური საზოგადოების აშენების უზრუნველყოფას; და ამ მხრივ არც საგარეო ფუნქციები შეადგენენ გამონაკლისს, ვინაიდან მათი უმთავრესი დანიშნულებაა ხელსაყრელი საერთაშორისო პირობების შექმნა იმავე ძირითადი მიზნის — ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენებისათვის.

* * *

საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო არ იყინება ერთ წერტილზე, არ რჩება უცვლელი. პირიქით, სრული კომუნისმის აშენებისათვის, კომუნისმის მატერიალური და სულიერი საფუძვლების შექმნისათვის აუცილებელია საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის შესაბამისი ფორმები, სოციალისტური სახელმწიფოების შემდგომი განვითარება და სათანადო სრულყოფა.

ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიის XXI, XXII და XXIII ყრილობებზე. პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით გაშლა, მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების. ჩაბმა ჩვენი ქვეყნის ყველა საქმის მართვაში, ყველა მოქალაქის მიზიდვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის.

დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის, ე. ი. სახელმწიფოს მართვაში ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის, საჭიროა შემდეგი მთავარი ღონისძიებების განხორციელება:

პირველყოფლისა, მშრომელთა თვითმოქმედებისა და აქტიურობის, მათი თვითმმართველობის განვითარებაში სულ უფრო უნდა გაიზარდოს საბჭოების


როლი, რომლებიც ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციას წარმოადგენენ და რომლებშიც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები. საბჭოები წარმოადგენენ სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ჩაბმის ყველაზე უფრო მასობრივ ფორმას, ე. ი. არსებითად სახალხო თვითმმართველობის ორგანოებს სოციალიზმის დროს. მომავალში კი უფრო გაუმჯობესდება სახალხო წარმომადგენლობის ფორმები და შემდგომ განვითარდება საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები;

სახელმწიფოს მართვის საქმეში ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების, საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა პროექტირებისა და ადგილობრივი ხასიათის უმნიშვნელოვანესი აქტების სახალხო განხილვის პრაქტიკის კიდევ უფრო გაფართოება. როგორც ცნობილია, პარტიის პროგრამა ითვალისწინებს მომავალში არა მარტო საყოველთაო-სახალხო განხილვების ფართოდ გამოყენებას, არამედ რეფერენდუმების მოწყობასაც, ე. ი. უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების გამოტანას საყოველთაო-სახალხო კენჭის საყრდელად.

დემოკრატიის სრულყოფისა და სახელმწიფოს მართვის საქმეში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმის ამოცანის განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაზე. ამისათვის კიდევ უფრო უნდა განვითარდეს დემოკრატიული საწყისები სახელმწიფო მართველობაში. სახელდობრ, არჩევითობისა და ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების პრინციპი თანდათანობით უნდა გავრცელდეს სახელმწიფო ორგანოების ყველა ხელმძღვანელ მუშაკზე; თითოეული ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს კოლექტიურობა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში; სახელმწიფო ფასიანი აპარატი უნდა შემცირდეს, მართვის ჩვევებს უნდა დაეუფლონ სულ უფრო ფართო მასები, რათა ამ აპარატში მუშაობა პერსპექტივაში აღარ იყოს განსაკუთრებული პროფესია.

საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი განვითარების და სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განვითარებას და სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას. საჭიროა აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დანაშაულობის ლიკვიდაცია და აღიკვეთოს მისი წარმოშობი ყველა მიზეზი. მანამ კი ვინაიდან ჯერ კიდევ ადგილი აქვს დანაშაულობის გამოვლინებებს აუცილებელია მკაცრი ზომების მიღება დამნაშავეთა დასასჯელად. ამასთან, მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს კანონის სრული შესაბამისობით. მისი დემოკრატიული საფუძვლები კვლავაც უნდა ვითარდებოდეს და უმჯობესდებოდეს; სასამართლო, აგრეთვე გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები უდიდესი სიზუსტით უნდა იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას.

კიდევ ერთ-ერთი მთავარი გზა სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფოს მართვაში ყველა მშრომელის ჩაბმის, ესაა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოღვაწეობენ, სერიოზულ როლს ასრულებენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მათი არსებობა და საქმიანობა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად ხორციელდება და ხელს უწყობს ხალხთა მასების



ორგანიზაციული თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარებას; საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებები მხარდაჭერას და დახმარებას უწევენ საბჭოთა სახელმწიფოს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში, მისი ფუნქციების განხორციელებაში და ამით აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა კომუნისტური პარტიაა. მისი ხელმძღვანელი როლი ვრცელდება როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. წარმოებისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ხელმძღვანელობაში მოსახლეობის უფართოესი ფენების ჩაბმასთან ერთად, კიდევ უფრო იზრდება პარტიის როლი როგორც მასების პოლიტიკური ორგანიზატორისა და შემოქმედებითი ინიციატივის სულისჩამდგმელისა. პარტია, როგორც კომუნიზმის მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმი, თვითონაც ვითარდება შინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციის მხრივ, განამტკიცებს შინაპარტიულ დემოკრატიას, თავისი რიგების ერთიანობას და შეკავშირებას.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილმა ნახევარმა საუკუნემ დამაჯერებლად დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ჭეშმარიტება ახალი საზოგადოებრივი წყობილების გარდუვალი გამარჯვების აუცილებლობის შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებანი სხვა ქვეყნებში და მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნა ოქტომბრის რევოლუციის იდეების ტრიუმფს წარმოადგენს.



საბჭოთა დემოკრატიის საწყისებთან

3. ზანია,

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

საბჭოთა დემოკრატია, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის ახალ ტიპს, თავის საწყისს იღებს 1905 წელს აღმოცენებული საბჭოებიდან. რუსეთის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში საბჭოებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულეს. იგი მუშების, გლეხების, ჯარისკაცთა ინტერესებს გამოხატავდა. 1905 წელს საბჭოები პირველად შეეცადნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რეალურად აღეჭურვათ მშრომელები დემოკრატიული უფლებებით.

რა თავისებურებები ახასიათებდა საბჭოებს 1905 წელს, ჰქონდა თუ არა მას ის საყოველთაო სახალხო ხასიათი, რაც საბჭოებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეიძინეს. საბჭოთა დემოკრატიზმის სრულყოფის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები. ჩვენს ქვეყანაში უკვე სამი ათეული წელია საბჭოებში დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საბჭოთა საარჩევნო სისტემის ამ ძირითადი პრინციპების განხორციელება პირველად სცადას საბჭოებმა 1905 წელს.

საბჭოების არჩევნებში მონაწილეობდნენ მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ექსპლოატატორ კლასებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ. დეპუტატთა არჩევნების ამომრჩეველთათვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა. პირველი დოკუმენტი, სადაც ლაპარაკია მუშათა საყოველთაო არჩევნების შესახებ, ესაა კოსტრომის მუშათა დეპუტატების საბჭოს წესდება, მიღებული და დამტკიცებული 1905 წლის ნოემბერში, მუშათა საერთო კრებაზე. „მუშათა დეპუტატების საბჭოებში არჩევის უფლება აქვთ ყველა მუშას, სქესის, ხნოვანების რელიგიისა და ეროვნების მიუხედავად“¹.

საბჭოებში ქალები მამაკაცთა უფლებით სარგებლობდნენ. ისინი მამაკაცთა თანასწორად ირჩეოდნენ საბჭოებში. 1905 წელს თითქმის ყველა საბჭოს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები, მუშაობდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, საბჭოს მდივნად და ა. შ. ზოგიერთ საბჭოში (ივანოვო-ვოზნესენსკი, დონის როსტოვი და სხვ.) დეპუტატ ქალთა რაოდენობა 10—15 პროცენტს აღწევდა. მშრომელი მასებისა და საზოგადოების მოწინავე ადამიანთა მისწრაფებასა და ოცნებას მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის შესახებ პირველად ფრთები შეასხეს 1905 წლის საბჭოებმა. ეს დემოკრატიზმის უდიდესი მონაპოვარი, მისი ზეიმი და ტრიუმფი იყო.

არჩევნებში მონაწილეობდა ყველა მშრომელი, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. ეს ასაკი საკმარისი იყო აგრეთვე დეპუტატისათვის, რომელსაც ირჩევდნენ საბჭოებში. ორგზოვო-ზუევოს მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდნენ მამაკაცები და ქალები. დეპუტატად შეიძლება არჩეულ

¹ Высший подъем революции 1905—1907 г.г., ноябрь—декабрь 1905 года. Документы и материалы, часть вторая, М. 1955. стр. 170.



იქნას ყოველი მუშა, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, — ნათქვამია საბჭოს გადაწყვეტილებაში². წარმომადგენლობითი ნორმა დეპუტატთა არჩევის დროს ყველა საბჭოში არ იყო ერთნაირი დიდ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი), იგი არ აღემატებოდა 500 ამომრჩეველს, ხოლო პატარა ქალაქებსა და მუშათა ცენტრებში 50-ზე ნაკლები არ ყოფილა.

არჩევნები საბჭოებში იყო თანასწორი, ე. ი. ყოველ ამომრჩეველს ქონდა ერთი ხმა. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამ პრინციპის დარღვევა არ გვხვდება არც ერთ საბჭოში. არჩევნები იყო პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. უკანასკნელი პრინციპი მხოლოდ ზოგიერთ საბჭოში ირღვეოდა. 1905 წელს უმრავლესობა საბჭოებისა დეპუტატებს ირჩევდა ფარული კენჭის ყრით. გამონაკლის წარმოადგენდა ივანოვო-ვოზნესენსკის და ზოგიერთი სხვა საბჭო სადაც დეპუტატებს ღია კენჭის ყრით ირჩევდნენ.

ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ საბჭოებში, რათა ხალხთა ფართო მასები ჩაება მათ საქმიანობაში. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატთა არჩევნების მთელს საქმიანობაში. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მუშებს, რომ „დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქარხნის ყველა მუშამ და არა მათმა ნაწილმა, სხვანაირად არჩევნები ამხანაგთა ნდობით ვერ ისარგებლებენ“³.

1905 წლის საბჭოების დემოკრატიული ბუნება გამოიხატებოდა აგრეთვე დეპუტატთა გაწვევის უფლებაში. ამომრჩეველებს ჰქონდათ დეპუტატთა არა მარტო არჩევის, არამედ მათი უკან გაწვევის უფლება, თუ ისინი არ გაამართლებდნენ ამომრჩეველთა ნდობას. ტვერის მუშათა დეპუტატების საბჭოს წესდებაში ბოლშევიკების ინიციატივით შეტანილი იყო სპეციალური პუნქტი დეპუტატთა გამოწვევის შესახებ. „იმ შემთხვევაში თუ დეპუტატი აღარ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, — ნათქვამია წესდებაში, — ისინი მოახსენებენ ამის შესახებ მუშათა დეპუტატების კრებას. უკანასკნელი ვალდებული არიან მოაწყონ ახალი არჩევნები“⁴.

უფლება დეპუტატთა გამოწვევისა ან გადარჩევისა ფიქსირებული იყო აგრეთვე კოსტრომის მუშათა დეპუტატების საბჭოს წესდებაში. კოსტრომის საბჭოში ეს დავალებული ქონდა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. თუ დეპუტატი არ ამართლებდა ამომრჩეველთა ნდობას, მამინ საბჭოს საერთო კრების დადგენილების საფუძველზე აღმასრულებელი კომიტეტი ნიშნავდა ახალ არჩევნებს.

დეპუტატთა გამოწვევის უფლება, რომელიც პირველად განხორციელებულ იქნა საბჭოების მიერ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ფართოდ იქნა გამოყენებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც საბჭოები იქცნენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველად. დეპუტატთა მოვალეობამ და პასუხისმგებლობამ ამომრჩეველთა წინაშე და დეპუტატთა გამოწვევის უფლებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც მიღებული იქნა 1936 წელს. თვითვე დეპუტატი, ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციის 142 მუხლში, შეიძლება „უკან იქნას გაწვეული თანახმად ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებისა ანონით დადგენილი წესით“.

² Высший подъем, часть вторая, стр. 171.

³ Высший подъем, часть вторая, стр. 171.

⁴ იქვე გვ. 171.

საბჭოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაპუტატთა ანგარიშს ამომრჩეველთა წინაშე. ამომრჩევლები თავიანთი დეპუტატებისაგან მოითხოვდნენ ინფორმაციას მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. დეპუტატები უნდა მოთათბირებოდნენ მათ და მათი თანხმობის გარეშე რაიმე პრინციპულ საკითხებზე არ მოელოთ გადაწყვეტილება. ნოვოროსისკის მუშაკთა დეპუტატების საბჭოს 1905 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დეპუტატის მოვალეობაზე ჩაწერილია შემდეგი: „მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრები თავიანთ საქმიანობაზე, როგორც დეპუტატები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ მუშათა დეპუტატების საბჭოს და თავიანთი ამომრჩეველთა წინაშე“.

კიევის მუშებს სწორად ესმოდათ ურთიერთობა ამომრჩევლებსა და დეპუტატებს შორის. ამ მხრივ დამახასიათებელია შიმანსკის ქარხნის მუშათა რეზოლუცია, მიღებული 1905 წლის 9 ნოემბერს. რეზოლუციაში ლაპარაკია, რომ დეპუტატები ჭეშმარიტი წარმომადგენლები უნდა იყვნენ თავიანთი ამომრჩევლების — მუშების. მუშათა დეპუტატების საბჭოს თითოეული სხდომის შემდეგ დეპუტატები ვალდებული არიან შეკრიბონ მუშები და მოახსენონ ის თუ რა ხდებოდა კრებაზე⁵.

როგორც აღნიშნული იყო მუშა-ამომრჩევლები მოითხოვდნენ დეპუტატებისაგან შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი, მაგრამ ამასთან ერთად ისინიც ღებულობდნენ სათანადო ზომებს დახმარებოდნენ თავიანთ დეპუტატებს, დაეცათ ისინი მეფის ოხრანკისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა რომელსაც ჩვენ ვხვდებით თითქმის მუშათა ყველა მოთხოვნებში, ესაა დეპუტატთა ხელშეუხებლობა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქარხნის ადმინისტრაციისაგან. მოსკოვის ხუთი პროფესიის მუშათა გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „დეპუტატები პასუხისმგებელნი არიან ჩვენს წინაშე, მაგრამ ჩვენც პასუხისმგებელნი ვართ დეპუტატების წინაშე, ვიცავთ რა მათ ჩვენი ერთიანი ძალის ყველა საშუალებით. მხოლოდ მაშინ იქნებიან დეპუტატები ჩვენი ნამდვილი წარმომადგენლები“⁶.

დეპუტატთა და ამომრჩეველთა ურთიერთპასუხისმგებლობისა და მოვალეობის ძირითადი პრინციპები, რომელიც პირველად შემოწმდა რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის ბრძოლის ქარცეცხლში, შემოქმედებდათადა იქნა გამოყენებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ საანონსდებლო დოკუმენტებში. საბჭოთა კონსტიტუცია ავალებს თითოეულ დეპუტატს თავისი საქმიანობისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობის ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს.

საბჭოს სხდომებზე ყველა საკითხი წყდებოდა ხმის უმრავლესობით. მუშათა დეპუტატების სხდომებზე, ლაპარაკია კონსტიტუციის საბჭოს წესდებაში, ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს წესდებით უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა. დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოებში ირჩეოდა გადამწყვეტი ხმის უფლებით და მხოლოდ ნაწილი სათათბირო ხმით. ასე მაგალითად, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოში 562

⁵ «Высший подъем», часть вторая, стр. 578.

⁶ «Киевское слово», № 6410, 14 ноября 1905 года.

⁷ Всероссийская политическая стачка в октябре 1905 года. Документы и материалы, часть первая. М., 1955, стр. 406.



დეპუტატიდან 9 დეპუტატის გარდა ყველას გადაწყვეტი ხმა ჰქონდა. იუზოგ-კის მუშათა დეპუტატების საბჭოში 80 დეპუტატიდან 30 იყო სათათბირო ზმის უფლებით წარმოდგენილი.

მუშათა დეპუტატების საბჭოები შესდგებოდნენ ფაბრიკისა და ქარხნის მუშებისაგან. დეპუტატები ირჩეოდნენ საწარმოო პრინციპების მიხედვით. დეპუტატთა არჩევა საწარმოო პრინციპის მიხედვით იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ საბჭოებში აერჩიათ მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნის მუშები, რომლებიც უშუალოდ წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებული. არჩევნები საწარმოო პრინციპის მიხედვით, რომელიც პირველად განხორციელდა 1905 წელს საბჭოების მიერ, ტარდებოდა ნაწილობრივ აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში და სათანადო გამოხატულება ჰპოვა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წელს.

საბჭოები 1905 წელს იქმნებოდა, არა მარტო დემოკრატიული არამედ ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე. გაერთიანებული მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება სავალდებულო იყო რაიონული საბჭოებისათვის და ეს უკანასკნელნი როგორც წესი ემორჩილებოდნენ მას.

საბჭოს უმაღლესი ორგანო იყო დეპუტატთა საერთო კრება, ხოლო მისი აღმასრულებელი ორგანო, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ბაქოს საბჭოს წესდების მიხედვით მუშათა დეპუტატების საბჭო ქ. ბაქოს საქარხნო-სამრეწველო ცხოვრების უმაღლეს დაწესებულებას წარმოადგენდა. დეპუტატთა კრება იწვეოდა არა მარტო გაერთიანებულ საბჭოებში, არამედ საბჭოების რაიონულ განყოფილებაში. მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა ინიშნებოდა ან თვითონ საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. საბჭოს საერთო კრება იწვევოდა თვეში რამდენიმეჯერ. კოსტრომის მუშათა დეპუტატების საბჭოს წესდებით საბჭოს სხდომა იწვევოდა კვირაში ერთხელ, ხოლო ოდესის და ბაქოს საბჭოებისა თვეში ორჯერ.

ზოგიერთი საბჭოს წესდებაში გათვალისწინებულ იყო საგანგებო სხდომების მოწვევა. საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა შეიძლებოდა აღმასრულებელი კომიტეტის, ან მისი რაიონული საბჭოს (თუ ისინი არსებობდნენ) ინიციატივით. ასე, მაგალითად, 1 ნოემბერს ნევსკისა და ვიბორგსკის რაიონული საბჭოების მოთხოვნით მოწვეულ იქნა პეტერბურგის საბჭოს საგანგებო სხდომა კრომტანტის მეზღვაურთა აჯანყებასთან დაკავშირებით.

საბჭოს საერთო კრებაზე ირჩეოდა თავმჯდომარე და მდივანი. საერთო წესის მიხედვით ირჩეოდა საბჭოს მუდმივი თავმჯდომარე. იყო რასაკვირველია გამონაკლისიც. მაგალითად, 1905 წელს ისეთ ცნობილ საბჭოებს, როგორც იყო მოსკოვისა და ნოვოროსიისკისა არ ყავდათ მუდმივი თავმჯდომარე. საბჭოების უმრავლესობას ყავდა მუდმივი მდივანი. საბჭოების საერთო სხდომებზე იღებდნენ დადგენილებას, გადაწყვეტილებას, მოთხოვნას, ჟღერო მნიშვნელოვან საკითხებზე ფორმდებოდა ოქმები. სამწუხაროდ მხოლოდ ზოგიერთი საბჭოს ოქმია შემონახული.

საბჭოს აღმასრულებელი ორგანო იყო აღმასრულებელი კომიტეტი. გარდა აღმასრულებელი კომიტეტისა საბჭოსთან არსებობდა შემდეგი ორგანოები: პრეზიდენტი, საგაფიცვო სალარო, უმუშევართა კომისია, სარევიზიო კომისია, ამხანაგური სასამართლო, მებრძოლი რაზმელების შტაბი, სხვადასხვა სახის კომისიები, სექციები და ა. შ. საბჭოს ყველაზე კომპეტენტური ორგანო იყო

აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურა და ძირითადი ამოცანები თითქმის ყველა საბჭოში დაახლოებით ერთნაირი იყო. მაგრამ 1905—1907 წლების რევოლუციაში ყველა საბჭომ და აღმასრულებელმა კომიტეტებმა როდი ითამაშეს ერთნაირი და იგივე როლი. მენშევიკები, რომლებიც უმთავრესად მოკალათებული იყვნენ ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სერიოზულად ხელს უშლიდნენ საბჭოს დეპუტატებს და საბჭოს მთელ საქმიანობას. მათ ჩაშალეს ზოგიერთ საბჭოში მთელი რევოლუციური საქმიანობა. ბოლშევიკური საბჭო და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, განსხვავებით მენშევიკური საბჭოებისაგან, წარმართავდნენ საბჭოების მთელ საქმიანობას შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, იყვნენ აჯანყებისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები.

1905 წელს რიგ საბჭოებთან არსებობდნენ ამხანაგური სასამართლოები. ისინი არსებობდნენ და თავიანთ მოღვაწეობას ეწეოდნენ არა მარტო მუშათა დეპუტატების, არამედ გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან. ხშირი იყო შექმთხვევები, როცა ამხანაგური სასამართლოები არსებობდნენ საბჭოებისაგან დამოუკიდებლად. ისინი არჩევდნენ არა მარტო მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის საკითხს, ანგარიშს არ უწევდნენ რა მთავრობის ოფიციალურ კანონებს, მუშათა ყოველგვარ საქმეებს, როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლისას, თვითონ სწყვეტდნენ. ტვერის საბჭო ამხანაგური სასამართლოს როლსა და მნიშვნელობას, ასე განსაზღვრავდა: მუშათა დეპუტატების საბჭო შემოსულ საჩივართა განსახილველად თავისი რიგებიდან ირჩევს სასამართლო კომისიას. ეს კომისია აწარმოებს ძიებას, ახსენებს შედეგს მუშათა დეპუტატების საბჭოს. უკანასკნელის გადაწყვეტილება ეცნობათ მუშებს მათ საერთო მიტინგებზე.

საბჭოები 1905 წელს წარმოადგენდნენ ისეთ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ მშრომელთა ფართო მასებს ეყრდნობოდნენ. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ოფიციალურ სახელმწიფო ხელისუფლებას, ანგრევდნენ ძველ წესებს და ქმნიდნენ ახალს.

საბჭოები 1905 წელს, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ჩანასახში დიქტატურა იყო „რადგანაც ეს ხელისუფლება არ ცნობდა არავითარ სხვა ხელისუფლებას და არავითარ კანონს, არავითარ ნორმას, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი მომდინარე“.

1905 წელს საბჭოების, როგორც მშრომელთა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ძველი ხელისუფლებისაგან იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ეყრდნობოდნენ უშუალოდ ხალხთა მასებს — ისტორიის ნამდვილ შემოქმედს და წარმოადგენდნენ მათი ინტერესების გამომხატველს. ყველა მანამდე არსებული ხელისუფლება იყო, უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე. ხოლო საბჭოები წარმოადგენდნენ ხალხთა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე. „საბჭოები 1905 წელს“ მიუთითებდა ლენინი, იყვნენ „ძალაუფლების ორგანოები ხალხის, მუშებისა და გლეხების ბატონობისა უმცირესობაზე, ერთი მუჭა პოლიციელ მოძალადეებზე, ერთი მუჭა პრივილეგიურ თავადაზნაურებსა და მოხელეებზე“.

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10. გვ. 285—286.

9. იქვე, გვ. 286.

მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლება, ისევე როგორც სხვა მანამდე არსებული გაბატონებული და ექსპლოატატორი კლასების ხელისუფლება არ ენდობოდა ხალხს, გაუბრბოდა მას, ცდილობდა ჩამოეცილებინა ხელისუფლებისაგან, მოეტყუებინა ის სხვადასხვა ხრიკებით. ახალი რევოლუციური ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ძველი ხელისუფლებისაგან ძირეულად განსხვავდებოდა, იგი ხალხის ხელისუფლება იყო და მას ეყრდნობოდა. საბჭოებისათვის არ არსებობდა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არაფერი დაფარული, არაფერი საიდუმლო. ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია. ის უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა.

1905—1907 წლების რევოლუციაში რუსეთის მშრომელთა მასებმა მთელი სიძლიერით გამოავლინეს რევოლუციური ენერჯის დიდი ძალა. რევოლუციის დროს ხალხთა მასების როლი, როგორც ისტორიის ნამდვილი შემოქმედისა შეუდარებელი სისწრაფით იზრდება. აშკარა შეჯახება აფართოებს მის ჰორიზონტს, ანათლებს მის გონებას, ჰედს მის ნებისყოფას. რუსეთის პირველ რევოლუციაში ხალხთა მასების დიდი შემოქმედებითი ენერჯია გამოვლინდა მის მიერ საბჭოების შექმნაში. საბჭოების წარმოშობა რუსეთში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა იყო. 1905 წლამდე მსოფლიო პროლეტარიატს არ ქონდა ისეთი მასობრივი ორგანიზაცია, როგორიც საბჭოებია. საბჭოები ისეთი მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოიცავს ყველა ექსპლოატირებულსა და მშრომელს, ყველას, ვინც ექსპლოატაციის უღლის დამხობით არის დაინტერესებული.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დებუტატების საბჭოები მშრომელთა ორგანიზაციაა. თვითონ სახელწოდებაც ნათლად მეტყველებს ამასზე. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოებს, რომ მათს უკან არ მდგარიყო რევოლუციური პროლეტარიატის ათასეულები, რომ მისთვის თანაგრძნობა და დახმარება არ გაეწია მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მილიონებს — რასაკვირველია არაფერი.

1905 წელს ლენინის გენია იმ თავითვე ჩაწვდა საბჭოების არსსა და მნიშვნელობას. საბჭოებში ლენინი ხედავდა ახალს, უძლეველსა და დიადს, რომელსაც უდიდესი მომავალი უნდა ქონოდა. ცნობილ შრომაში „ჩვენი ამოცანები და მუშათა დებუტატების საბჭო“, სადაც პირველად გამოთქვა ლენინმა თავისი შეხედულება 1905 წლის საბჭოებზე, საკითხი სწორედ ასეა დაყენებული. ლენინმა იმთავითვე შეაფასა საბჭოები როგორც აჯანყებისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის ორგანოები.

შრომაში „დიქტატურის საკითხის ისტორიისათვის“, რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა საბჭოების, როგორც მშრომელთა მასობრივი და დემოკრატიული ორგანიზაციის იმ უდიდესი როლის შესახებ, რომელიც მათ ითამაშეს რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციაში. ლენინი აღნიშნავდა რომ 1905 წელს მშრომელთა მასობრივმა რევოლუციურმა ბრძოლამ წარმოშვა მსოფლიო ისტორიაში წინათ არნახული ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა მუშათა დებუტატების საბჭოები, მათ შემდეგ კი ჯარისკაცთა და

გლახთა დეპუტატების საბჭოები. „მივიღეთ ისეთი ფაქტი, რომ ის ძირითადი საკითხები (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა), რომლებიც ახლა მთელს მსოფლიოს შეგნებულ მუშათა ყურადღებას იპყრობს, პრაქტიკულად დასმული აღმოჩნდა 1905 წლის დამლევს¹⁰.“

საბჭოები, რომელიც 1905 წელს წარმოიშვნენ, პირველი სახე გახდა საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც შექმნა პროლეტარიატმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წელს.

პირველად მარქსიზმის ისტორიაში 1917 წელს ვ. ი. ლენინმა სახელგანთქმულ „აპრილის თეზისებში“ რუსეთის ორი რევოლუციის — 1905-1907 და 1917 წწ. თებერვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციების ღრმა ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ლენინის ეს გენიალური აღმოჩენა წარმოადგენდა მარქსიზმის გაღრმავებასა და განვითარებას ახალ ეპოქაში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, მარქსიზმის რევოლუციურ არსენალში ძვირფასი განძის შეტანას.

ვ. ი. ლენინი საბჭოებს თვლიდა პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმად, დემოკრატიის ახალ ტიპად, სოციალიზმზე გადასვლის უმტივიანესი ულო საშუალებად, მაგრამ ამასთან ერთად არ გამოირიცხავდა კაპიტალიზმიდან კომუნისმისაგან გარდამავალ პერიოდში სხვა პოლიტიკური ფორმების არსებობასაც. „კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლამ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რა თქმა უნდა არ შეიძლება არ მოგვეცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პროლეტარიატის დიქტატურა“.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მომხდარმა ამბებმა მთლიანად და ზედმიწევნით დაასაბუთა ლენინის ეს გენიალური პროგნოზი. პროლეტარიატის დიქტატურამ ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მიიღო არა საბჭოური ფორმა, არამედ სახალხო დემოკრატიის ფორმა.

სკკპ XX და XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში და პარტიის ახალ პროგრამაში შემდგომ განვითარებულმა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალიზმში გადასვლის ფორმების შესახებ. სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ სოციალიზმზე გადასასვლელად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საპარლამენტო გზაც. მუშათა კლასს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს შტკიცე უპრავლესობა პარლამენტში და შექმნას სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განხორციელებისათვის საჭირო პირობები.

სოციალისტური კანონიერების დანიშნული საუბრები

ბ. როგავა,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი სოციალისტური კანონიერება უდიდეს როლს ასრულებს რევოლუციურ მოხაზვართა განმტკიცებასა და განვითარებაში. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა ხალხი წყვეტს კომუნისტების მშენებლობის ამოცანებს.

სოციალისტური კანონიერების არსის ძირითადი დებულებები შემუშავებულია საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ვ. ი. ლენინის მიერ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობენ რა ლენინური დებულებებით, მუდამ განამტკიცებენ კანონიერებას, აძლიერებენ მის როლს საზოგადოების განვითარებაში.

სოციალისტური სახელმწიფოს კანონები გამოხატავენ სახელმწიფოებრივად ორგანიზებული მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ნებას, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას. მათში იურიდიულად განმტკიცებულია მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური მონაპოვრები. საბჭოთა კანონები განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების საქმიანობის შინაარსსა და მიმართულებას, კომპეტენციასა და ორგანიზაციულ ფორმებს, მოქალაქეთა უფლებებს; ითვალისწინებენ ან უფლებათა უზრუნველყოფის მატერიალურ და სამართლებრივ გარანტიებს, აწესებენ მოქალაქეთა ძირითად მოვალეობებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

სოციალისტურ სამართალს დიდი მორგანიზებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. იგი ადამიანთა საზოგადოებრივი ქცევის მოწესრიგების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების, ხალხის მასების ძალღონის ერთიანი მიზნისაკენ წარმართვის საშუალებაა.

სამართალი მხოლოდ მაშინ შეძლებს შეასრულოს თავის დანიშნულება, როდესაც მისი ნორმები ზუსტად და სრულად იქნება გამოყენებული გათვალისწინებული ამოცანების გადასატრელად. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სამართალმემოქმედებითი მოღვაწეობა და კანონების შესრულება წარმოადგენს ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ, ერთიან სახელმწიფოებრივ საქმიანობას, რომ სოციალისტური სახელმწიფო კანონების შემუშავებასთან ერთად ახორციელებს კანონიერებას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე ლენინური დეკრეტები (ზავის, მიწის, მუშათა კონტროლის, ბანკის ნაციონალიზაციის შესახებ) სოციალისტური სამართალს უმნიშვნელოვანესი ნორმები იყო, ამასთანავე მათში მოცემულია სოციალისტური კანონიერების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები.

საბჭოთა სოციალისტური კანონიერება ნიშნავს საბჭოთა კანონებისა და მათ შესაბამისად გამოკემული სხვა სამართლებრივი აქტების განუხრელ დაცვას და შესრულებას ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და მოქალაქის მიერ. კანონი კანონიერების საფუძველია.

მტკიცე კანონიერების გარეშე არ შეიძლება იყოს ნამდვილი დემოკრატია, შეუძლებელია წარმატებით მოქმედებდეს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემა. „ავითარებს რა სახელმწიფო მშენებლობის დემოკრატიულ პრინციპებს, პარტია იმით ხელმძღვანელობს, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობაზე, — რომ საბჭოთა ორგანოების მთელ საქმიანობას და მოქალაქეთა ფართო შემოქმედებითს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის საქმეების მართვაში საფუძვლად უნდა ედოს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესად დაცვა.“¹

კანონიერების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კანონებში ზუსტად გამოიხატოს მშრომელთა სახელმწიფოებრივი ნება საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების საკითხების, ქვეყნის საშინაო და საგარეო ამოცანების გადასაწყვეტად. ამ მოთხოვნის უზრუნველყოფა, კანონმდებლობის სრულყოფა ვ. ი. ლენინს მიაჩნდა კანონიერებისა და მართლწესრიგის შექმნისა და განმტკიცების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწყისად. იგი ამბობდა: გამუდმებით უნდა ვაუმჯობესოთ საკანონმდებლო საქმიანობა, „უფრო მკაცრი მოთხოვნა წარედგინოს კანონების შემდგენელთ“.²

ახალი კანონის შემოღება, მოქმედების გაუქმება ან ნაწილობრივ შეცვლა, რაც კანონმდებლობის სრულყოფის გზას წარმოადგენს, მოითხოვს საკითხების ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას. დაუშვებელია ოდნავი ზერელობა. სუბიექტივიზმი და აჩქარება კანონპროექტების მომზადებაში.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიგვიითხებდა, რომ ყოველად დაუშვებელია კანონების ნაჩქარევად შეცვლა, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც საკმარისად მომზადებული არ არის. თავის პასუხში იუსტიციის სახალხო კომისრის კურსკის წერილზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობანი დეკრეტების სასწრაფოდ მომზადებისაგან წარმოსდგებაო. ვ. ი. ლენინმა მიუთითა, რომ კანონმდებლობის საქმეში საჭიროა სამკეცი ყურადღება, შვიდჯერ გაზომვა.³

სოციალისტური სახელმწიფოს კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების სისწორის კრიტერიუმში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაა. სამართლებრივი აქტების გამოცემა და მოქმედება დამოკიდებულია გარემოებაზე, ადგილსა და დროზე. ამიტომ შესაძლებელია კანონი მთლიანად ან ნაწილობრივ ძველდებოდეს, ვითარების შეცვლის გამო აღარ შეესაბამებოდეს ცხოვრების მოთხოვნებს; უფრო მეტიც, მოძველებულ კანონს შეუძლია დააბრკოლოს არსებული ვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასეთი კანონი უნდა გაუქმდეს ან ნაწილობრივ შეიცვალოს. ამასთანავე აუცილებე-

¹ ს. «Правда», 30. III. 1966 г.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 361.

³ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 54, стр. 191.

ლია, რომ ეს დროულად გაკეთდეს. ვ. ი. ლენინი ამბობდა, ...თუ კანონი აბრკოლებს რევოლუციის განვითარებას, ის გაუქმდება ან შესწორდება⁴.

ამასთანავე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კანონის გაუქმების ან შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს, რომ სწორედ ასეთი წესი შეესაბამება კანონიერების მოთხოვნას. ამ მითითებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო პროცესისა და სამართლებრივი ნორმების სრულყოფისათვის.

სოციალისტურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობას შესაძლებლობა აქვს დაუმორჩილოს კანონს ყველა პირი და დაწესებულება, ვისზეც ეს კანონი ვრცელდება. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ თვით ხელისუფლების რომელიმე ორგანოს უფლება აქვს არ დაემორჩილოს კანონს. უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს ორგანოები უნდა ემორჩილებოდნენ. მკატრად იცავდნენ მას, მშრომელთა ხელისუფლება და კანონიერება განუყრელია. კანონების დაუყოვნებლივ შესრულება ყველას მიერ, ვისაც ეს მოეთხოვება, სახალხო ხელისუფლების სიმტკიცისა და წარმატებით მოქმედების აუცილებელი პირობაა. უკლებლივ ყველა სახელმწიფოებრივი ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თანამდებობის პირი და მოქალაქე ვალდებულია ემორჩილებოდეს კანონებს, უსიტყვოდ ასრულებდეს მათ. ამ მოთხოვნაში ხედავდა ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების არსს. „აუცილებელია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. — საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“⁵.

ხელისუფლების სიმტკიცის უზრუნველყოფა, სახელმწიფოებრივი აპარატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეწყობილი და ეფექტური ურთიერთმოქმედება, ქვეყნის საქმეების წარმართვა შეუძლებელია ერთიანი კანონიერების გარეშე. მთელ სახელმწიფოში ერთიანი კანონიერების უზრუნველყოფა სოციალისტური საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ფუნქციონირებად უნდა აღიქვას. ყოველმხრივ ასაბუთებდა რა ამ დებულებას, ვ. ი. ლენინი საკავშირო კ(ბ) ცკ-ის პოლიტიუროსადმი მიმართულ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ „...კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანის, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ფედერაციისათვისაც“⁶.

კანონიერების ერთიანობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონები ერთგვარად უნდა იყოს გაგებული და გამოყენებული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ასეთი ერთიანობა განპირობებულია სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლებით, მუშათა კლასისა და გლეხობის, ყველა მშრომელთა მიზნების ერთიანობით, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულების ინტერესებით.

კანონიერების ერთიანობის მოთხოვნა თანაბრად ხორციელდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ეს უზრუნველყოფილია სსრ კავშირის კონსტიტუციური დებულებითა და უპირველეს ყოვლისა იმით, რომ საერთო-საკავშირო კანონებს ერთიანი ძალა აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტო-

⁴ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 637.

⁵ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 659—660.

⁶ ვ. ი. ლენინი. თხზ., მეოთხე გამოცემა, ტ. 33, გვ. 428.



რიაზე და მათთან მოკავშირე რესპუბლიკების კანონების შეუსაბამისობის შემთხვევაში მოქმედებს საერთო-საკავშირო კანონი.

მაგრამ კანონიერების ერთიანობა არ გამორიცხავს განსხვავებასაც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობაში, ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს მათ წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების განხორციელების მიზნით. ასეთი აქტები ითვალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს სამეურნეო თუ ადმინისტრაციულ საქმიანობასა და სხვა საკითხებში. მაგრამ კანონიერების ერთიანობის დებულება მოითხოვს, რომ ეს აქტები გამოიცემოდეს აღნიშნული ორგანოების მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საერთო-საკავშირო კანონების შესაბამისად და მათ შესასრულებლად. ამასთან აღსანიშნავია, რომ ცნება „სოციალისტური კანონიერება“ აუცილებლად მოიცავს იმასაც, რომ ყველა კანონქვემდებარე აქტი შეესაბამებოდეს კანონებს.

კანონიერების ერთიანობის დაცვა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების განხორციელების სავალდებულო პირობას წარმოადგენს, მისი აუცილებელი მოთხოვნაა დაშვებულ არ იქნას ბიუროკრატიული დამახინჯება და გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, აგრეთვე კუთხურობისა და წვრილბურჟუაზიული ანარქისტული ტენდენციების გამოვლინება.

დემოკრატიული ცენტრალიზმისა და კანონიერების ერთიანობის პრინციპების დაცვა აუცილებელია პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარებისათვის, სოციალისტური პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობის და საზოგადოების ყველა წევრის ძალღონის გაერთიანებისა და წარმართვისათვის ან პოლიტიკის განსახორციელებლად.

სამართლებრივი ნორმების დაცვა წამოადგენს კანონიერების განხორციელების ფორმას. მათი ზუსტი გამოყენების გარეშე კანონიერება არ არსებობს.

სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინურ დებულებას კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ერთმანეთისადმი დაპირისპირების დაუშვებლობის შესახებ. სოციალისტური კანონიერება თავისი შინაარსით ამავე დროს მიზანშეწონილობაა, ვინაიდან ის იცავს სოციალისტური სახელმწიფოს, საზოგადოების, მოქალაქეების ინტერესებს, შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის მიზნებსა და ამოცანებს.

კანონიერებასთან შეუთავსებელია სამართლებრივი ნორმების მექანიკური გამოყენება. კანონიერების სწორი გამოყენება მაშინ გვექნება, როცა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს არ იქნება დაშვებული გადახვევა კანონიდან. კანონის საფუძველზე და ფარგლებში გამოყენებულ უნდა იქნას მასში გათვალისწინებული და კონკრეტული ვითარებისათვის საქმის გარემოებათა მთელი ერთობლიობის მიხედვით ყველაზე მიზანშეწონილი ღონისძიებანი. სწორედ ეს არის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თანაფარდობის არსი. მიზანშეწონალობა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, მაგრამ მხოლოდ კანონის ფარგლებში. სწორედ მაშინ გვექნება კანონიერებაცა და მიზანშეწონილობაც.

როცა ვ. ს. ლენინი გაეცნო მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების პროექტს, სადაც ნათქვამი იყო, რომ მუშგლეხინი ამოწმებს დაწესებულებათა საქმიანობას მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მან



მიუთითა, რომ ეს უნდა მოხდეს არა მხოლოდ ამ თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე კანონიერების თვალსაზრისითაც.⁷

ცდა კანონიერებისათვის გვერდის ავლისა ვითომდა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით ემყარება იმ მისწრაფებას, რომ დაცულ იქნას ვიწროუწყებ-რივი და კუთხური ინტერესები თუნდაც საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების საზიანოდ. ასეთი რამ კანონიერების დარღვევაა.

ვ. ი. ლენინს დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ვინმეს მისცემოდა კანონისათვის გვერდის ავლის საშუალება. საინტერესოა შემდეგი ფაქტი: რსფსრ სახკომსაბ-ჭოს მდივანმა მიმართა ლენინს თხოვნით ნება დაერთო „გვერდი აევლო დეკ-რეტისათვის“. რომლის მიხედვით არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე დაწესებუ-ლებაში ნათესავებს ემუშავნათ. ლენინი ამ მიმართვის პასუხად წერდა, დეკ-რეტის გვერდის ავლა არ შეიძლება, ის, ვინც ასეთ წინადადებას შეიტანს, სა-მართალში უნდა მიეცეს. ამ წერილს პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანო-ნიერების არსის გაგებისათვის და მისი განუხრელი განხორციელებისათვის. ვ. ი. ლენინი ყოველთვის მოითხოვდა კანონების აუცილებლად შესრულებას.

კანონიერების ლენინურ მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს კანონიერ-ბისა და კულტურულობის კავშირის საკითხს. ვ. ი. ლენინის სიტყვებით „კულ-ტურულობასთან“ „განუწყვეტლად დაკავშირებულია კანონიერება“.⁸

კანონიერებისათვის ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა კულტურული დონის ამაღლებისათვის. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ყველასათვის აუცილე-ბელი და ერთიანი კანონების გარეშე „კულტურულობის რაიმე დაცვა და რა-იმე შექმნაზე ლაპარაკიც შეუძლებელია“.¹⁰

დიდა კანონიერების კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და თვით კულტურას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიერების განმტკი-ცებისათვის, მისი ზუსტი დაცვა კულტურული დონის მაჩვენებელია და, პი-რიქით, სამართლის ნორმების დარღვევა არა მარტო ზიანს აყენებს საზოგადო-ებას. არამედ მოწმობს დამრღვევის უკულტურობასაც.

კანონიერებასა და კულტურის ამაღლებას ლენინი უდიდეს მნიშვნელო-ბას ანიჭებდა. იგი მოითხოვდა, ვისწავლოთ კულტურულად ბრძოლა კანონი-ერებისთვის.

კანონიერებისათვის კულტურულად ბრძოლა ნიშნავს განუხრელად იცავ-დე სამართლებრივ ნორმებს, ზრუნავდე მთელი საზოგადოების კულტურული ზრუნვისათვის, კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის ნორმების განმ-ტკიცებისათვის ყოველი ადამიანის შეგნებასა და ქცევაში, პოლიტიკურად შეგნებულ, კვალიფიციურ, საქმიან და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს კანო-ნების, თუ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით გათვალისწინებულ დო-ნისძიებათა განხორციელებაში, საზოგადოების პოლიტიკურ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში.

კანონიერების განმტკიცების აუცილებელი პირობაა მთელი სისრულით გამოყენებული იქნას მისი იურიდიული გარანტიები, როგორც არის კონტ-როლი და ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოების მხრივ, დანაშაულის

7 В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 44, стр. 413.

8 В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 50, стр. 266.

9 ვ. ი. ლენინი. თხზ., მეოთხე გამოცემა, ტ. 4, გვ. 430.

10 იქვე, გვ. 429.

ჩამდენთა დასჯა სასამართლოს მიერ, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სამოქალაქო სამართლებრივი ზემოქმედების გამოყენება იმათ მიმართ, ვინც ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო დელიქტს ჩაიდენს.

კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიებს შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ დარღვევის ყველა ფაქტის გამო მიღებულ იქნას კანონით გათვალისწინებული ზომები, არც ერთი ასეთი ფაქტი არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. ლენინი ამბობდა: „გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სასჯელისა განპირობებულია სრულიადაც არა მისი სისასტიკით, არამედ მისი აუცილებლობით. მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დამნაშავე სასტიკად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმედავებელი“¹¹.

კანონიერების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა აღზრდას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების სულისკვეთებით, მშრომელთა ფართო მონაწილეობას როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების განხილვაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობისათვის კონტროლის გაწევაში.

საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებასთან ერთად მტკიცდება კანონიერებაც, მაგრამ მისი სულ უფრო მკაცრად დაცვის მოთხოვნა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. საანგარიშო მოხსენებაში სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე ლენინი ამბობდა, რომ რაც უფრო მატულობს და უმჯობესდება მტკიცე და ძლიერი ხელისუფლების უზრუნველყოფელი პირობები, რაც უფრო ფართოვდება სამოქალაქო ბრუნვა, მით მეტი დაბეჯითებით უნდა მოვუწოდებდეთ რევოლუციური კანონიერების სულ უფრო მტკიცედ განხორციელებისათვის¹².

ასეთია სოციალისტური კანონიერების ლენინური დებულებები. მათი მნიშვნელობა სოციალისტური საზოგადოებისათვის სულ უფრო იზრდება. ისინი შემდგომ ლოგიკურ განვითარებას იღებენ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებში. ამჟამად „პარტია აყენებს ამოცანას, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“¹³.

კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, აუცილებელია სასტიკი ზომების მიღება იმ პირთა დასასჯელად, ვინც ჩაიდენს საზოგადოებისათვის საშიშ დანაშაულს, დაარღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის თავიდან აცილებას.

11 ვ. ი. ლენინი. თხზ., მეოთხე გამოცემა, ტ. 4, გვ. 412.

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., მეოთხე გამოცემა, ტ. 33, გვ. 199.

13 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 141.



მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფა, კულტურული დონის და შეგნებულობის ამაღლება ყველა პირობას ქმნის დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის. სოციალიზმის პირობებში ყოველ ადამიანს, რომელიც შრომითს გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს სასარგებლო საქმიანობას. მაგრამ ეს პირობები თავისთავად ვერ მიგვიყვანს მართლწესრიგის დარღვევის აღმოფხვრამდე. არც ერთი უარყოფითი მოვლენა არ მოისპობა მის წინააღმდეგ ბრძოლის გაუძლიერებლად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეობის აღმოფხვრა წარმოადგენს რთულ და ძნელ პროცესს, რომელიც მოითხოვს ძალღონის დიდ დაძაბვას, ხელისუფლების ძლიერების ყოველმხრივ გამოყენებას.

ჯერ კიდევ იშვიათი არ არის ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენა, რომელიც აერიოზულ ზიანს აყენებს საზოგადოებასა და ცალკეულ მოქალაქეებს. დამნაშავეობასთან ბრძოლის ოდნავი შესუსტება ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას.

სოციალისტურ ქვეყანაში დამნაშავეობის მთავარი მიზეზია კაპიტალისტური გადმონაშთების არსებობა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში და კაპიტალისტური იდეოლოგიის გავლენა ჩამორჩენილ და მერყევ ელემენტებზე. კაპიტალისტური გადმონაშთების, აგრეთვე იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგიური ღივერსაის დაძლევა. დამნაშავეობის მოსპობის, კანონიერების დარღვევათა მოსპობის აუცილებელი პირობაა.

პარტია და სახელმწიფო ზრუნავენ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ახორციელებენ ახალ ღონისძიებებს ამ მიმართულებით, დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა მასების მონაწილეობას მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფო სოციალიზმის გამარჯვების, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოდან გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, კანონიერებაც პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების მეტოღიდან გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ჩეთოდად.

კომუნისმის მშენებლობის ეტაპზე კანონიერებას უფრო ფართო ბაზა აქვს, ვიდრე წინათ ჰქონდა. სულ უფრო მეტად იქმნება პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პირობები მისი შემდგომი განმტკიცებისათვის. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი შესაძლებლობა, ძაული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები მართლწესრიგისა და კანონიერების ყოველმხრივ უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა განპირობებს შემდეგ დასკვნას: კანონიერების თანმიმდევრული განმტკიცება ობიექტური აუცილებლობაა და მეტად მნიშვნელოვანია სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისათვის სანამ არ მოისპობა დანაშაული და მისი წარმომობი ყველა მიზეზი, — კერძომესაკუთრული და წარსულის სხვა უარყოფითი გადმონაშთები ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, სანამ ყოველ მოქალაქეს ჩვენად არ ექცევა შესარულოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, სანამ

ადამიანები მთლიანად არ შეეჩვევიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

კანონიერების განმტკიცება თვითმიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალებაა. კანონიერება სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ-სამართლებრივი იარაღია კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. სოციალისტური სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მშრომლებს ზრდიან მოვალეობათა ნებაყოფლობითი, კეთილსინდისიერი შესრულების სულისკვეთებით. კომუნიზმის მშენებლობის ეს და ყველა სხვა ამოცანა ნით უფრო წარმატებით იქნა გადაჭრილი, რაც უფრო მკაცრად და ზუსტად იქნება დაცული კანონიერებათა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ყველა სფეროში, ყველა მშრომელთა შემოქმედებით მოღვაწეობაში.

კანონიერების განხორციელება, მისი ყოველმხრივ უზრუნველყოფა იყო და არის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოს, მთელი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

ოქტომბრის ჩვეულება და საბჭოთა სასამართლოს შექმნა

ა. შუშანაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, რომელიც იცავს გაბატონებული კლასების ინტერესებს. ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, სახელმწიფო ხელისუფლების ცვლილება, იწვევს სასამართლო სისტემის შეცვლასაც.

პროლეტარიატის ინტერესებისათვის ძველი სახელმწიფო აპარატისა და, კერძოდ, მართლმსაჯულების ორგანოების გამოყენების შეუძლებლობა თვალნათლივ დადასტურა პარიზის კომუნის გამოცდილებამ.

გ. ი. ლენინმა, რომელიც თანმიმდევრულად იცავდა და აფითარებდა კლასობრივი იუსტიციის მარქსისტულ იდეას, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაასაბუთა ბურჟუაზიული სასამართლოს დამსხვრევის აუცილებლობა, სასამართლოსი, რომელიც „ვითომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ბრმა, მოქნილი იარაღი იყო ექსპლოატორებულთა უღმობელი დათრგუნვისა, მდიდართა ინტერესების დაცვისა“¹

ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ექსპლოატორული სახელმწიფო მექანიზმის ყველა რგოლი და დასაბამი მისცა ახალი, სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას. სასამართლოს მიმართ „საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერძა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ, — მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად... ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან შევქმნით აღზრდის იარაღი სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე“².

ძველი სასამართლო სისტემის გაუქმებისა და ახლის შექმნის პროცესი დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საბჭოთა ხელისუფლება გამოსცემდა კანონს სასამართლოს შესახებ³. რევოლუციური მასები საკუთარი ინიციატივით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, აუქმებდნენ ბურჟუაზიული მართლმსაჯულების ორგანოებს და აარსებდნენ ახალ საბჭოთა სასამართლოებს (დროებითი სახალხო სასამართლოები, სახალხო-რევოლუციური ტრიბუნალები, „საზოგადოებრივი სინდისის“ სასამართლოები და სხვა)⁴. იწო-

1 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 542.

2 იქვე, გვ. 542.

3 თუმცა 1905 წლისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციების დროსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციური მასების მიერ ახალი სასამართლოების ჩამოყალიბების შემთხვევებს, მაგრამ საბჭოთა სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ისტორია იწყება ოქტომბრის რევოლუციიდან.

4 იხ. М. В. Кожевников. История советского суда, М., 1957, гл. 15.

ნებდა რა სასამართლო მშენებლობის დარგში მასების ინიციატივასა და თვით-შემოქმედებას ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „რევოლუციური მასები, 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ, სწორ გზას დაადგნენ და რევოლუციის ცხოველყოფილობა დაამტკიცეს, როდესაც იწყეს თავიანთი, მუშათა და გლეხთა, სასამართლოების მოწყობა, ბურჟუაზიულ--დემოკრატიული სასამართლო აპარატის დაშლის შესახებ ჯერ კიდევ ყოველგვარი დეკრეტების გამოცემამდე“⁵.

მშრომელთა რევოლუციური ენთუზიაზმით შექმნილი სასამართლოების ორგანიზაცია და პროცესუალური საქმიანობის ფორმები კანონით არ იყო რეგლამენტირებული. საბჭოთა ხელისუფლებას, ბუნებრივია, არ შეეძლო ერთი დარტყმით მოეხდინა სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროს უნიფიკაცია. მიუხედავად ამისა, საქმის წარმოება პირველ საბჭოთა სასამართლოებში ხასიათდებოდა ფართო პროლეტარული დემოკრატიზმითა და ჰუმანიზმით. 1917 წლის 9 ნოემბრის „იზვესტიამი“ დახასიათებულია ერთ-ერთი პირველი საბჭოთა სასამართლოს, ვიბორგის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობა. როგორც სავაზეთო ინფორმაციით და ამ სასამართლოს საქმიანობის შესახებ შემორჩენილი საარქივო მასალებით ირკვევა,⁶ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ მშრომელთა წარმომადგენლები; თავმჯდომარედ არჩეული იყო ქარხნის მუშა ი. ჩაიკინი; საქმის განხილვა მიმდინარეობდა საქვეყნოდ, ყველა მსურველის თანდასწრებითა და მონაწილეობით; პროცესზე დამსწრე მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მიეცათ შეკითხვები საქმის მონაწილეთათვის, გამოსულიყვნენ ბრალმდებლად ან დამცველად და გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება განსახილველი საქმის გამო. აღსანიშნავია, რომ ეს სასამართლო პატიმრობასა და გამასწორებელი სამუშაოების გარდა დამნაშავეთა მიმართ იყენებდა მორალური ზემოქმედების ღონისძიებებსაც: გაფრთხილებას, გაკიცხვას, მუშათა წრიდან გარიცხვას, მეთვალყურეობაში გადაცემას და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ხანებში სასამართლო ორგანიზაცია და სამართალწარმოება კანონით არ იყო მოწესრიგებული. საბჭოთა სასამართლოები რევოლუციამდელ კანონმდებლობას, როგორც წესი, არ იყენებდნენ, ხოლო ახალი კანონები ჯერ გამოცემული არ იყო. სასამართლოებს შორის არ არსებობდა ურთიერთკონტაქტი და ინფორმაციათა გაცვლა. სწორედ ამით აიხსნება საქმის წარმოების ის ცალკეული თავისებურებანი, რაც პირველი სასამართლოების საქმიანობას თან სდევდა. მაგალითად, ზოგ სასამართლოში საქმის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას შეადგენდა, ზოგში კი საქმე წყდებოდა უშუალოდ პროცესზე დამსწრე საზოგადოების მიერ ღია კენჭის ყრით. ზოგან დამცველად და ბრალმდებლად გამოსვლა ყველა მსურველს შეეძლო, ხოლო ზოგან დამსწრეთაგან პროცესში გამომსვლელთა რიცხვს თვითონ საქმის განმხილველი სასამართლო განსაზღვრავდა. ასეთსა და სხვა ამგვარი ნიუანსების მიუხედავად, პირველი საბჭოთა სასამართლოები ერთიანი დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ყალიბდებოდნენ. რევოლუციური მასები იმუ-

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 344.

⁶ მასალები გამოქვეყნებულია ჟურნალ «Исторический архив»-ში, 1957, № 1.

შეგებდნენ და იყენებდნენ სასამართლო წარმოების ისეთ ფორმებს, რომლებიც შეესაბამებოდა მათ რევოლუციურ მართლშეგნებას და მშრომელთა ინტერესებს. სასამართლოს არჩევითობა, კოლექტიურობა, ყველა მოქალაქის თანასწორობა სასამართლოს წინაშე, საქმის განხილვის საქვეყნობა, ბრალდებულის დაცვის უფლება და სხვა ძირითადი დებულებები, რომლებსაც ემყარებოდა პირველი სასამართლოების საქმიანობა, შემდგომში აისახა კანონმდებლობაში, როგორც საბჭოთა მართლმსაჯულების ურყევი პრინციპები. ეხებოდა რა საბჭოთა სასამართლოების შექმნის პირველ პერიოდს, დ. კურსკი წერდა: „რევოლუციური მასები ქმნიდნენ სასამართლოს, რომელიც ძირითად ხაზებში საოცრად ემთხვეოდა № 1 დეკრეტით გათვალისწინებულ ადგილობრივ სასამართლოს“.⁷

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის პირველსავე დღეებში მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ახალი სასამართლოები ჩამოყალიბდა, საბჭოთა სასამართლო სისტემის შექმნის პრობლემა გადაწყვეტილი მაინც არ იყო. რევოლუციამდელი სასამართლოები განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას. მოსკოვის საოკრუგო სასამართლომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი არის „კანონიერებისა და მართლწესრიგის ბურჯი და, ქვეყნის შიგნით მიმდინარე არეულობის მიუხედავად, გადაწყვეტილი აქვს კვლავაც განაგრძოს თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობა“⁸. ამკარად იგრძნობოდა, რომ ძველი სასამართლო აპარატის საბოლოო ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო ლეგალიზებული სახელმწიფო ღონისძიებები.

საბჭოთა სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფა იმთავითვე წარმოადგენდა სოციალისტური სახელმწიფო მშენებლობის შემადგენელ ნაწილს, კომუნისტური პარტიის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგანს. პარტიული და საბჭოთა ორგანოები აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი სასამართლოების ჩამოყალიბებაში, წარმართავდნენ მათ საქმიანობას რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ამტკიცებდნენ სპეციალურ წესებს, დებულებებს, რომლებშიც განსაზღვრული იყო სამართალწარმოების ძირითადი საკითხები; ხშირად საქმეს იძიებდა და არსებითად წყვეტდა თვით საბჭო⁹. ამასთან, პარტიისა და მთავრობის ცენტრალური ორგანოები დიდ მუშაობას ეწეოდნენ სასამართლოს შესახებ ერთიანი კანონმდებლობის შემუშავებისათვის. იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომელიც პირველი საბჭოთა მთავრობის შექმნისთანავე ჩამოყალიბდა, დაევალა ახალი სასამართლო სისტემის ორგანიზაცია და სათანადო კანონმდებლობის მომზადება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მოკლე ხანში მოამზადა პროექტი დეკრეტისა სასამართლოს შესახებ და წარუდგინა იგი განსახილველად სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. დაწყებული 1917 წლის 10 ნოემბრიდან, ცაკმა რამდენჯერმე განიხილა ეს პროექტი, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანდა, რადგან იმ დროს ცაკის შემადგენლობაში მყოფი „მემარცხენე“ ესერები ყოველნაირად ამუხრუჭებდნენ და აჭიანურებდნენ დეკრეტის მიღებას. თვით საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა შორისაც ყველა ადფრთოვანებით

⁷ Д. И. Курский. Избранные статьи и речи, М., 1948, 83-17.

⁸ «Русские ведомости», 12.XI.1917.

⁹ იხ. В. Прошина. Организация и деятельность первых судов Российской Федерации, «Советская юстиция», 1957, № 9, 83-27—31.

როდი შეხვდა სასამართლოს შესახებ დეკრეტის პროექტს. როგორც ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი პ. სტუჩკა აღნიშნავდა: „იმ დროს ბევრს აშინებდა აზრი იმის შესახებ რომ თუნდაც ერთი დღე როგორ გავძლოთ უსასამართლოდონისი შორს იყვნენ გამბედაობისაგან, რომელსაც ვოლტერი მოითხოვდა: ჯერ დავწვათ ძველი კანონები და შემდეგ დავწეროთ ახლებიო!“.10

პროექტი დეკრეტისა სასამართლოს შესახებ ცაკის პარალელურად იხილებოდა სახალხო კომისართა საბჭოშიც რომელიც იმ ხანებში საკანონმდებლო ფუნქციებითაც სარგებლობდა. სახკომსაბჭოს 1917 წლის 14 და 15 ნოემბრის სხდომებზე ნათელი გახდა, რომ წარმოდგენილი პროექტი სრულყოფილი არ იყო. განსაკუთრებით დავა გამოიწვია პროექტის დებულებებმა სამომრიგებლო სასამართლოების გაუქმებისა და ძველი კანონმდებლობის გამოყენების კატეგორიული აკრძალვის თაობაზე. 1917 წლის 16 ნოემბერს ვ. ი. ლენინის წინადადებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა დეკრეტის პროექტის გადამუშავება. კომისიამ, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა, დავალება წარმატებით შეასრულა. მის მიერ წარმოდგენილი პროექტის ტექსტი სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1917 წლის 22 ნოემბერს. მეორე დღეს დეკრეტი, რომელსაც შემდგომში ეწოდა დეკრეტი № 1 სასამართლოს შესახებ გამოქვეყნდა „პრავდაში“, ხოლო 24 ნოემბერს „მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის გაზეთში“. რადგან ეს გაზეთი მთავრობის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა, დეკრეტის გამოცემის თარიღად 1917 წლის 24 ნოემბერი ითვლება¹¹.

№ 1 დეკრეტმა სასამართლოს შესახებ ოფიციალურად გააუქმა მეფის რუსეთის ყველა არსებული სასამართლო უწყება: საოკრუგო სასამართლოები, სასამართლო პალატები, მმართველი სენატი და მისი დეპარტამენტები, საუწყებო სასამართლოები, ძველი საგამომძიებლო-პროკურატურის აპარატი და ადვოკატურა.

თუმცა დეკრეტში სამომრიგებლო სასამართლოების გაუქმება კატეგორიული ფორმით არ ყოფილა გამოცხადებული, მაგრამ დეკრეტის მითითება სამომრიგებლო სასამართლოების საქმიანობის შეჩერების შესახებ ფაქტიურად მათ გაუქმებას ნიშნავდა. ყოფილ მომრიგებელ მოსამართლეებს დეკრეტმა მიანიჭა უფლება არჩეულიყვნენ ახალი სასამართლოების ადვილობრივ მოსამართლეებად, მაგრამ მათ თავისი ეს უფლება არ განუხორციელებიათ. რსფსრ-ს იუსტიციის მუშაკთა ყრილობაზე დ. ი. კურსკიმ განაცხადა: „რაც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეების საქმიანობას, ახალი დეკრეტის გამოცემის შემდეგ მოსკოვში ერთი მოსამართლეც კი არ აღმოჩნდა, რომ დეკრეტის წინადადება მიეღო და თავისი საქმიანობა¹² განეგრძო. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც.

განამტკიცა რა საკანონმდებლო წესით ბურჟუაზიულ-მემამულური სასამართლო აპარატის მსხვერვის პროცესი, დეკრეტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა

¹⁰ П. И. Стучка. Пролетарская революция и суд, «Пролетарская революция и право», 1918, № 1, 83. 21.

¹¹ სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის ისტორიის საკითხზე უფრო დწვრილებით იხ. Т. П. Малькевич, К истории первых декретов о советском суде, «Советское государство и право», 1940, № 7, и 8—9; П. Г. Мишунин, К истории декрета № 1 о суде, «Советское государство и право», 1952, № 1.

¹² Материалы НКРЮ, 1918, вып. II, 83. 13.

საბჭოთა სასამართლოს, განსაზღვრა ახალი სასამართლო სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

ძველი სასამართლო სისტემის სანაცვლოდ დეკრეტი ითვალისწინებდა ადგილობრივი სასამართლოებისა და რევოლუციური ტრიბუნალების შექმნას. დეკრეტის თანახმად, ადგილობრივ სასამართლოებს ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის საქმეები, თუ დამნაშავეს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, და სამოქალაქო საქმეები, თუ საარჩელის ფასი სამი ათას მანეთს არ აღემატებოდა. რევოლუციური ტრიბუნალების კომპეტენციაში შედიოდა ბრძოლა კონტრრევოლუციურ დანაშაულობათა წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ სასჯელის ზომა სასამართლო ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის მყარ კრიტერიუმს არ წარმოადგენდა, რადგან დანაშაულის სანქციების განმსაზღვრელი კანონები ჯერ გამოცემული არ იყო. საქმის ქვემდებარეობის საკითხს საბოლოო ანგარიშით წყვეტდა თვითონ სასამართლო საკუთარი შეხედულებით. გარდა ამისა, რევოლუციის პირველ პერიოდში კონტრრევოლუციური დანაშაულის ცნება უშუალოდ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივი ქმედობის გარდა სხვა დანაშაულებსაც მოიცავდა. მაგალითად: მკვლელობას, სპეკულაციას, ბოროტ ხულიგნობას და ა. შ. ამიტომ პრაქტიკაში არც თუ იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც რევოლუციური ტრიბუნალი იხილავდა მცირემნიშვნელოვან საქმეებს, ხოლო ადგილობრივი სასამართლო — კონტრრევოლუციური ხასიათის დანაშაულებს¹³. სასამართლო ქვემდებარეობის საკითხის მოწესრიგება მოხდა თანდათანობით სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის კვალბაზე.

საბჭოთა სასამართლო იმთავითვე იქმნებოდა როგორც მართლმსაჯულების განმანხორციელებელი ერთიანი ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტი ორი სახის სასამართლო ორგანოს ითვალისწინებდა, მართლმსაჯულების აგება ნავარაუდევია იყო საერთო პრინციპებზე დაყრდნობით.

დეკრეტმა დაადგინა ყველა მოსამართლის არჩევითობა. ადგილობრივ მოსამართლეს ირჩევდა უშუალოდ მოსახლეობა, ხოლო რევტრიბუნალის წევრებს — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო. სასამართლოში საქმე იხილებოდა ორი, ხოლო რევტრიბუნალში ექვსი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. სახალხო მსაჯულთა სიებს ადგენდა და ამტკიცებდა საბჭო.

როგორც ადგილობრივ სასამართლოში, ასევე რევტრიბუნალშიც საქმის განხილვა ღია სამსჯავრო სხდომაზე ხდებოდა. დამცველად და ბრალმდებლად გამოსვლა შეეძლო ყველა უმწიკვლო მოქალაქეს, თუ მას აყრილი არ ქონდა სამოქალაქო უფლებები. დაცვა დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების სტადიაზეც.

ადგილობრივ სასამართლოში საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა მოსამართლე, ხოლო რევტრიბუნალის ქვემდებარე საქმეების გამოძიებისათვის დეკრეტი ითვალისწინებდა სავამომძიებლო კომისიების შექმნას ადგილობრივ საბჭოებთან.

დეკრეტით გაუქმდა აპელაცია და შემოღებული იქნა საქმის საკასაციო გადასინჯვა. ადგილობრივ სასამართლოსათვის საკასაციო ინსტანციას წარმოად-

¹³ იხ. Р. Д. Рахунов, Первая конституция РСФСР и установление советского суда, «Труды научной сессии, посвященной сорокалетию конституции РСФСР 1918 года», М., 1959, гл. 158—159.

გენდა ადგილობრივ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც იწვევოდა პერიოდულად. რევტრიბუნალის საკასაციო ინსტანციის შესახებ დეკრეტში არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამოირიცხავდა მათ მიერ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გაუქმების შესაძლებლობას. რევტრიბუნალების ქვემდებარე საქმეების საკასაციო გადასინჯვას აწარმოებდა ცაკ-თან არსებული საკასაციო განყოფილება. 1918 წლის იანვარში ასეთივე განყოფილება ჩამოყალიბდა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან¹⁴.

სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ახალი სასამართლოების მოწყობამ საყოველთაო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად ადგილებზე ვაიგზავნა გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები; ზოლო ადგილობრივ საბჭოებთან შეიქმნა იუსტიციის განყოფილებები (კომისარიატები). ძველი სასამართლოების წარმოებაში მყოფი საქმეების ამოღების წესის თაობაზე 1917 წლის 29 დეკემბერს ცაკმა სპეციალური დეკრეტი გამოსცა¹⁵.

სასამართლოს შესახებ პირველი საბჭოთა დეკრეტის პრაქტიკული განხორციელება დაიწყო და მიმდინარეობდა გაავფრთხილებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კონტრრევოლუცია აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ახალი სასამართლოების ჩამოყალიბებას, ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა და სახელი გაეტეხა რევოლუციური მართლმსაჯულებისათვის. დეკრეტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით რევოლუციამდელი რუსეთის უმაღლესმა სასამართლო ორგანომ — სენატმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დეკრეტი უკანონოდ გამოაცხადა. პეტროგრადისა და მოსკოვის ადვოკატებმა სპეციალური კრებები მოიწვიეს და საჯაროდ დაამეს აღნიშნული დეკრეტი¹⁶.

საბჭოთა სასამართლო სისტემის შემოღებას ძველი სასამართლოსი და პროკურატურის ჩინოვნიკებმა მასობრივი საბოტაჟით უპასუხეს. „დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ძველი სასამართლოების მუშაკები, დაწყებული ყველა ჯუღისა და რანგის წარმომადგენლებით და დამთავრებული საქმის მწარმოებლებით, მეგობრულად მიეკედლენ ინტერვენციის საბოტაჟს და სასამართლოები ბედის ანაბარად მიატოვეს. მხოლოდ შიკრიკებისა და დარაჯების უმრავლესობა დარჩა პროლეტარული რევოლუციის ერთგული და დიდი დახმარება გაგიწია რევოლუციური სასამართლოების მუშაობის მოწესრიგებაში¹⁷.

თუ რა შიშიე პირობებში წარმოებდა საბჭოთა სასამართლოების ორგანიზაცია მოწმობს თუნდაც შემდეგი ფაქტი. 1917 წლის 23 დეკემბერს პეტერგოფის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თხოვდა წითელი არმიის რაიონულ შტაბს განეწყესებინა სახალხო სასამართლოებში წითელგვარდიელთა სამცვლიანი დაცვა¹⁸.

კონტრრევოლუციის ყოველგვარი ცდა ჩეშალა საბჭოთა სასამართლო სისტემის მშენებლობა ამაო აღმოჩნდა. რევოლუციურმა ხელისუფლებამ მოკლე ხანში ჩაშალა კლასობრივი მტრის მახინციები და წარმატებით განახორციელა სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტით დასახული ღონისძიებანი. დეკრეტის გა-

14 СУ РСФСР, 1918 г. № 21, მუხ. 314.

15 СУ РСФСР, 1918 г. № 15, მუხ. 225.

16 об. «История советского уголовного права», под ред. А. А. Герцензона, М., 1948, 83. 62; П. Г. Мишущин. Очерки по истории советского уголовного права, М., 1954, 83. 33.

17 Ф. Нахimson, Десять лет. «Рабочий суд», 1927, № 21/133.

18 об. «Исторический архив», 1957, № 1, 83. 118.

მოქვეყნების წლისთავზე პ. სტუჩკამ განაცხადა: „გვირგვინი მოეხადა ფემიდას. ჩამოგდებული და რევოლუციურ კანონს გარეთ გამოცხადებულია ბურჟუაზიული მართლმსაჯულების ეს ფლიდი ქალღმერთი. პროლეტარიატმა მას ხელიდან გამოსტაცა სასტიკი მახვილი, ხოლო მისი ფარსევლური სასწორი რევოლუციის მუზეუმს ჩაბარდა¹⁹.

საბჭოთა სასამართლო სისტემამ განეთარებინა და სრულყოფის დიდი გზა განვლო. პირველი დეკრეტის შემდეგ გამოიცა და განხორციელდა მთელი რიგი სხვა დეკრეტები, დებულებები, ინსტრუქციები, საფუძვლები, კოდექსები. თანდათანობით გაფართოვდა სახალხო სასამართლოს იურისდიქცია, განმტკიცდა და განვითარდა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები. დღიდან შექმნისა საბჭოთა სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური კანონების განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, მოქალაქეთა აღზრდას კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

¹⁹ П. Стучка, Годовщина первого декрета о суде. «Правда» 7 декабря, 1918 г.

ოქტომბრის რევოლუციის წინახანებში ირანი წარმოადგენდა ნახევრადფეოდალურ ქვეყანას, რომელსაც ფაქტიურად აღარ ეკაჩნდა სახელმწიფო სუვერენიტეტი იმის გამო, რომ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში — ინგლისი და მეფის რუსეთი თანმიმდევრულად ახორციელებდნენ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების კოლონიზატორულ პოლიტიკას. ირანის გადაქცევას ამ იმპერიალისტური სახელმწიფოების პროტექტორატად დასაბამი მისცა 1814 წლის ინგლის-ირანის საიდუმლო შეთანხმებამ და 1828 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებამ (თუქმანჩაის ტრაქტატმა). 1862 წელს ინგლისმა სატელეგრაფო კონცესია მიიღო ირანში; 1872 წელს ინგლისელებმა ირანის მრავალ ქალაქში გახსნეს საიმპერიო (შაჰინ შაჰის) ბანკის განყოფილება; 1892 წელს შაჰნასრედინისათვის მიცემული სესხის უზრუნველსაყოფად ინგლისი დაეპატრონა სპარსეთის უბის საბაჟოთა მთელს შემოსავალს; 1901 წელს ინგლისმა ხელთიგდო ირანის მთავარი ეროვნული სიმდიდრე — ნავთობი; პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, როცა ინგლისს დაკავებული ჰქონდა ირანის მთელი ტერიტორია, მას თითქმის აღარაფერი უშლიდა ხელს იმაში, რომ ირანი მეორე ინდოეთად გადაექცია, ე. ი. თავის დომინიონად გამოეცხადებინა იგი.

ბ. ფარპიუფური,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ოქტომბრის რევოლუციის წინახანებში ირანი წარმოადგენდა ნახევრადფეოდალურ ქვეყანას, რომელსაც ფაქტიურად აღარ ეკაჩნდა სახელმწიფო სუვერენიტეტი იმის გამო, რომ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში — ინგლისი და მეფის რუსეთი თანმიმდევრულად ახორციელებდნენ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების კოლონიზატორულ პოლიტიკას. ირანის გადაქცევას ამ იმპერიალისტური სახელმწიფოების პროტექტორატად დასაბამი მისცა 1814 წლის ინგლის-ირანის საიდუმლო შეთანხმებამ და 1828 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებამ (თუქმანჩაის ტრაქტატმა). 1862 წელს ინგლისმა სატელეგრაფო კონცესია მიიღო ირანში; 1872 წელს ინგლისელებმა ირანის მრავალ ქალაქში გახსნეს საიმპერიო (შაჰინ შაჰის) ბანკის განყოფილება; 1892 წელს შაჰნასრედინისათვის მიცემული სესხის უზრუნველსაყოფად ინგლისი დაეპატრონა სპარსეთის უბის საბაჟოთა მთელს შემოსავალს; 1901 წელს ინგლისმა ხელთიგდო ირანის მთავარი ეროვნული სიმდიდრე — ნავთობი; პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, როცა ინგლისს დაკავებული ჰქონდა ირანის მთელი ტერიტორია, მას თითქმის აღარაფერი უშლიდა ხელს იმაში, რომ ირანი მეორე ინდოეთად გადაექცია, ე. ი. თავის დომინიონად გამოეცხადებინა იგი.

მაშინ, როცა ინგლისის იმპერიალიზმი თავის ექსპანსიას ირანში სამხრეთიდან ახორციელებდა, მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დაუფლებოდა ჩრდილოეთ ირანს. გეოგრაფიული სიახლოვე ირანთან რუსეთს უქმნიდა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი გულახდილად აცხადებდა, რუსეთის მოშავალი აზიაშიაო¹. მოაქცია რა თავის საზღვრებში შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ვრცელი ტერიტორიები, მეფის რუსეთმა კოლონიური ექსპანსია სამხრეთისაკენ მიმართა, სადაც მას მკვეთრად დაუპირისპირდა ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლური ინტერესები. ირანი გახდა ინგლის-რუსეთის ქიშპობის საგანი. ორ დიდ სახელმწიფოს შორის გაჩაღდა მწვავე დიპლომატიური ბრძოლა ირანის განაწილებისათვის. წარმატება ჯერ რუსეთს ხვდა წილად: 1880 წელს რუსეთმა ირანში შეჰქმნა ე. წ. შაჰის კახაკთა ბრიგადა რუსი ოფიცრების მეთაურობით, რომელიც უკვე სამხედრო დასაყრდენს წარმოადგენდა. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსი კაპიტალისტის პოლიაკოვის მიერ 1890 წელს დაარსებული „საგანაღებო-სასესხო“ ბანკი, რომლის პირველივე სესხებით რუსეთმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩრდილოეთ ირანის საბაჟოები. 1900-1902 წლებში შაჰმა მოზაფურ ედ დინმა ახალი სესხები აიღო და ვალდებულება იკისრა რუსეთის წინაშე, რომ არ მიმართავდა სხვა სახელმწიფოებს ფინანსური დახმარებისათვის, სანამ რუსეთის სესხებს არ გაისტუმრებდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შაჰის ხა-

¹ «Новый Восток», 1923, № 3.



ზინა გამუდმებით განიცდიდა ფულის ნაკლებობას, გასაგები გახდებოდა, რომ ეს ვალდებულება ნიშნავდა ირანის სრულ ფინანსურ დამოკიდებულებას რუსეთზე, რასაც ეს უკანასკნელი მარჯვედ იყენებდა სხვადასხვა კონცენსიების მისაღებად ირანის ჩრდილოეთში.

იმისათვის, რათა ჩრდილოეთ ირანის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო, მეფის მთავრობამ საიდუმლო შეთანხმებებით დააყოლია ირანი იმაზე, რომ იგი არავითარ კონცენსიებს აღარ მისცემდა უცხო სახელმწიფოებს ან მათ მოქალაქეებს. ჩრდილოეთ ირანში რუსეთმა მიიღო აგრეთვე მონოპოლიური უფლება ყოველგვარი კომუნიკაციების (გზატყვილების, რკინიგზებისა და სანაოსნო გზების) მშენებლობისა და ექსპლოატაციისა.

ამის შემდეგ მეფის რუსეთი ცდილობდა ძირი გამოეთხარა ინგლისის პოზიციებისათვის სამხრეთ ირანში, რათა განეხორციელებინა სანუკვარი ოცნება — თავისუფალი გასასვლელი მოეპოვებინა სპარსეთის უბეში. ამ მიზნით შემუშავებული იქნა ტრანსირანის რკინიგზის გეგმა რუსული საქონლის გასაზიდად და კაზაკთა რაზმების გადასაყვანად სპარსეთის უბისაკენ.

რუსეთის ესკადრის განადგურებამ ცუსიმის სრუტეში 1904 წელს და 1905 წლის რევოლუციამ შეაფერხა რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა აზიაში და, კერძოდ, ირანში; მეფის მთავრობა იძულებული იყო კომპრომისის გზას დადგომოდა და დათანხმებულიყო გავლენის სფეროებად ირანის დანაწილებაზე ინგლისსა და რუსეთს შორის. „ამ იდეას (გავლენის სფეროების განაწილებისა — ბ. ფ.) უკანასკნელ ხანებამდე არ თანაუგრძნობდა რუსული საზოგადოებრივი აზრი, — წერდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, — და ხელმძღვანელ წრეებში ისეთი რწმენაც კი იყო ვაბატონებული, რომ ირანი მთლიანად უნდა მოექცეს რუსეთის გავლენის ქვეშ და რომ ჩვენ გვმართებს სპარსეთის უბესთან ვაჭრა მთელს ირანზე რკინიგზის ხაზის გაყვანითა და აღნიშნულ უბესთან გამაგრებული პუნქტის შექმნით. უკანასკნელი წლების ამბებმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია საფუძველი მოვუსპოთ ინგლისთან კონფლიქტს, რისთვისაც ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალებაა გავლენის სფეროების გამიჯვნა“.

ასეთი კომპრომისი ინგლისისთვისაც ხელსაყრელი იყო; სხვანაირად იგი ვერ შეაჩერებდა რუსეთის გავლენის შემდგომ გაფართოებას ირანში და ვერ შეინარჩუნებდა თავის პოზიციებს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ინგლის-რუსეთის 1907 წლის შეთანხმებით ირანის ჩრდილოეთი გამოცხადდა „რუსეთის გავლენის სფეროდ“, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კი — „ბრიტანეთის გავლენის სფეროდ“, ხოლო ირანის ცენტრალური ნაწილი ე. წ. „ნეიტრალური“ ზონად დარჩა.³ 1915 წელს ინგლისსა და რუსეთს შორის დაიდო ახალი საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვით ირანი საბოლოოდ უნდა გადაეცეულიყო ამ ორი სახელმწიფოს სრულ კოლონიად. აღნიშნული შეთანხმებით ე. წ. „ნეიტრალური“ ზონა ინგლისის გავლენის სფეროს შეუერთდა; სამაგიეროდ რუსეთმა მიიღო ინგლისის დაპირება, რომ ომის დამთავრების შემდეგ მას ერგებოდა კონსტანტინოპოლი და შავი ზღვის სრუტეების ზონა.⁴ ლენინის

² «Новый Восток». 1926, № 12, стр. 139.

³ М. С. Иванов, Иранская революция 1905—1911 гг., М., 1957.

⁴ А. Н. Нейфин, Советская Россия и сопредельные страны Востока 1918 — 1920 гг., М., 1964, стр. 172.

სიტყვებით რომ ვთქვათ, 1916 წელს ირანი უკვე მთლიანად იქცა კოლონიად.⁵ მიიჩნევედა რა ჩრდილოეთ ირანს თავის პროტექტორატად, რუსეთი აშკარად, ოფიციალურად ითვისებდა ირანის სუვერენიტეტს ირანის ურთიერთობებში სხვა სახელმწიფოებთან. მაგალითად, 1908 წელს, როცა ირანის მთავრობამ რუსეთის წინადადებით ფინანსური მრჩევლები მოიწვია საფრანგეთიდან, რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ფრანგული ფინანსური მისია თეირანში იმოქმედებდა რუსეთის ელჩის რჩევა-დარიგების მიხედვით. 1911 წელს კი რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად გერმანია ვალდებული იყო არ მოეთხოვა ირანისათვის რაიმე კონცესია „რუსეთის ზონაში“. ამგვარად, ირანის სუვერენიტეტსაგან პირველი მსოფლიო ომის წინ აღაფერი დარჩა; კაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები მხოლოდ ვასალები იყვნენ, რომლებიც უცხოელ სუვერენთა ნებას ახორციელებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ირანის ტერიტორია უცხო შეიარაღებულ ძალებს ეჭირათ (ჩრდილოეთში რუსეთის ჯარებს, დასავლეთში — გერმანიას-თურქეთის, ხოლო სამხრეთში — ინგლის-ინდოეთის ჯარებს). თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციას არავითარი ცვლილება არ შეუტანია რუსეთის პოლიტიკაში ირანის მიმართ. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი მილიუკოვი 1917 წლის 16 აპრილს რუსეთის საქმეთა დროებით რწმუნებულს ირანში ატყობინებდა: „სასარგებლოდ მიგვაჩნია ვაუწყოთ შაჰის მთავრობას, რომ სპარსეთის საქმეებში რუსეთი კვლავაც იმოქმედებს სრული ურთიერთშეთანხმებით ინგლისთან და რომ... პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდება“.⁶

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი ტიპის სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე შეუდგა სრულიად ახალი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. ეს პოლიტიკა დაფუძნებული იყო მშვიდობიანი თანაარსებობის, ყველა ხალხისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერის ლენინურ პრინციპებზე. ამ პოლიტიკამ დასაბამი მისცა ირანის სუვერენიტეტის აღორძინებას. ცნობილი ირანელი პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ტაგი-ზადე აღიარებდა, რუსეთში რომ ოქტომბრის რევოლუცია არ მომხდარიყო, დღეს ირანი არ იარსებებდაო.⁷

საბჭოთა რუსეთი იმთავითვე აქტიურად გამოვიდა ირანის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის დასაცავად. სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვა „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსულმანისადმი“ ირანის შესახებ აცხადებდა, რომ რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულება ირანის დანაწილების თაობაზე გაუქმდა, რუსეთის ჯარი გამოყვანილი იქნებოდა ირანიდან და ირანელებს ეძლეოდათ შესაძლებლობა გაენხორციელებინათ თავიანთი ბედის თავისუფლად განსაზღვრის უფლება. მართლაც, 1917 წლის 21 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ ლენინის თავმჯდომარეობით განიხილა ირანიდან რუსეთის ჯარის გამოყვანის საკითხი, 23 დეკემბერს კი რუსეთის

5 В. И. Ленин, соч. IV, изд. 27, стр. 37.

6 Н. Л. Рубинштейн, Внешняя политика Временного правительства, стр. 15—16.

7. ტაგი-ზადე, ავიალე ენგელაბ ვა მარშრუთიეტ, თეირანი, 1938, გვ. 66.

მთავრობამ უკვე წარუდგინა პეტროგრადში ირანის საქმეთა რწმუნებულს ასად-ხანს აღნიშნული ჯარის ევაკუაციის პირობები. განსაკუთრებით საყურადღებო იყო 1918 წლის 14 იანვრის ნოტა, რომელშიც საბჭოთა მთავრობა აცხადებდა თავის განზრახვას, ყოველი ღონე ეხმარა, რათა ირანი განთავისუფლებულიყო თურქეთისა და ინგლისის ჯარებისაგან.

ამგვარად, საბჭოთა რუსეთი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ ჰოთონ ამყარებდა ნორმალურ, სუვერენიტეტის პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ირანთან. იგი ცდილობდა, რომ ირანის სუვერენიტეტისათვის პატივი ეცათ სხვა სახელმწიფოებსაც. კერძოდ, აქეთკენ იყო მიმართული საბჭოთა რუსეთის დახმარებაც თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი. ირანისადმი მუდამ აგრესიულად განწყობილი ოტომანთა იმპერიის ნაცვლად თურქეთის რესპუბლიკის წარმოშობამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ირანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის განმტკიცებას მის დასავლეთ საზღვარზე. ასევე, საბჭოთა რუსეთის დახმარებით ავღანეთმა 1921 წელს თავი დააღწია კოლონიურ დამოკიდებულებას ინგლისისაგან და კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა ირანთან. ეს ორი ფაქტი იმას ნიშნავდა, რომ ირანი თავისი საზღვრების 3 ათას კილომეტრზე განთავისუფლდა უცხოური ინტერვენციის საფრთხისაგან.

ყოველივე ეს, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ირანის სუვერენიტეტის სრულ აღდგენას; მთავარი დაბრკოლება ჯერ კიდევ რჩებოდა ინგლისის იმპერიალიზმის სახით: ინგლისმა, ისარგებლა რა რუსეთის ჯარის გაყვანით ირანიდან, არ დააყოვნა და რუსეთთან ომის განაგრძობისა და „ბოლშევიკური შფოთვისაგან ირანის დაცვის“ საბაბით 1918 წელს მთელი ირანის ტერიტორია დააჭერინა თავის ჯარებს. 1919 წლის აგვისტოში მან ირანში ხელისუფლება გადასცა ულტრარეაქციონერს ვოსუფ ედ დოულეს, რომელიც ერთგულად დადგა ინგლისის იმპერიალისტური ინტერესების სადარაჯოზე. ამიტომ გასაკვირველი არ იყო, რომ 9 აგვისტოს დაიდო ინგლის-ირანის ხელშეკრულება, რომელმაც იურიდიულად გააფორმა ირანის როგორც ბრიტანეთის პროტექტორატის სტატუსი. ამ ხელშეკრულებით ინგლისს მიეცა უფლება გაეგზავნა ირანში თავისი მრჩეველები სახელმწიფო მმართველობის განსახორციელებლად, თავისი ოფიცრები — ირანის ერთიანი არმიის შესაქმნელად, ექსპერტები — რკინიგზებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისათვის და ა. შ. თავისი კოლონიზატორული საქმიანობა ინგლისმა თვითონვე დააფინანსა — 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი მისცა ირანს სესხად 70 წლის ვადით.⁸ მოკლედ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ინგლისმა ხელთ იგდო ირანი.⁹

ცნობილია, რომ ირანის ოკუპაცია ინგლისის ჯარის მიერ მიზნად ისახავდა არა მარტო ირანის კოლონიზატორულ დამორჩილებას, არამედ იგი მსოფლიო იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა შეთქმულების ნაწილიც იყო: ინგლის-საფრანგეთის 1917 წლის 23 დეკემბრის საიდუმლო შეთანხმებით, ინგლისი უნდა ყოფილიყო ინტერვენციის ორგანიზატორი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხრე-

⁸ Л. И. Мирошников, Английская экспансия в Иране в 1914—1920 гг., М., 1961, стр. 152.

⁹ В. И. Ленин, Соч., IV изд., 29, стр. 474.

თიდან, მას უნდა დაეპყრო ამიერკავკასია და თურქეთი, ამისათვის კი პლანდარმად ირანი უნდა გამოეყენებინა¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ვოსტუგ ედ დოულეს მთავრობა მტრულ პოლიტიკას ახორციელებდა საბჭოთა რუსეთის მიმართ, ეს უკანასკნელი, ხელმძღვანელობდა რა ირანელი ხალხისადმი მეგობრული გრძნობებით, ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა ირანთან. ირანელი ხალხი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ საბჭოთა რუსეთი მისი ნამდვილი მეგობარი და შემწე იყო. ოქტომბრის რევოლუციასა და სამოქალაქო ომში უცხოელ ინტერვენტებთან რუსეთის მშრომელთა გამიჯნული ბრძოლის მაგალითები უდიდეს მარევილუციურებელ გავლენას ახდენდა ირანელი ხალხის ეროვნული და სოციალური გათვითცნობიერების პროცესზე. ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო, როცა 1920 წლის გაზაფხულზე ირანის აზერბაიჯანსა და გილანში სახალხო აჯანყება დაიწყო. აჯანყებულები მოითხოვდნენ ინგლისელ კოლონიზატორთა განდევნას, დოულეს რეაქციული მთავრობის გადადგომას, დემოკრატიულ რეფორმებსა და საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარებას დაუყოვნებლივ.

ირანელი ხალხის ამ რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობის პირველი შედეგი ის იყო, რომ ვოსტუგ ედ დოულეს მთავრობა დაემხო; იგი შესცვალა მმართველი წრეების ლიბერალური ფრთის მთავრობამ მოშორ რედ დიულეს ხელმძღვანელობით, რომელმაც 1920 წლის ნოემბერში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობისა და საერთოდ კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ. ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ამ მოლაპარაკებას. 10 დეკემბერს მან მიიღო ირანის საგანგებო ელჩი მოშაგარ ოლ მამეღეკი, ხოლო 22 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე მიესალმა ირანთან მომავალი ხელშეკრულების დადებასა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რაც განპირობებული იყო იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხთა ინტერესების ერთობით.¹¹

ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა ამ მოლაპარაკების ჩასაშლელად. იგი მიმართავდა შანტაჟს, მოსყიდვასა და უხეშ მუქარას, მაგრამ ამაოდ: 1921 წლის 26 თებერვალს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ირანის ხელშეკრულება, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან გარანტიებს შეიცავდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ ირანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის წინააღმდეგ (მუხ. 5, 6) შემთხვევითი როდი იყო, რომ ირანის მთავრობამ სწორედ ამავე დღეს გააუქმა ინგლის-ირანის 1919 წლის 19 აგვისტოს არათანასწორუფლებიანი შეთანხმება.

რუსეთ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულება წარმოადგენდა პირველ საბჭოთა ხელშეკრულებას აღმოსავლეთის ქვეყანასთან. ამ აქტის პირველსავე მუხლში საბჭოთა მთავრობა გაუქმებულად აცხადებდა მეფის მთავრობის მიერ ირანთან დადებულ ყველა ტრაქტატს, ხელშეკრულებას, კონვენციასა და შეთანხმებას, რომლებიც ხელყოფდნენ ირანელი ხალხის უფლებებს. ასეთი იყო სწორედ თურქმანხაის ტრაქტატი და მისი დამატება — 1828 წლის 10 თებერვლის განსაკუთრებული აქტი. აგრეთვე მრავალი შეთანხმება კონცესიებზე,

¹⁰ Б. Шумяцкий, На посту советской дипломатии, М., 1960, стр. 7.

¹¹ В. И. Ленин, Полное собр., соч., т. 42, стр. 132.

სესხებზე, სავაჭრო და საბაჟო ურთიერთობებზე და სხვ. საბჭოთა მთავრობის აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო სურვილი „...ეხილა ირანელი ხალხი დამოუკიდებლად, აყვავებულად და თავისუფლად განმკარგავი თავისი ავლადიდებისა...“¹²

ამავე ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ გაუქმებულად გამოაცხადა აგრეთვე მეფის რუსეთსა და მესამე სახელმწიფოებს შორის დადებული ყველა ის ხელშეკრულება, რომლითაც ირანის სუვერენიტეტი ილახებოდა; იგი უარს ამბობდა მონაწილეობა მიეღო ამა თუ იმ ღონისძიებაში, რომელიც გამოიწვევდა ირანის სუვერენიტეტის დასუსტებას ან დარღვევას (მ. 2).

უცხო სახელმწიფოებისაგან ირანის დამოუკიდებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოების თვალსაზრისითაც; ამას მოწმობს მრავალი ფაქტი წარსულიდან.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება რუსეთში უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენად იქცა კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ანტიიმპერიალისტური, განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე; კერძოდ, ირანის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ოქტომბრის რევოლუციით იწყება ირანის განვითარება ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით. ირანელი ხალხის ინტერესები, მისი მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური და კულტურული პროგრესის ინტერესები მოითხოვს, რომ ირანის მთავრობა განუხრელად ატარებდეს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განმტკიცების და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პოლიტიკას, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინათ ფართო გზა გაუხსნა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. უკანასკნელი წლების მოვლენები საბჭოთა კავშირსა და ირანის ურთიერთობათა სფეროში კარგ პერსპექტივებს სახავს ასეთი პოლიტიკის შემდგომი განხორციელებისათვის.

¹² Советско-иранские отношения в договорах, конвенциях и соглашениях. М., 1946, стр. 69.



სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განვითარება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

პროფ. ვ. შანიძე

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ორგანიზაციულად და თვისობრივად არ განსხვავდებოდა მეფის რუსეთში არსებულ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისაგან.

სასამართლოს რეფორმამდე (1864 წ.) საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, მის შემდეგ ასე თუ ისე საფუძველი ჩაეყარა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მეცნიერულ განვითარებას. ამ დროიდან მოყოლებული ცოცხალ პირთა (მათ შორის ფსიქიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის) — შემოწმებას, გვამების და ნივთიერდამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევას აწარმოებენ ქალაქად — საქალაქო ექიმები, მაზრებში — სამაზრო ექიმები, გუბერნიებში — საგუბერნიო ექიმები.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა საექიმო გამგებლობა (Врачебная управа), ხოლო უფრო გვიან კავკასიაში მეფის ნაცვლის კანცელარიასთან არსებული სამოქალაქო მედიცინის სამმართველო, რომელსაც თებერვლის რევოლუციის წინ განაგებდა ექიმი ფ. ლ. ფეხნერი.

1868 წლიდან მედიცინის სამმართველოსთან შეიქმნა სასამართლო მედიცინის და მედიკური პოლიციის ორი მუდმივი თანამდებობა და ექსპერტის თანამდებობა ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევების წარმოებისათვის.

1867 წელს ქ. თბილისში გ. ვ. სტრუვეს მიერ ჩამოყალიბდა ქიმიური ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც ამჟამად მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ნივთიერდამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის განყოფილება. ამის შემდეგ ნივთიერდამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევა წარმოებდა ლაბორატორიაში, ხოლო ქიმიური გამოკვლევები ფარმაცევტების მიერ კერძო აფთიაქებში, რომლის კონტროლი დავალებული ჰქონდა ქიმიურ ლაბორატორიას.

სხვადასხვა დროს ქალაქებში და მაზრებში სასამართლო სამედიცინო მუშაობას ეწეოდნენ ექიმები: ვ. გ. ვამირეკელი (გამრეკლოვი), ს. ო. მრეველი, ი. შ. ილი (მრეველოვი), ა. ს. ბახუტაშვილი (ბახუტოვი), ი. გ. რუდკოვსკი, დ. ს. სტრელკოვი, წ. ი. ტერ-მინასიანი, ა. პროხოროვი, სკი, ნ. ვ. ცერამიშვილი და სხვ.

რევოლუციის წინ კავკასიაში მეფის ნაცვლის კანცელარიასთან არსებულ სამოქალაქო მედიცინის სამმართველოსთან ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევას ექიმი ფ. ლ. ფეხნერის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ფარმაცოქიმიკოსი რ. დ. კუპციისი. ამ დროისათვის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევაში მონაწილეობენ ექიმები: პ. ვ. ვისრევი, გ. ს. ქიქოძე, ი. ი. მალინინი, გ. ი. ბრიძელი (თბილისში), ი. გ. ასათიანი (ახალციხეში),



ა. პ. თუმანიშვილი (ოზურგეთში), ნ. ა. ნიკოლოზიძე (ფოთში) და სხვ.

ადმინისტრაციულად საქართველო იყოფოდა — თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად. თითოეულ გუბერნიაში იყო ერთი საგუბერნიო ექიმი, რომლებსაც ჰყავდათ ორ-ორი თანამემწე, ერთი მათგანი ასრულებდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მოვალეობას. მათ გარდა ძირითად სასამართლო სამედიცინო სასიათის მუშაობას ეწეოდნენ ქალაქის ექიმები თბილისში 4 კაცი, ქუთაისში — 1, ფოთში — 1, და სუხუმში — 4.

თბილისის საგუბერნიო ექიმად მუშაობდა ტ. ს. ქიქოძე, რომელიც ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოში შემავალ 9 მაზრას. ქუთაისში ს. ა. ტყეშელაშვილი, რომელიც ემსახურებოდა დასავლეთ საქართველოში შემავალ 7 მაზრას.

მაზრაში სასამართლო სამედიცინო მუშაობის შესრულება დავალებული ჰქონდათ სამაზრო ექიმებს. ცალკე იყო დამოუკიდებელი ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოლქები. ამრიგად, მთელ საქართველოში სასამართლო სამედიცინო მუშაობას ეწეოდა 34 ექიმი, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 15, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 19 ექიმი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შედის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა სისტემაში და არა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

საქართველოში რევოლუციის შემდეგ სასამართლო სამედიცინო მუშაობას განაგრძებდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სასამართლო-სამედიცინო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა განყოფილების გამგე (გ. ი. ბროძელი) და ერთი თანამემწე. ამ განყოფილებას ევალებოდა საქართველოში მომუშავე სასამართლო სამედიცინო ექსპერტების მეთოდურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, ექსპერტთა დახელოვნება, ლიტერატურით მომარაგება და სხვ.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის პერიფერიული აპარატი მოეწყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით. ყველა ქალაქში, მაზრაში, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მუშაობენ მტატეანის სასამართლო სამედიცინო ექსპერტები (სულ 27 ექსპერტი და 27 ფერმალი და სანიტარი).

1930-31 წლებში განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. შეიქმნა 4 ოლქი 36 რაიონით, 6 მაზრა 17 რაიონით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 5 მაზრა, აჭარის ასსრ 4 რაიონი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 3 რაიონი. ამის მიხედვით შეიქმნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტის 25 სამტატო ერთეული იმ ანგარიშით, რომ ერთი ექიმი მომსახურებოდა 2-6 რაიონს. აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ ოსეთში მუშაობდა თითო, ხოლო თბილისში 2 ექსპერტი, დანარჩენი 20 ექსპერტი განაწილებულ იქნა რაიონების მიხედვით. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ექსპერტთა რაოდენობა თანდათან მატულობდა. 1937 წლისათვის საქართველოში მუშაობდა 46 ექსპერტი, ხოლო ამჟამად მუშაობს 84. აქედან სასამართლო სამედიცინო ექსპერტი 77, სასამართლო ქიმიკოსი 7. მათ უმრავლესობას გავლილი აქვს სპეციალიზაციის ან დახელოვნების ციკლი, სპეციალობის მიხედვით თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების სასამართლო მედიცინის კათედრებთან. სადღეისოდ საქართველოში სასამართლო სამედიცინო

ექსპერტიზა თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

ზოგიერთი ექიმი: ბროძელი, ვიხრევი, ასათიანი, თუმანოვი და ტერნიკო-გოშაოვი დასაბჭოების შემდეგაც აგრძელებდა მუშაობას ამ სპეციალობაში. სხვადასხვა დროს (ძირითადად 1928 წლიდან 1940 წლამდე) თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ სასამართლო საექსპერტო კომისიასთან შეთავსებით მუშაობდნენ სხვა დარგის სპეციალისტები კ. ს. ჯაფარიძე (ტროპიკოლოგი), გ. მ. ოსიპოვი (ქირურგი), ალ. დევიძე (სანიტარული ექიმი) და ი. ი. ტატიშვილი (პათოლოგანატომი). საყურადღებოა, რომ ამ უკანასკნელმა დიდად შეუწყო ხელი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განვითარებას, ამ დარგში მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხების დანერგვა-გადაწყვეტის გზით. უფრო მეტიც, მას დღესაც არა აქვს გაწყვეტილი კავშირი სასამართლო მედიცინასთან და თავისი მდიდარი გამოცდილებით დიდ დახმარებას უწევს სასამართლო მედიცინის ყველა მუშაკს. საკმარისია ითქვას, რომ მისი რედაქციით 1961 წ. გამოიცა სასამართლო მედიცინის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო, რომლის ავტორს ამ ნაშრომის მიხედვით მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წარისხი.

თბილისის სასამართლო სამედიცინო ექსპერტებად მუშაობდნენ: გ. ვ. მათიაშვილი, ვ. ს. შანიძე, რ. რ. გვეტაძე, ქ. რ. აბაშიძე, ვ. ნ. ხომერკი, გ. კ. გერსამია, ალ. ალ. ჯავახიშვილი, ვლ. ნ. ციხისელი, ე. გ. ქორქაშვილი, გ. ე. კალანდაძე, გ. ალ. ჟურჟმაძე, ზ. ი. კაციტაძე, მ. გ. ნინიკაშვილი, ვ. კ. მალრაძე, კ. ს. ლეშკაშვილი, ა. მ. მჟავანაძე და სხვ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან არსებული სასამართლო სამედიცინო განყოფილების ნაცვლად შემდეგში (1928 წლიდან) შეიქმნა რესპუბლიკის მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტის თანამდებობა, რომელიც 1935 წლამდე ეკავა ექიმ გ. ი. ბროძელს. შემდეგში ამ მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა ალ. დევიძეს (1935-1937), 1937 წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა ვ. შანიძე, რომელიც შემდეგში შეცვალა გ. მათიაშვილმა (1946-1959), ხოლო 1959 წლიდან დღემდე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის თანამდებობაზე კვლავ მუშაობს ვ. შანიძე.

1952 წელს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო, რომლის უფროსად დაინიშნა გ. ვ. მათიაშვილი, რომელიც ამავე დროს იყო რესპუბლიკის მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი.

მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროსთან ჩამოყალიბდა შემდეგი განყოფილებები: 1. სასამართლო სამედიცინო ამბულატორია — განყოფილება ცოცხალ პირთა ყველა სახის სასამართლო სამედიცინო შემოწმებისათვის (გამგე ვ. შანიძე, — 1959 წლიდან ქ. აბაშიძე); 2. განყოფილება გვამების სასამართლო სამედიცინო გამოკვლევებისათვის (გამგე რ. გვეტაძე, 1959 წლიდან ლ. პ. ქებაძე) — ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის ქვეგანყოფილებით (გამგე ე. ქორქაშვილი); 3. სასამართლო სამედიცინო ლაბორატორია — განყოფილება ნივთიერმტკიცებათა გამოკვლევისათვის (გამგე ი. გ. თვალჭრელიძე, 1966 წლიდან კ. გ. მათიაშვილი), რომელშიაც შედის შემდეგი ქვეგანყოფილებანი: ა. სასამართლო სამედიცინო (ბიოლოგიური მასალის)



გამოკვლევების საწარმოებლად (ნ. ნ. ჯავახიშვილი, 1965 წლიდან მ. დ. კორვალიძე), ბ. სასამართლო ქიმიური — სასამართლო ქიმიური გამოკვლევების საწარმოებლად (ნ. გ. გიორგობიანი) და გ. ფიზიკურ-ტექნიკური — რენტგენოლოგიური, სპექტროგრაფიული, ფოტოგრაფიული და სხვა გამოკვლევების საწარმოებლად.

1959 წელს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსად დაინიშნა რ. რ. ივეტიძე. 1964 წელს ამ ორგანიზაციას შემოუერთდა დიდი ხნით ცალკე არსებული ე. წ. ქალაქ თბილისის სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა კომისია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო წარმოადგენს პრაქტიკულ, სამეცნიერო და მეთოდურ ხელმძღვანელ ორგანოს საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისათვის, კონტროლს უწევს ექსპერტების მუშაობას.

როგორც ცნობილია, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს, მასში შემავალი განყოფილებების და ცალკეული ექსპერტების მუშაობა განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 1952 წლის 13 ოქტომბერს მიღებული, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შეთანხმებული ინსტრუქციით — „ინსტრუქცია სსრ კავშირში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წარმოების შესახებ“. ამასთან ერთად სსრ კავშირში ყველა სასამართლო სამედიცინო დაწესებულებას მეთოდურ, პრაქტიკულ და სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი და სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. (პროფ. ვ. ი. პროზოროვსკი)

იდეისათვის მთავარ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში მუშაობენ: ბიუროს უფროსი რ. რ. ივეტიძე, განყოფილების გამგეები — ქ. რ. აბაშიძე, ლ. პ. ქებაძე და კ. გ. მათიაშვილი. ქვეგანყოფილების გამგეები: ე. გ. ქორქაშვილი, მ. დ. კირვალიძე და ნ. გ. გიორგობიანი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტები: გ. ე. კალანდაძე, მ. გ. ნინიკაშვილი, ვ. კ. მარაძე, კ. ს. ლეშკაშვილი, რ. ხ. ვირაბოვი, ბ. დ. ჯავახია, ა. მ. მყავანაძე, რ. ი. რუბანოვი, ი. ს. ბაღდასაროვი. ექსპერტი ქიმიკოსები: ნ. კ. ხაზარაძე, ნ. ჩიკვაძე, ნ. ს. სულავა, ი. თ. ბოჭორიშვილი და ნ. ლ. ქიმერიძე.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს მუშაობაში თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს სასამართლო მედიკთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ჩვენთან 1954 წელს ჩამოყალიბდა „საკავშირო სასამართლო მედიკთა და კრიმინალისტთა სამეცნიერო საზოგადოების საქართველოს ფილიალის“ სახელწოდებით, ხოლო შემდეგში (1962 წლიდან) გარდაქმნილ იქნა „საქართველოს სასამართლო მედიკთა სამეცნიერო საზოგადოებად“. იგი დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სასამართლო მედიკებს მეცნიერული ცოდნის ამალგების საქმეში. არსებობის მანძილზე მოწვეულია საზოგადოების 36 სხდომა, რომელზედაც წყაიოთხულია 183 მოხსენება სასამართლო მედიცინის და კრიმინალისტის აქტუალურ პირობებზე. განხილული და შეფასებულია მრავალი ათეული მონოგრაფია, სადისერტაცია ნაშრომი, სახელმძღვანელოები და ცალკეული ნაშრომი. დღევანდლამდე საქართველოს სასამართლო მედიკთა სამეცნიერო.

საზოგადოების 1 წევრმა (ვ. შანიძე) დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2 (ქ. აბაშიძე და რ. გვეტაძე) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და სამმა (გ. ციმაკურიძე, რ. ჭოლოშვილი, თ. მგელაძე) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ერთმა (ვ. უვანია) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ამჟამად საზოგადოების წევრები: გ. კ. კალანდაძე, ლ. პ. ქებაძე, რ. ხ. ვირაზოვი, მ. ნ. ლარბაშვილი, ვ. კ. მალრადე, თ. გ. სიხარულიძე, გ. გ. ბაქრაძე, კ. გ. მათიაშვილი და სხვ. მუშაობენ სასამართლო მედიცინის მნიშვნელოვან საპრობლემო საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტის შემთხვევაში ავტორები წარდგენილი იქნებიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ნაყოფიერად მუშაობენ საზოგადოების წევრები — რ. გვეტაძე და ქ. აბაშიძე.

თავდაპირველად თბილისის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სარგებლობდა თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს პროზექტურით და ამ შენობაში გამოყოფილი ერთი ოთახით, რომლის ბაზაზე მოწყობილი იყო აგრეთვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრა. შემდეგში (1941 წ.) პროზექტურის შენობაში ექსპერტიზას გამოეყო კიდევ ორი ოთახი, ხოლო უფრო მოგვიანებით (1959), სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განკარგულებაში იყო უკვე ექვსი ოთახი. მიუხედავად ამისა, შენობის და მოწყობილობის მხრივ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განიცდიდა მკვეთრ სიციფროვებს, რადგან ამ ბაზაზე მუშაობდა აგრეთვე თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ქალაქის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი შენობა გადაეცა ბიუროს, რომელიც კაპიტალური შეკეთების და მთლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ სავსებით აკმაყოფილებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს და მის ბაზაზე მოწყობილ სასამართლო მედიცინის კათედრას. შენობას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტები, ჰისტოპათოლოგიური და ფოტოლაბორატორიები, ამბულატორია, სალექციო აუდიტორია, ოთახები პრაქტიკული ვარჯიშების ჩასატარებელი და სხვ. ახლო მომავალში ამ შენობას მიუშენდება რენტგენოლოგიურ განყოფილებასათვის საჭირო რამდენიმე ოთახი. ამით მაინც მთლიანად არ არის გადაწყვეტილი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს და სასამართლო მედიცინის კათედრის ბინის საკითხი, რადგან სასამართლო სამედიცინო ლაბორატორია სამი მნიშვნელოვანი ქვეგანყოფილებით მოთავსებულია ცალკე შენობაში ქალაქის სხვა ადგილას, შეროზიას ქუჩაზე მდებარე №10 შენობაში. ამ ნაკლოვანების საბოლოო გამოსწორებისათვის განზრახულია აიგოს სპეციალური შენობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროსათვის, რომლის ბაზაზე იმუშავებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების სასამართლო მედიცინის კათედრები.



პ. თ. სტურუა

ფ. ლომაჯიანი,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი



1929 წელი დიადი გარდატეხის წელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციის დარგში მიღწეულმა სერიოზულმა წარმატებებმა, პირველი კომუნისტური მუხრებისა და საბჭოთა მუხრების განმტკიცებამ, სოფლისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებამ შექმნა პირობები სოფლის მუხრების სოციალისტური გარდაქმნის ტემპების გაძლიერებისა და მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის. დაიწყო მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევა.

ეს ძირეული სოციალისტური გარდაქმნები გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში ხორციელდებოდა. სოფ-

ლის მუხრების მთლიანი კოლექტივიზაცია ნიშნავდა კულაკობის, როგორც უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის, ლიკვიდაციას. რევოლუციის მიერ დამხობილი ექსპლოატატორული კლასებისა და ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებთან ერთად კულაკობა ყველა ღონეს მიმართავდა, რათა ჩაეშალა სოფლის მუხრების მთლიანი კოლექტივიზაციის საქმე. საკომუნისტრო მოძრაობის ზრდასთან ერთად თანდათანობით სულ უფრო ძლიერდებოდა კულაკობის წინააღმდეგობაც. თუ პირველ ხანებში კულაკობა ანტისაკომუნისტრო აგიტაციით და საკომუნისტრო წყობილების შესახებ ათასგვარი ცილისმწამებლური ჭორების გავრცელებით კმაყოფილდებოდა, მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის შემდეგ იგი უკვე იარაღს ისხამს და მიმართავს კლასობრივი ბრძოლის ისეთ მწვავე ფორმებს, როგორცაა ტერორი, მკვლელობა, საკომუნისტრო ქონებისა და ნაგებობათა განადგურება. ზოგ ადგილას კულაკობამ მოახერხა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საშუალო გლეხობის ერთი ნაწილი, მოეწყო ანტისაბჭოთა პოლიტიკური გამოსვლები და შეიარაღებული ბანდიტური გამოსდომები.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა საბჭოთა რევოლუციური კანონიერების შემდგომმა განმტკიცებამ. მართალია, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის, გლეხთა ფართო მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე ხორციელდებოდა, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო კულაკობისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების იმ გამოსდომათა აღ-



მინისტრაციული წესით აღკვეთა, რომლებიც კლასობრივი ბრძოლის ფარგლებს სცილდებოდა და საბჭოთა რევოლუციური კანონიერების უხემ დარღვევაში გამოიხატებოდა.

მთელს ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პერიოდში საბჭოთა რევოლუციური კანონიერების შემდგომი განმტკიცების აუცილებლობა გამოწვეული იყო აგრეთვე იმით, რომ საჭირო იყო სოციალისტური საკუთრების სრულიად ახალი ფორმის — საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცება, მისი დაცვა ანტისაზოგადობრივი ელემენტების მხრივ ხელყოფისაგან.

სწორედ ამ პერიოდში, 1929 წლის ივლისში საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშნა გიორგი თევდორეს ძე სტურუა. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე გ. სტურუას დანიშნა შემთხვევითი არ იყო. 20-იანი წლების ბოლოსათვის მას გავლილი ჰქონდა ლენინური სკოლის პროფესიონალი რევოლუციონერის, თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-შემამულური წყობილების წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლის, ახალი სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის სახელოვანი გზა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულებით, სოციალიზმის ყოველგვარი მტრებისადმი შეურთებლობით, პრინციპულობით და ორგანიზატორული მუშაობის უნარით.

გ. სტურუა დაიბადა 1884 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში, ღარიბი გლეხის ოჯახში. თავისი უფროსი ძმის გ. სტურუას დახმარებით იგი ადრევე განიმსჭვალა რევოლუციური იდეებით და გადაწყვიტა მთელი თავისი ენერჯია ხალხის განთავისუფლების ბრძოლისათვის შეეწირა. 1901 წელს ის შევიდა რსდმპ რიგებში. 1902-1903 წლებში მუშაობდა ბაქოში, მანთაშევის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციურ გამო-

სვლებში, გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. გ. სტურუამ დიდი როლი შეასრულა ბაქოს მუშათა 1903 წლის საპირველმართ დემონსტრაციის მომზადებასა და ჩატარებაში. ეს იყო ბაქოს პროლეტარიატის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლა, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის გადაწყვეტილებით ჩატარდა. გ. სტურუა წითელი დროშით ხელში მიუძღოდა დემონსტრანტებს. ლენინურმა „ისკრამ“ სპეციალურად აღნიშნა ამ დემონსტრაციის დიდი მნიშვნელობა ბაქოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. გ. სტურუა აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე ბაქოს მუშათა 1903 წლის ივლისის გაფიცვაში რომელმაც დასაბამი მისცა კავკასიისა და მთელი სამხრეთ-რუსეთის მუშათა საყოველთაო გაფიცვას. ბაქოს მუშათა ინიციატივით დაწყებულ ამ გაფიცვებს ლენინურმა ისკრამ მაღალი შეფასება მისცა და მას „სამხრეთის მუშათა გრანდიოზული აჯანყება“ უწოდა. ამ გაფიცვამ ცხადყო რუსეთის პირველი რევოლუციის მოახლოება.

ბაქოს მუშათა რევოლუციურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის გ. სტურუა 1903 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს, მაგრამ მამხილებელი მასალების უქონლობის გამო მალე გაათავისუფლეს. პოლიცია დევნას განაგრძობდა. ამიტომ გ. სტურუა იძულებული გახდა ბაქოდან წასულიყო.

1903 წლის დასასრულს გ. სტურუა ბათუმში ჩავიდა და მუშაობა დაიწყო პასეკის ქარხანაში. მან მალე მოიპოვა ჯარხნის მუშათა ნდობა და სიყვარული. 1904 წლის ივნისში გ. სტურუას ინიციატივით მოეწყო პასეკის ქარხნის მუშათა გაფიცვა. 30 ივნისს ის დააპატიმრეს და თვენახევრის პატიმრობის შემდეგ ადმინისტრაციული წესით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ გ. სტურუა არ დაემორჩილა მეფის ხელისუფალთა გადაწყვეტილებას და არალეგალურად ბაქოში გაემგზავრა. ამ დრო-

იდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე გ. სტურუა პროფესიონალური რევოლუციონერის მიმეცხოვრებას ეწეოდა.

ბაქოში ჩასვლისთანავე გ. სტურუა მუშაობას იწყებს ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის არალეგალურ სტამბაში, სადაც პროკლამაციები და სხვა არალეგალური ლიტერატურა იბეჭდებოდა. ამ სტამბაში დაბეჭდილმა ბოლშევიკურმა პროკლამაციებმა და სააგიტაციო ფურცლებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ბაქოს მუშათა 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვის მომზადებისა და ჩატარების საქმეში. 1905-1907 წლების რევოლუციამდე ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული გაფიცვა მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. იგი მუშათა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მუშებსა და კაპიტალისტებს შორის დაიდო პირველი კოლექტიური ხელშეკრულება.

ბაქოს მუშათა 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს რუსეთში. „თქვენ ახალ გამოხმაურებაში, — სწერდნენ პეტერბურგის მუშები ბაქოს მუშებს, — ჩვენ ვხედავთ ფართო მასების იმ რევოლუციური მოძრაობის დასაწყისს, რომელიც საბოლოოდ დაამხობს ჩვენთვის საძულველ თვითმპყრობელობას... დაე ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვა გამაცოცხლებელ მაგალითად იქცეს მთელი რუსეთის მუშათა კლასისათვის“.¹

ეს ასეც მოხდა. სულ რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთში დაიწყო პირველი მძლავრი სახალხო რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია მეფის ძირმომპალი ტახტი.

რევოლუციის დაწყებამ და სწრაფმა აღმავლობამ პარტიის წინაშე დააყენა სა-

კითხი რუსეთის ცენტრში მძლავრი არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დაისვა მას შემდეგ, რაც რსდმპ III ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა „ეზრუნა რუსეთში პოპულარული ორგანოს გამოცემისათვის“.²

1905 წლის გაზაფხულზე პარტიის დავალებით გ. სტურუა გაწვეულ იქნა მოსკოვში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური სტამბის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად.

სტამბა მოწყობილ იქნა მოსკოვის ცენტრალურ რაიონში ლენსაიას ქუჩაზე (№ 55).³ სტამბის ორგანიზატორებმა პოლიციისათვის თვალის ახვევის მიზნით გახსნეს „კავკასიური ხილით სავაჭრო დუქანი“, ხოლო დუქნის სარდაფში გააკეთეს 2 მ. სიღრმის ჭა, საიდანაც თვით სტამბაში მიმავალი ხერელი იწყებოდა. „ხერელში და იმ სადგომში შესვლა, რომელშიც ჩვენ ვმუშაობდით, — წერდა შემდეგში გ. სტურუა, — იმდენად კონსპირაციულად იყო მოწყობილი, რომ ჩვენთან ჩხრეკვაზეც რომ მოსულყვენ, სტამბის აღმოჩენას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ“.⁴


რსდმპ მოსკოვის ცენტრალურმა სტამბამ დიდი როლი შეასრულა. რუსეთის პირველი რევოლუციის მძლავრი აღმავლობის პერიოდში. იგი არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურით უზრუნველყოფდა რუსეთის ცენტრალურ რაიონებს. აქ იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი“, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტის პროკლამაციები. „იმ სიმადლიდან, რომელზეც ახლა ასულია მუშათა კლასი ბეჭდვითი საქმის დაუფლების დარგში, —

¹ Бакинская стачка 1904 года. Сборник документов, М., 1940 г., стр. 44—45.

² Третий съезд РСДМП. Сборник документов и материалов, М., 1955. стр. 19.

³ სტამბა აშკამად მთლიანად რესტავრირებულია და ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის ერთ-ერთ უძვირფასეს რელიქვიას წარმოადგენს.

⁴ Техника большевистского подполья. Сборник статей и воспоминаний, выпуск II, М., -Л., стр. 70.



წერდა შემდეგში ამ სტამბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვ. ნ. სოკოლოვი, — ჩვენი არალეგალური სტამბა ლენინაის ქუჩაზე რაღაც უსაზღვრო პატარად, ისტორიამდელად, „ივანე ფედოროვის საბჭოების“ მსგავსად გვეჩვენება, მაგრამ მან მაინც დიდი სასახლო სექციე გააკეთა. ის წარმოადგენს ერთ-ერთ აგურს იმ საძირკვლისას, რომელზეც აშენდა მუშათა ხელისუფლების უზარმაზარი შენობა⁵.

1906 წლის აგვისტოში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სტამბა ლიკვიდირებულ იქნა. ამის შემდეგ გ. სტურუა პეტერბურგში გადადის და ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების „ვოლნას“, „ვპერიოდის“ და „ეხს“ სტამბებში მუშაობს. მაგრამ მალე კვლავ საჭირო გახდა არალეგალური სტამბის ამუშავება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ლენინაის ქუჩაზე 1905-1906 წლებში არსებული სტამბის მთელი მოწყობილობა მოსკოვის საოლქო კომიტეტს გადაეცა. ახალი სტამბის მოსაწყობად სხვა მუშაკებთან ერთად გ. სტურუაც გაიგზავნა. სტამბა კვლავ „კავკასიური მაღაზიის“ სახით მოეწყო როუდესტვენსკის ბულვარზე. მან თითქმის 8 თვეს იარსება და დიდი სამსახური გაუწია მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციას.

1907 წლის გაზაფხულზე გ. სტურუა პეტერბურგში გადადის. მაგრამ ჩასვლისთანავე მას აპატიმრებენ. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ გ. სტურუა ერთ ხანს მოსკოვში იმყოფებოდა. 1908 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა და არალეგალურად ბაქოში ჩავიდა. სტოლიპინის რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში გ. სტურუა ენერგიულ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ბაქოს მუშებს შორის.

გ. სტურუამ დიდი როლი შეასრულა ბაქოს მუშათა 1914 წლის საყოველთაო გა-

ფიცვის მომზადებისა და ჩატარების საქმეში. ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის დავლებით იგი აწყობდა მუშათა კრებებს და მიტინგებს, ავრცელებდა საავიტაციო ფურცლებს და პროკლამაციებს, მოუწოდებდა მუშებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზტების წინააღმდეგ გამაძვყვეტი ბრძოლისაკენ. „ავენტურის ცნობებით, — ნათქვამია ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის 1914 წლის 7 ივლისის „დადგენილებაში“ — სტურუა იყო „საგაფიცვო კომიტეტის“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური წევრი, აწყობდა და ესწრებოდა მუშათა რწმუნებულების ფარულ კრებებს, რომელიც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა გიორგი სტურუაც, უაღრესად კონსპირაციულ ხასიათს ატარებდნენ⁶.

1914 წლის 26 მაისს გ. სტურუა დააპატიმრეს, ხოლო სექტემბერში ნარიშის მხარის სოფ. ილნოში გადაასახლეს. 1915 წლის გაზაფხულზე გ. სტურუამ სცადა გადასახლებიდან გაქცევა, მაგრამ გზაში შეიპყრეს და უკან დააბრუნეს. 1916 წლის სექტემბრის ბოლოს მან მოახერხა გადასახლებიდან გაქცევა და კვლავ ბაქოში დაბრუნება.

ამ დროისათვის იმპერიალისტური ომით გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ და მუშათა ეკონომიურმა გაჭირვებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ქვეყანა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ახალი რევოლუციისაკენ. გ. სტურუამ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და ბაქოში ჩასვლისთანავე ერთ-ერთმა პირველთაგანმა დააყენა საკითხი მუშათა საყოველთაო გაფიცვის მოწყობის შესახებ. „ჩემი რწმენა ასეთია, — წერდა იგი 1916 წლის 25 დეკემბერს, — რომ დღევანდელ კრიზისში ბაქოს პროლეტარიატმა უდიდესი როლი უნდა ითამაშოს. ეკონომიურმა ჩაგვრამ, ერთის მხრივ სი-

5 В. Н. Соколов. «Партбилет № 0046340», часть вторая, третье издание, стр. 289.
 6 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 34, აღწ. I, ს. 678, ფურც. 134.



ძვირესთან, ხოლო მეორე მხრით ექსპლოატაციასთან დაკავშირებით, ყოველგვარი საზღვარი გადალახა... თუ მოხერხდა ბაქოს პროლეტარიატის დარაზმვა და 1914 წლის მსგავსად საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, — მთელი რუსეთი შეინძრევა და ბაქოელებს გაჰყვება პიტერი, მოსკოვი, ერთი სიტყვით, ის ცენტრები, სადაც ადგილი აქვს მღელვარებას. რევოლუცია თვითონ აკაკუნებს კარებს⁷“.

გ. სტურუა აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვის მომზადებისათვის ბრძოლაში. იგი არჩეულ იქნა „გაერთიანებულ კომისიაში“, რომელსაც გაფიცულთა მოთხოვნების შედგენა დაევა. კომისიამ ეს დავალება წარმატებით შეასრულა, მაგრამ 1917 წლის 16 იანვრის კომისიის მთელი შემადგენლობა (25 კაცი), მათ შორის გ. სტურუა (შენგელაიას გვარით) დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს. ამან გაფიცვა მაინც ვერ შეაჩერა. სხვა მოთხოვნებთან ერთად გაფიცულებმა დაპატიმრებულთა განთავისუფლებაც მოითხოვეს. მუშათა მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველომ კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე დააყენა საკითხი დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ. ამის პასუხად მეფის ნაცვლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა ორლოვმა ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ასეთი მითითება მისცა: „სასურველად მიმაჩნია ოცდახუთი დაპატიმრებულის საქმის გამოძიების დაჩქარება, მაგრამ, რათა ხელისუფლების პრესტიჟი არ დავცეთ, შეუძლებლად მიმაჩნია ყვილას განთავისუფლება. ყოველ შემთხვევაში შენგელაიასტურუა არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნას⁸“.

1917 წლის თებერვლის დასაწყისში გ. სტურუა კვლავ ციმბირში გადაასახლეს. მაგრამ მას გზაში მოუსწრო თებერვლის


რევოლუციამ და განთავისუფლებისთანავე ბაქოში დაბრუნდა.

ბაქოში ჩასვლისთანავე გ. სტურუა აქტიურად ჩაება პარტიულ მუშაობაში. მალე იგი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ხდება. 1917 წლის 10 აპრილს გ. სტურუა არჩეულ იქნა რსდმპ ბაქოს გაერთიანებული კომიტეტის, ხოლო 25 ივნისს ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის წევრად. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ის ენერგიულად იბრძოდა ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელებისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, დაუნდობლად ამხილებდა მენშევიკების, ესერებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლურ პოლიტიკას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბაქოს პროლეტარიატმა მთელს ამიერკავკასიაში პირველმა მიადწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მაგრამ საბჭოთა ბაქოს მდგომარეობა მყარი არ იყო. იგი კონტრრევოლუციის რკალში აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონებსა და დელესტანში. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო საბჭოთა რუსეთთან უშუალო კავშირის დამყარება, იქიდან რეალური დახმარების მიღება და მწვავე სასურსათო კრიზისიდან თავის დაღწევა. ბაქოს საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს წევრად გ. სტურუა არჩეულ იქნა 1917 წლის დეკემბერში) დაიწყო სამხედრო ექსპედიციის მზადება პეტროვსკისაკენ გასალაშქრებლად. გ. სტურუა აქტიურად მონაწილეობდა ექსპედიციის მზადებაში, კერძოდ, მუშათა წითელგვარდიული რაზ-

7 გ. ვ. ხაჭაპურიძე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში, ნარკვევები, 1917—1921 წ. წ. თბილისი, 1938, გვ. 37.

8 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 13, აღწ. 27, ს. 5040, ფურც. 2.



მეზის შექმნაში. იგი ერთ-ერთი რაზმის მეთაურად დაინიშნა. 1918 წლის 20 აპრილს პეტროვსკისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბაქოს მუშათა წითელგვარდიულმა რაზმებმა, მათ შორის გ. სტურუას რაზმმა. პეტროვსკის აღების შემდეგ გ. სტურუას რაზმი დერბენდის ასაღებად გაიგზავნა. ქალაქი აღებულ იქნა. დერბენდის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ გ. სტურუა დაინიშნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში გ. სტურუას რაზმმა დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე ხაზმაზისა და კუბის მშრომელებს.

1918 წლის ივნისში გ. სტურუა დაინიშნა ბაქოს სასურსათო კომისარიატის საგანგებო რწმუნებულად ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა სპეციალური საექსპედიციო რაზმი, რომელმაც მოახერხა ჩრდილოეთ კავკასიაში ხორბლის საკმაო რაოდენობის დამზადება და ბაქოში გადაზიდვა.

ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ გ. სტურუა ბრუნდება ბაქოში და ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფთან ერთად აჩაღებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების აღსადგენად. მაგრამ თურქი დამპყრობლების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ იძულებული გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო. იგი დანიშნული იქნა თერგის საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების მიერ ვლადიკავკაზის დაკავების შემდეგ გ. სტურუა ბაქოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ პერიოდში იგი არჩეულ იყო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად, აგრეთვე „ბაქოს მუშათა კონფერენციის“ პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად.

გ. სტურუა ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ბაქოს მუშათა 1919 წლის მაისის საყოველთაო გაფიცვის მზადებაში. 1919

წლის 9 აპრილს იგი საგაფიცვო კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს, მაგრამ ბაქოს პროლეტარიატის ერთსულოვანი მოთხოვნით მალე გაათავისუფლეს. გ. სტურუა იძულებული იყო კვლავ თბილისში გადასულიყო.

1919 წლის ზაფხულის დასაწყისში მთელს ამიერკავკასიას დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების შემოსევის საფრთხე დაემუქრა. ამ კრიტიკულ მომენტში რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა ამიერკავკასიის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდა. გ. სტურუა აქტიურად მონაწილეობდა ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა, აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა და სომეხმა დაშნაკებმა ჩაშალეს დენიკინის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმე. პირიქით, ისინი სულ უფრო მეტად უკავშირდებოდნენ დენიკინს და ეხმარებოდნენ მას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა მიეწყო საქართველოს მშრომელთა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება და დაემხო მენშევიკური მთავრობა. დასავლეთ საქართველოს რაიონებში აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელად გ. სტურუა დაინიშნა.

გ. სტურუამ დიდი მუშაობა გასწია დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აჯანყების მოსამზადებლად. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის მთელი რიგი სამაზრო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები, შეიქმნა შეიარაღებული რაზმები და სხვ. მაგრამ აჯანყების საერთო ხელმძღვანელი ცენტრის ჩავარდნის გამო საქართველოს მშრომელთა ეს მძლავრი რევოლუციური გამოსვლა მარცხით დამთავრდა. 1919 წლის დეკემბერში გ. სტურუა დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, ხოლო



შემდეგ ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. აჯანყების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მას მკაცრი სასჯელი მოელოდა. მაგრამ 1920 წლის 7 მაისს მენშევიკურ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით მენშევიკებმა ვალდებულება იკისრეს გაეთავისუფლებინათ ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკი და კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია მოეხდინათ. მაისის შუა რიცხვებში გ. სტურუა ციხიდან გაათავისუფლეს.

1920 წლის 20 მაისს მოწვეულ იქნა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სსკართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის შესახებ. არჩეულ იქნა საქართველოს კპ (ბ) პირველი დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა გ. სტურუაც. მაგრამ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ მალე დაარღვია საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება და დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება. 1920 წლის 8 ივლისს გ. სტურუა დააპატიმრეს და აზერბაიჯანში გადაასახლეს.

ბაქოში ჩასვლისთანავე გ. სტურუა აქტიურად ჩაება აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. 1920 წლის 23 ივლისს იგი აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ბიუროს წევრად აირჩიეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში გ. სტურუა მოსკოვში იმყოფებოდა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რევკომის მოთხოვნით იგი დაუყოვნებლივ ჩამოდის თბილისში და მუშაობას იწყებს სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილედ. ამ დროს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდიდა. საქართველოს რევკომმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. 1921 წლის ივ-

ნისში გ. სტურუა მიემგზავრება მოსკოვს რუსეთიდან სასურსათო დახმარების მოსაგვარებლად. მან პირადად ინახულა ვ. ი. ლენინი, რომელმაც დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება საქართველოში სურსათის გაგზავნის შესახებ. ბელადთან შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გ. სტურუაზე. „ვლადიმერ ილიას ძე, — იგონებს გ. სტურუა, — მომესალმა და თავისი ნათელი, ყოვლისმხედველი თვალებით დაჟინებით იწყო ცქერა. შემდეგ შემიკითხა: „რამია საქმე, რით შემიძლია დაგეხმაროთ?“. მე გადავეცი ლენინს მიწერილობა საქართველოსათვის სურსათის გაგზავნის თაობაზე და ამავე დროს მოკლედ მოვახსენე საქართველოში მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ. ლენინმა სწრაფად გამოიმართა მიწერილობა და ყურადღებით ჩაათვალიერა იგი... შემდეგ დადვა ბლოკნოტზე, რომელიც მას ხელში ეკავა... და სწრაფად წააწერა რეზოლუცია... შემდეგ ის წელში გასწორდა და რაღაც განსაკუთრებული ღიმილით მითხრა: „დროს ნუ დაკარგავთ, გაემგზავრეთ ხარკოვს ამხ. ვლადიმირსკისთან და ყველაფერი მოგვარდება“.

1922-1923 წლებში გ. სტურუა მუშაობდა რსფს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილედ და ამიერკავკასიის ფედერაციის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად.

1923-1928 წლებში გ. სტურუა მუშაობდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე საქართველოს სსრ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში: საქართველოს კპ(ბ) თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთი რაიკომის მდივნად, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. იგი ყოველთვის შეურყევ-

ლად. იდგა ლენინურ პოზიციაზე, მგზნება-რედ იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებისათვის, მისი რიგების მონოლითური ერთიანობის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ანტიპარტიული გადახრების მხილებისა და განადგურებისათვის. საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობამ თავის რეზოლუციაში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია გ. სტურუას ხელმძღვანელობით „წარმატებით აწარმოებდა ბრძოლას ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ, მტკიცედ იდგა პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევდა ტროცკისტული ოპოზიციის ანტისაბჭოთა ცდებს“...¹⁰

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშვნის შემდეგ გ. სტურუამ ენერგიულად მოკიდა ხელი რესპუბლიკის სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების განმტკიცებას. 1930 წლის დასაწყისში იუსტიციის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების გაუქმებასთან დაკავშირებით, იგი დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურორად, ხოლო 1931 წლის ივლისში — ამიერკავკასიის სფსრ პროკურორად. ამ საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობისას მან თავი გამოიჩინა, როგორც საბჭოთა იუსტიციის თვალსაჩინო მუშაკმა.

1931 წლის ნოემბერში გ. სტურუა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ მოვალეობას იგი მისთვის ჩვეული მონდომებით ასრულებდა, დაუღალავად იბრძოდა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდისათვის.

1933-1934 წლებში გ. სტურუა მუშაობდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური

საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად, ენერგიულად იღწვოდა პარტიის რიგების მონოლითური ერთიანობის განმტკიცებისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევისათვის.

1934 წლის მარტში გ. სტურუა კვლავ აირჩიეს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1937-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრად. 1938 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გ. სტურუა გაბედულად ჩადგა სოციალისტური სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში და თავის ენერგიას ახმარდა მრისხანე მტერზე გამარჯვების საქმეს. 1942 წლის იანვარში იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

გ. სტურუამ მთლიანად გაამართლა პარტიისა და ხალხის ნდობა. მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის უაღრესად მძიმე პერიოდში იგი პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. იგი განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლის დღეებში, როცა საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას ფაშისტური გერმანიის ჯარების შემოსევის უშუალო საფრთხე დაემუქრა. რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად თავდადებით შრომობდა კავკასიის უღელტეხილების გამაგრებისათვის, იარაღითა და სამომარი მასალებით ფრონტის უზრუნველყოფისათვის, რესპუბლიკის ყველა მატერიალურ და სულიერ ძალთა მობილიზაციისათვის.

1948 წლის მარტში გ. სტურუა გაათა-

¹⁰ საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, ტფილისი, 1929, გვ. 672.

ვისუფლეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და ამავე წლის ივლისში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1952 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მუშაობდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გ. სტურუა საპასუხისმგებლო პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო თანამდებობებზე მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს ის არჩეული იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეთ კომიტე-

ტის წევრად, საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების თითქმის ყველა ყრილობის დელეგატად, პარტიის XIII, XIV და XVII ყრილობების დელეგატად, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრად და სხვ. პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და სხვ.

გ. სტურუამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი იდეალებისადმი ურყევი რწმენა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება.

ს. ი. ქავთარაძე



მოსამართლენო! თქვენს წინაშეა ბრალ-
დებული ფუნტიკოვი, ერთი პიროვნება
არამზადათა იმ ჯგუფიდან, რომლებმაც
სისხლიანი დანაშაულობანი ჩაიდინეს...
ფუნტიკოვის ხელები შეღებოდა რევო-
ლუციონერების, მუშებისა და მუშათა კლასის
დამცველთა სისხლით...

მე ველავ ამ სიტყვის წარმოთქმისას
და ეს იმიტომ, რომ ჩემთვის მეტად ძვირ-
ფასია სსოვნა იმ ამხანაგებისა, რომლებიც
ფუნტიკოვის ხელით დაიღუპნენ. მე ვხე-
დავ სტეფანე შაუმიანის ჩაფიქრებულსა და
ალიოშა ჯაფარიძის ანთებულ თვალებს.
მესმის მათი სიკვდილისწინა კენესა, მათი
უკანასკნელი რევოლუციური ანდერძი: და-
უნდობლად განადგუროთ რევოლუციისა
და მუშათა კლასის ყველა მტერი... მაგონ-
დება ფუნტიკოვის მიერ დახვრეტილი
ამხანაგ რიაზანოვის უკანასკნელი სიტყვე-
ბი: „რას ჩადიხარ ფუნტიკოვ? მე ვიღუ-
პები მუშათა კლასისათვის, შენ კი რას

აკეთებ? გახსოვდეს, დღეს მე, ხვალ კი
შენ“. გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ეს
„ხვალ“ სწორედ დღეს დადგა. ვფიქრობ
აქ, ამ სასამართლოზე უნდა აღსრულდეს
რიაზანოვის სიტყვები, ისინი განსახიერებას
ჰპოვებენ სასამართლოს სამართლიან განა-
ჩენში...

მე ბრალსა ვდებ ფუნტიკოვს საბჭოთა
ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში,
კონტრრევოლუციური გადატრიალების მო-
წყობაში, ტერორისტული აქტების ორგა-
ნიზაციაში, რომელთა მსხვერპლნი გახდ-
ნენ 26 ბაქოელი და 9 აშხაბადელი კომი-
სარი. ამ ბრალდებათა საფუძველზე მოვი-
თხოვ სასჯელის უმაღლეს ზომას... მე მო-
ვითხოვ ფუნტიკოვის სიკვდილით დას-
ჯას.

ასე დაამთავრა თავისი სიტყვა სახელ-
მწიფო ბრალმდებელმა, სსრ კავშირის
უმაღლესი სასამართლოს პროკურორის
პირველმა მოადგილემ სერგო ივანეს ძე
ქავთარაძემ სსრ კავშირის უმაღლესი სა-
სამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსე-
ლელ სესიაზე, რომელმაც 1926 წლის
აპრილში გაარჩია ბაქოს 26 და აშხაბა-
დის 9 კომისრის ვერაგულად დახვრეტის
ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორის,
იმიერკასპიის მხარის ყოფილი კონტრრე-
ვოლუციური მთავრობის თავმჯდომარის,
ესერ ფუნტიკოვის საქმე.

სახელმწიფო ბრალმდებელი მშრომელ-
თა ნებას გამოხატავდა. ამიტომაც იყო,
რომ მისი სიტყვები დამსწრეთა მქუხარე
ტაშმა დაფარა.

საბჭოთა სასამართლომ სახელმწიფო
ბრალმდებლის მოთხოვნის საფუძველზე
ღირსეული სასჯელი მიუზღო არამზადა
ფუნტიკოვს. განაჩენს სიხარულით შეხვდ-
ნენ მშრომელი მასები.

პროლეტარული მართლმსაჯულების

ორგანოებში მუშაობა ერთი ეპიზოდთაგანია სერგო ქავთარაძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ხანგრძლივ და ძნელ გზაზე. იგი რუსეთის სამივე რევოლუციის აქტიური მონაწილეა. მის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. სერგო ქავთარაძე ამ ბრძოლების ერთ-ერთი უმუშაო მონაწილე და აქტიური ხელმძღვანელი იყო. ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღსავსე მისი რევოლუციური წარსული საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

ბავშვობა სერგომ თავის მშობლიურ სოფელში ქუთაისის მაზრის სოფ. ზოვრეთში გაატარა. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში იგი სერიოზულად დააფიქრა ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობამ, გლეხობის დუხჭირმა ცხოვრებამ, ამ უკანასკნელთა უუფლებობამ.

რევოლუციურ მოძრაობაში სერგო 17 წლის ასაკში-ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ჩაება. გულწრფელი ყმა-წილი, რომელიც თავიდანვე ვერ ურიგდებოდა სიცრუესა და ფარისევლობას, არ მალავდა თავის რევოლუციურ განწყობილებას და აშკარად გამოდიოდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

1903 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია სერგო ქავთარაძის ცხოვრებაში. ამ წელს იგი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მთელი თავისი შემდგომი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირა ხალხის კეთილდღეობისათვის დიდი ლენინის პარტიის დაუღალავ ბრძოლას.

სერგო, ჯერ კიდევ გიმნაზიელი, ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მთავრობისსაწინააღმდეგო დემონსტრაციისა, რომელიც 1904 წელს მოეწყო. ამ დემონსტრაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში; ის იყო საშუალო სკოლების

მოსწავლეთა პირველი ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაცია მთელი რუსეთის მასშტაბით. დემონსტრაცია გარეკა პოლიციამ, ხოლო მისი ხელმძღვანელები, მათ შორის ს. ქავთარაძე, გარიცხეს გიმნაზიიდან. ამის შემდეგ ს. ქავთარაძე კიდევ უფრო დიდის ენთუზიაზმით განაგრძობს პარტიულ-რევოლუციურ მუშაობას.

ს. ქავთარაძე რუსეთის პირველი რევოლუციის აქტიური მონაწილეა. 1904 წელს იგი აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შემადგენლობაში. 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში იგი დაუახლოვდა გამოჩენილ პროფესიულ-რევოლუციონერებს მიხა ცხაკაიას, საშა წულუკიძეს, იოსებ სტალინს, ალიოშა ჯაფარიძეს და მათთან ერთად ენერგიულ სააგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. სერგო თავისი ღრმა ცოდნითა და მჭევრმეტყველებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა რევოლუციურად განწყობილ გლეხებსა და მუშებზე. სულ მალე მან მოხვეჭა მარქსიზმის იდეების მგზნებარე „მქადაგებლის“ სახელი (პარტიის მიერ სოფლად დაგზავნილ პროპაგანდისტებს იმერეთის გლეხობა სიყვარულით „მქადაგებლებს“ ეძახდა).

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფელში ახლაც შეხვდებით გლეხებს, რომლებსაც, ს. ქავთარაძე, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, პოპულარული ფორმით განუმარტავდა საზოგადოების რევოლუციური განახლებისთვის ბრძოლის ამოცანებს. ასეთ საუბრებში ს. ქავთარაძეს არაერთი და ორი საათი, ზოგჯერ მთელი დამეგბიც გაუტარებია. გლეხობა დიდის გატაცებით უსმენდა ორატორს, მისი ნათქვამი გულთან მიჰქონდათ, უყვარდათ იგი.

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის თეორიულ და საგანმომცემლო საქმიანობას ძირითადად წარმართავდა გამოჩენილი პროფესიული რევოლუციონერი საშა წულუკიძე, რომელიც

ამავე დროს კავკასიის კავშირის წევრიც იყო. მძიმე ავადმყოფობის გამო საშა ზოგჯერ ვერ ახერხებდა აქტიური მონაწილეობა მიეღო პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი საშა წულუკიძესთან კავშირს ს. ქავთარაძის საშუალებით ამყარებდა. პარტიული ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე საშასთან საუბრების შესახებ უდიდესი სიამოვნებითა და სიყვარულით მოგვითხრობს ს. ქავთარაძე თავის მოგონებებში.

საშა წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაციების დაწერა უმთავრესად კობასა და ტოგოს — იოსებ სტალინსა და სერგო ქავთარაძეს უხდებოდათ. პარტიული მეტსახელი — „ტოგო“ ი. სტალინმა შეარქვა სერგო ქავთარაძეს. როგორც სერგო გადმოგვცემს, ეს მოხდა ქუთაისში, იმ დღეს, როცა ი. სტალინმა თავის მეტსახელად „კობა“ აირჩია.


რევოლუციის პერიოდში ს. ქავთარაძე ხშირად გამოდიოდა სიტყვებით საჯარო კრებებსა და მიტინგებზე, მონაწილეობდა დისკუსიებში მენშევიკების წინააღმდეგ. პარტიული ორგანიზაციის დავალებით წერდა და გზავნიდა კორესპონდენციებს ლენინურ გაზეთ „პროლეტარში“.

ჯერ კიდევ 1905 წლის პირველ ნახევარში რევოლუციურმა მოძრაობამ არნახული გაქანება ჰპოვა და იგი მთელ საქართველოს მოედო. პეტერბურგის, მოსკოვისა და ბაქოს პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნად თბილისის, ბათუმის, ჭიათურისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუშებმა მძლავრი დემონსტრაციები გამართეს. რევოლუციური მოძრაობის სათავეში ბოლშევიკები იდგნენ.

საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ენერგიულმა მუშაობამ მთელი პარტიის ყურადღება მიიპყრო. 1905 წლის აპრილში შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის III ყრილობა, რომელმაც ვ. ი. ლენინის წინადადებით მოიწვიანა მისი ცხაკაიას თანაპროსენება კავ-

კასიაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ. ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, სანიშნოდ მიიჩნია იგი და დაავალა პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს ფართოდ გავრცელებინათ კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება. ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დაახასიათა, როგორც „ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციები“. ასეთ მაღალ შეფასებას რომ აძლევდა ყრილობას, ვ. ი. ლენინს, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში, და გლეხთა უაღრესად აქტიური რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში: გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში და სხვ. ყრილობის მიერ მოცემული შეფასება ამავე დროს ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკების, მათ შორის სერგო ქავთარაძის მოღვაწეობის შესანიშნავი ატესტაციაც იყო.

საქართველოს ბოლშევიკებმა ერთსულოვნად მოიწინეს პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი. ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა პარტიული ორგანიზაციის კრებები, სადაც განიხილავდნენ ყრილობის მუშაობის შედეგებს. ს. ქავთარაძე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა III ყრილობის გადაწყვეტილებათა პარტიულ მასამდე დაყვანაში. 1905 წლის ზაფხულში ქუთაისის მაზრის სოფელ ჯიმისტაროში მოიწვიეს რსდმკ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში შემავალი ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელსაც პროპაგანდისტთა კონფერენცია ეწოდა. კონფერენციას 60-მდე კაცი დაესწრო. იგი მიეძღვნა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და ფართო მასებში მათი პროპაგანდის საკითხებს. ს. ქავთარაძე ამ კონ-



ფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო,

პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის უწინარეს ყოვლისა აუცილებელი იყო ემხილებინათ მენშევიკები, რომლებიც ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ თვით ყრილობისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდნენ ყრილობის დადგენილებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ისინი ხელს უშლიდნენ აჯანყებისათვის ხალხის მზადებას.

საქართველოს ბოლშევიკებმა გამოაშკარავეს მენშევიკების დეზორგანიზატორული მუშაობა. ხალხმრავალ კრებებსა და მიტინგებზე ისინი სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ მენშევიკების ანტიპარტიულ საქმიანობას, ვ. ი. ლენინის მითითებათა თანახმად ამზადებდნენ მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. სერგო ქავთარაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის აჯანყების მომზადებისათვის ბრძოლაში. რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა მასების შეიარაღების ორგანიზაცია მას მიანდო. იარაღის შექმნა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. საქმეს ართულებდა არამარტო სათანადო თანხის უქონლობა, არამედ ისიც, რომ ძნელი იყო იარაღის შოვნა. კიდევ უფრო რთული იყო იარაღის ტრანსპორტირება და შენახვა. მიუხედავად ამისა, პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ეწყობოდა თავდასხმები მეფის არმიის ნაწილების იარაღის საწყობებზე. ეს, ცხადია, მეტად სარისკო იყო და დიდ გამბედაობას მოითხოვდა. სერგო ქავთარაძემ რამდენჯერმე მიიღო უშუალო მონაწილეობა მეფის არმიის ნაწილების იარაღის საწყობებზე თავდასხმაში.

ს. ქავთარაძის ინიციატივით იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა იარაღის შექმნის სხვა სერხიც გამოიწვია. პარტიულ ორ-

განიზაციას აღრიცხული ჰყავდა ისეთი გლეხები, რომელთაც იარაღი ჰქონდათ, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ისინი არ იყვნენ ჩამშულნი საბრძოლო-რევოლუციურ საქმიანობაში. ზემო იმერეთის ცალკეულ სოფლებში დაიგზავნა სპეციალური პირები, რომლებსაც უნდა ჩაეტარებინათ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ასეთ გლეხებთან, რათა მათ ნებაყოფლობით გადაეცათ იარაღი პარტიული ორგანიზაციისათვის. აღსანიშნავია, რომ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი თითოეულ ასეთ გლეხს სპეციალურ წერილს უგზავნიდა. ამ წერილების ტექსტს სერგო ქავთარაძე ადგენდა. ღონისძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო — ბოლშევიკური პარტია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში და გლეხებმა ნებაყოფლობით დაუთმეს მას იარაღი.

ლენინური პარტიის ძლიერების ერთ-ერთი წყარო ისიცაა, რომ იგი არასოდეს უყურადღებოდ არ ტოვებს თავის ღირსეულ შვილებს. პარტია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა იმათ მიმართ, ვინც მეფის საპყრობილეებში იტანჯებოდა, ვისი სიცოცხლეც განსაცდელში იყო. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების არალეგალური რევოლუციური მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი აღსავსეა ცინებებსა და გადასახლებაში მყოფი პარტიული ამხანგებისადმი თავგანწირული დახმარების მაგალითებით. ასეთ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო შესანიშნავი მუშა-ბოლშევიკის, ნიჭიერი პოპაგანდისტისა და ორგანიზატორის გიორგი თელიას განთავისუფლება ქუთაისის ციხიდან, რაც სერგო ქავთარაძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა 1905 წლის 9 ივლისს.

1905 წლის ნოემბერში ს. ქავთარაძემ (გიორგი თელიასთან ერთად), როგორც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დელეგატმა, მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციის მუშაობაში.



დიდ საბრძოლო-ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა სერგო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში. ამ პერიოდში საქართველოს გლეხობამ თავი ისახელა ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლებით და ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მატინაეში. წარმატებები, რომელიც იმერეთ-სამეგრელოს რევოლუციურმა გლეხობამ მოიპოვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში, უთუოდ იყო დაკავშირებული ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, მათ შორის სერგო ქავთარაძის სახელთან.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციურ ორგანიზაციებს. მთელ საქართველოს დამსჯელი ექსპედიციები მოედო. სავლელ სასამართლოები მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ უზრუნველყვით რევოლუციური ძალების ორგანიზებული უკან დახევა, რომელთაც არ უნდა შეეწყვიტათ საარიერგარდო ბრძოლები, მოეკრიბათ ძალღონე და შესაფერის მომენტში ახალი შემართებით გაელაშქრათ დაუნდობელი, მაგრამ უკვე ძირმომპალი ცარიზმის წინააღმდეგ. ასეთი იყო ბოლშევიკური პარტიის ცენტრის მითითება. სერგო ქავთარაძე ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

ჟანდარმერიას მხედველობიდან არ გამოეპარა სერგო ქავთარაძის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა. მას შეუმიჩნეველი არ დარჩა ისიც, რომ შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგაც, როცა მეფის მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა რევოლუციონერების წინააღმდეგ, სერგომ ოდნავადაც არ შეანელა არალეგალური საქმიანობა. ჟანდარმერიის ადგილობრივი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ უსამართლობის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლი. და აი დადგა ასეთი მომენტიც. 1906 წლის იანვარში,

დამით, როცა სერგო პარტიული დავალებით კონსპირაციულ ბინაზე მიდიოდა, იგი შეიპყრეს და წარუდგინეს პოლიციის პოლკოვნიკს, რომელმაც იქვე, საქმის გაურჩევლად, გასცა ბრძანება სერგოს დახვრეტის შესახებ (ქუთაისში იმ დროს საალყო წესები იყო გამოცხადებული). 6 ბადრაგის თანხლებით სერგო წითელი ხიდისკენ გაგზავნეს. ეს ის ადგილი იყო, სადაც ცარიზმის აგენტებმა მრავალი რევოლუციონერი გამოასალმეს წუთისოფელს. თითქოს ყველაფერი დამთავრდა. იქვე წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო, ამას შეიძლება დაეჩქარებინა განაჩენის სისრულეში მოყვანა. გზაში კი შეიძლებოდა რაიმე შემთხვევას ეხსნა იგი-ოდნავ იმედოვნებდა სერგო. და აი, თავის გადარჩენაზე ფიქრი, რაც პირველად თითქმის მიუწვედომელ ოცნებად მიაჩნდა, ახლა თანდათან დაეუფლა სერგოს. „ნუ გეშინია, გიშველით“ — შემოესმა სერგოს მისი პარტიული მეგობრის დულია რევაზიშვილის ხმა. წითელ ხიდამდე 100-150 მეტრიდა რჩებოდა. წუთი და შეიძლება ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრებულიყო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ცდა ბედის მონახვერეა—გაიფიქრა სერგომ და მყისვე შეუდგა უკვე მოფიქრებული გეგმის განხორციელებას: ძლიერი დარტყმით ძირს დასცა ერთ-ერთი ბადრაგი, გადახტა იქვე მცხოვრებ ექიმ ბეთანელის ეზოში და მიიმალა. ღობეზე გადახტომა ვერც კი მოესწრო, რომ გონს მოსულმა მტარვალბემა სროლა ატყუეს: სერგომ, მომაკვდავის მსგავსად, რამდენჯერმე „ვაი!“-ო წამოიძახა და გაუჩინარდა ბნელ ღამეში. მოკვალითო იფიქრეს ბადრაგებმა და სროლა შეწყვიტეს. ხელში მსუბუქად დაჭრილი სერგო კი ბნელი კუთხეებით გზას მიიკვლევდა ცნობილი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის ბინისაკენ. აქვე აღმოუჩინეს მას პირველი სამედიცინო დახმარება.

ქუთაისში მას უკვე აღარ გაეჩერებოდა. მალე არალეგალურად დაბა ხონში გადავიდა. ქუთაისის საგუბერნიო პარტიულმა კონფერენციამ (1906 წლის იანვარი) სერგო ქავთარაძე აირჩია იმ კომისიის შემადგენ-

ლობაში, რომელიც იარაღის შექმნისა და ჩამოტანის მიზნით საზღვარგარეთ უნდა გამგზავრებულიყო. კომისიას იარაღი უნდა შეესყიდა იმ თანხით, რომელიც 1905 წლის დეკემბერში რევოლუციურმა რაზმებმა გაიტაცეს დაბა ყვირილის სახელმწიფო ხაზინიდან. ეს თანხა (210 000 მანეთზე მეტი) პარტიულ ორგანიზაციას გადამალული ჰქონდა ქუთაისიდან 10-ოდე კილომეტრის დაშორებით.

მიუხედავად იმისა, რომ დავალება მეტად ძნელი და სარისკო იყო, სერგო გამალლებით შეუდგა მისი შესრულებისათვის მზადებას. 1906 წლის თებერვალში ის უკვე პეტერბურგს მიემგზავრება. აღნიშნული თანხა მან ბოლშევიკური პარტიის ცენტრთან შეთანხმებით ლეონიდ კრასინს გადასცა; კრასინმა კი მაქსიმ ლიტვინოვის სახელზე პარიზში გადაგზავნა. სერგო ჰელსინგფორსზე გავლით პარიზს გაემგზავრა. ჰელსინგფორსში იგი პირველად შეხვდა ბოლშევიკური პარტიის ბელადს ვ. ი. ლენინს. ბელადმა დაწვრილებით გამოკითხა სერგოს პარტიული მუშაობის შესახებ საქართველოში; მოუწონა მისია, რომლითაც იგი საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა და რამდენიმე პრაქტიკული რჩევა-დარიგებაც მისცა. ვ. ი. ლენინთან შეხვედრამ და მასთან საუბარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა სერგო ქავთარაძეზე. ელენა სტასოვას გადმოცემით თვით ლენინიც კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით (ვ. ი. ლენინთან შეხვედრა ე. სტასოვას საშუალებით მოეწყო). დინჯი, თავდაჭერილი კაციით — უთქვამს ბელადს სერგოს შესახებ.

იარაღის შესყიდვასა და საქართველოში გამოგზავნასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად სერგოს მოუხდა გამგზავრება არამარტო საფრანგეთში. არამედ ბელგიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში.

საზღვარგარეთიდან სერგო 1906 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა. იგი განაგრძობდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის მსხვილ სამრეწვე-

ლო ცენტრში — ბაქოში. უნდა აღვნიშნავთ მალე მიაგნო ს. ქავთარაძის კვალს, რომელიც სტეფანე შაუმიანთან, თომა ჩუბინიძესთან, სტეპკო ინჭკირველთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად დიდ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. სერგო იძულებული გახდა დაეტოვებინა კავკასია და 1908 წელს პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში სერგოს თავი არ დაუნებებია პარტიული მუშაობისათვის. იგი დაუკავშირდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას და აქტიურად ჩაება არალეგალურ საქმიანობაში. 1909 წელს იგი ცოტა ხნით თბილისში ბრუნდება და აქტიურ მონაწილეობას იღებს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გამომგებასა და გავრცელებაში. აქ ის დააპატიმრეს და ამიერკავკასიიდან გაასახლეს. სერგომ ისევ პეტერბურგს მიაშურა. მან მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკური სტუდენტური ჟურნალის „უტრო ჟიზნი“-ს გამომგებაში (გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი), რომელშიც მთავრად წერილი „ს. კვირილსკის“ ფსევდონიმით. 1911 წელს სერგო ისევ დააპატიმრეს. ცარიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივმა ბრძოლამ სერგოს დიდი კონსპირატორული უნარი გამოუმუშავა, რაც თავგზას უბნედა მეფის დამქაშებებს. ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ მალე გაეთავისუფლებინათ იგი პატიმრობიდან.

სერგოს კონსპირაციული ბინა არალეგალური პარტიული მუშაკების ერთგვარ შტაბად გადაიქცა. აქვე ნახა თავშესაფარი ვოლოგდის გადასახლებიდან გამოქცეულმა იოსებ სტალინმა.

1912-1914 წლებში სერგო ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელია და წერს სტატიებს (უმთავრესად პროფმოდრაობის საკითხებზე) „საფირ“-ის ფსევდონიმით.

1915 წელს სერგომ დაამთავრა უნივერსიტეტი და თბილისში ჩამოვიდა. თბილისის ბოლშევიკები ს. ქავთარაძეს იცნობდნენ, როგორც რევოლუციურ ბრძოლებ-

ში უკვე გამოწრთობილ პარტიულ მუშაკს. ამიტომ მან დამსახურებულად მოიხვეჭა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი შესანიშნავი ხელმძღვანელის საპატიო სახელი.

ჟანდარმერიამ პროვოკატორის საშუალებით ამჯერადაც მიაგნო თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალური საქმიანობის კვალს. 1916 წლის აგვისტოში დააპატიმრეს ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების ბირთვი, მათ შორის სერგო ქავთარაძეც (პროვოკატორი შემდეგ გამოძვადანებულ იქნა და ღირსეულადაც დაისაჯა). სერგო ქავთარაძე სხვებთან ერთად მეტეხის ციხეში მოათავსეს. ბრალდებამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. 1917 წლის დასაწყისში მას ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მოუსწრო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ და განთავისუფლდა პატიმრობიდან.

სერგო ქავთარაძის რევოლუციურ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1917 წელს. ციხიდან გამოსვლისთანავე მან დიდი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა ბოლშევიკური პარტიის გარშემო რევოლუციური მასების დასარაზმავად. ამ ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის ანტიხალხური ხასიათის გამოაშკარავება, შემთანხმებლური პარტიების გამცემლური პოლიტიკის მხილება. მაგრამ საქმეს აძნელებდა ის, რომ ახალ პირობებში ზოგიერთმა ბოლშევიკურმა კომიტეტმა და პარტიის თვალსაჩინო წევრმა არასწორი პოზიცია დაიკავეს დროებითი მთავრობისა და შემთანხმებლური პარტიების, პირველ რიგში მენშევიკების მიმართ. სერგო ქავთარაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ როცა ბოლშევიკური პარტიის ზოგიერთი თვალსაჩინო მოღვაწე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მენშევიკებთან ორგანიზაციული გაერთიანების მომხრე იყო, იგი, თავიდანვე სწორ, ლენინურ პოზიციაზე იდგა

და მენშევიკურ პარტიასთან ყოველგვარი გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდა.

1917 წლის 12 მარტს ს. ქავთარაძე სიტყვით გამოვიდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა მენშევიკების პოზიცია.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომენტი-სათვის საქართველოს ბოლშევიკებს არ გააჩნდათ თავიანთი გაზეთი. ბეჭდვითი ორგანოს გარეშე კი შეუძლებელი იყო პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის წარმატება, ძნელდებოდა მასებთან უშუალო კავშირის დამყარება. გაზეთის შექმნისათვის აუცილებელი იყო სახსრები, გამოცდილი კადრები, ამდენად იგი დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს ბოლშევიკებმა წარმატებით გადალახეს ეს დაბრკოლებანი. 1917 წლის მარტიდან თბილისში გამოსვლა იწყო ყოველდღიურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ“, რომელიც შემდეგ გახდა პარტიის თბილისისა და კავკასიის სამხარეო კომიტეტების ორგანო. ამ გაზეთის რედაქტორი სერგო ქავთარაძე იყო. გაზეთის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: მისხცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე და სხვ. განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა გაზეთის რედაქტორს უხდებოდა. ამ ამბების მომსწრე ძველი ბოლშევიკი მალაქია ტროშელოძე ერთ-ერთ თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ამხანაგი სერგო ქავთარაძე მიღურსმულივით იჯდა პაწაწინტელა სარედაქციო „ბუღკაში“ და თავაულებლად მუშაობდა, წერდა... მოწინავეებს, ასწორებდა ჯარისკაცთა კორესპონდენციებს და ხშირად კორექტურასაც თითონ აკეთებდა.. ოთახი ისე პატარა იყო, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევდა, შიგ კი გამოუღვევლი იყო ხალხი. თამბაქოს ბოლსა და ყურთასმენის წამლებ საერთო ჟრიაშულში, სერიოზა გულდასმით წერდა



ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მოწინააღმდეგეთ ცეცხლს უკიდებდა“.

„კავკასსკი რაბოჩი“ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მშრომელებში. მუშები, ჯარისკაცები და გლეხები გაზეთის რედაქციას უგზავნიდნენ მისალმებებს, კორესპონდენტებს და მატერიალურად ეხმარებოდნენ მას. ყოველივე ამაში უთუოდ დიდი იყო სერგო ქავთარაძის დამსახურება.

სერგო ქავთარაძის სტატიებში მხილებულია შემთანხმებლური პარტიების მოღალატური ტაქტიკა. იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალურ-ისტორიულ რევოლუციაში გადაზრდის ლენინური იდეის ფართო პროპაგანდას ეწეოდა.

მიხაკაიასთან, ფილიპე მახარაძესთან და სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად სერგო ქავთარაძემ ნაყოფიერი მუშაობა გასწია ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების პროპაგანდისა და პარტიის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

სერგო ქავთარაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯარისკაცთა შორის მუშაობას. იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით კავკასიის ფრონტისა და თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა კრებებსა და მიტინგებზე. ჯარისკაცები დიდი ინტერესით უსმენდნენ მას. სერგო ქავთარაძე სიტყვით გამოვიდა კავკასიის არმიის პირველ ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა.

ჩვენს ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარტიის ყრილობას, რომელიც 1917 წლის ივლის-აგვისტოში გაიმართა. ყრილობამ პარტიას მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყება, სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა. ამ ყრილობას, როგორც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატი, ესწრებოდა ს. ქავთარაძეც. მან ყრილობას მოახსენა, თუ რა მუშაობას ეწეოდნენ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციები კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ სერგო

ქავთარაძე გამოდის მოხსენებებით ყრილობის შედეგების შესახებ. ასეთივე მოხსენებით გამოვიდა იგი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეთო ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის დამდეგს გაიმართა. ყრილობამ სერგო ქავთარაძის კავკასიის სამხარეთო კომიტეტის წევრად აირჩია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, აქ შექმნილი ისტორიული ვითარების შედეგად, ძალაუფლება დროებით შერჩათ კონტრრევოლუციურ პარტიებს: მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებსა და სხვ. ამ პარტიათა ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შეიქმნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ემხილებინათ ამ მთავრობათა კონტრრევოლუციური ბუნება, მათი ანტიხალხური პოლიტიკა. სერგო ქავთარაძე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში. იგი ენერგიულად მუშაობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციურმა პარტიებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ნაციონალისტური ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო — ამიერკავკასიის სეიმი. იგი მიზნად ისახავდა გაეძლიერებინა ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის ჩამოცილება საბჭოთა რუსეთისაგან. სეიმის გახსნის წინაღობებში ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით დაარბიეს ბოლშევიკური ორგანიზაციები; დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი“. ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში შემოიღეს სამხედრო წესები.

პარტიის კავკასიის სამხარეთო კომიტეტმა და საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მკაცრი პროტესტი გამოთქვეს ამიერკავკასიის სეიმის შექმნის წი-

ნაალმდგე. 1918 წლის 10 თებერვალს, სეიმის გახსნის დღეს, თბილისში ალექსანდრეს ბაღში, ბოლშევიკების ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოეწყო მუშებისა და ჯარისკაცების საპროტესტო მიტინგი. ამ მიტინგის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით კონტრრევოლუციონერთა ხროვამ ტყვია დაუშინა მიტინგის მონაწილეებს. სერგო ქავთარაძე სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს. ამის შედეგე საქართველოს ბოლშევიკები არალეგალურ მუშაობაზე გადადიან.

1918 წლის ზაფხულში ს. ქავთარაძე, პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთ სხვა წევრთან ერთად, ქ. ვლადიკავკაზში გადავიდა. ვლადიკავკაზში სამხარეო კომიტეტის სამოქმედო ფარგლებში შედიოდა. აქ ის, ფილიპე მახარაძესთან, სილიბისტრო თოდრიასთან და სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად, აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. სერგო ქავთარაძე აირჩიეს ქ. ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. მან ენერგიული მონაწილეობა მიიღო სამხარეო კომიტეტის ორგანოს „კავკაზსკაია პრავდას“ გამოცემაში.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელების ბრძოლის მატინანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია დუშეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. იგი 1918 წლის ივნისში მოეწყო. აჯანყებულმა გლეხობამ, ბოლშევიკების მეთაურობით, ხელთ იგდო ძალაუფლება და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყების ჩასახშობად საგანგებო ზომები მიიღო. აჯანყებულთა დასახმარებლად პარტიის სამხარეო კომიტეტმა გამოაგზავნა ს. ქავთარაძე სპეციალური შეიარაღებული რაზმით.

1919 წლის იანვარში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში. დენიკინის თეთრგვარდიული ბანდები საბ-

ჭოთა ხელისუფლებას განადგურებდა. მენშევიკები კონტრრევოლუციონერებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტები და ქვლადიკავკაზს უახლოვდებოდნენ. სერგო ქავთარაძე, რევოლუციურ ძალებთან ერთად, გმირულად იცავდა მტრის ჯარებით ალყაშემორტყმულ ქალაქს.

1919 წლის თებერვალში სერგო თბილისში ჩამოვიდა. მენშევიკურმა ხელისუფლებამ შეიპყრო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლი და 15 თვე მეტენის ციხეში ამყოფა. პატიმრობიდან განთავისუფლდა 1920 წლის მაისში, საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე ს. მ. კიროვი დანიშნა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან ელჩად საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან. ს. მ. კიროვის მრჩევლად კი სერგო ქავთარაძე დანიშნეს.

1921 წლის დამდეგს საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. აჯანყება 11 თებერვალს დაიწყო, მენშევიკურმა მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. სერგო ქავთარაძე კვლავ დააპატიმრეს. იგი ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ბათუმის ციხეში მოათავსეს. პატიმრობიდან განთავისუფლდა 1921 წლის 17 მარტს.

მენშევიკური მთავრობის საზღვარგარეთ გაქცევის დღესვე ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ბათუმისა და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტის პირველი თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე იყო.

რევოლუციური კომიტეტის წინაშე სერიოზული ამოცანები დაისახა. პირველ რიგში აუცილებელი იყო ბათუმის ოლქის განთავისუფლება თურქეთის ჯარებისაგან. მრავალი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ თურ-



ქი ასკერებისაგან ბათუმის ოლქის განთავისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ს. ქავთარაძის სახელთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სერგო ქავთარაძე საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობდა. 1921-23 წლებში სერგო ქავთარაძე აყო საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი, სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარე. 1923-1924 წლებში იგი თურქეთშია სსრ კავშირის წარმომადგენლობის მრჩეველად. შემდეგ, სერგო როგორც ზემოთ ითქვა, მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის პირველ მოადგილედ.

თავისი ცხოვრების დიდ გზაზე სერგოს მქონდა ცალკეული შეცდომებიც. ერთხანს იგი თბოზიციას მიემხრო, მაგრამ მალე დატოვა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრა და კვლავ აქტიურად ჩაება სოციალისტების მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. სხვადასხვა დროს ს. ქავთარაძე მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შუა აღმოსავლეთის განყოფილე-

ბის ვამგედ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ. დიდი სამამულო ომის წლებში და ომის დამთავრების შემდეგ ს. ქავთარაძე მონაწილეობდა მოსკოვის, იალტის, პოტსდამისა და პარიზის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. 1945-1952 წლებში იგი იყო სსრ კავშირის სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში. აქ სერგო დააჯილდოვეს რუმინეთის რესპუბლიკის 1 ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს სერგო ქავთარაძის ღვაწლი; იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სერგო ქავთარაძეს წილად ხვდა ბედნიერება თავისი თვალით ეხილა ის გრანდიოზული მიღწევები, რაც საქართველოს სსრ რესპუბლიკამ მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

1955 წლიდან სერგო ქავთარაძე პერსონალური პენსიონერია. იგი შეძლებისდაგვარად კვლავ მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გულის კარნახით



ძნელი სათქმელია, რა უფრო ამოძრავებს ადამიანს პროფესიის არჩევისას, მისწრაფება თუ გულის კარნახი, ალბათ ორივე ერთად. დგას ადამიანი ცხოვრების გზაჯვარედინზე, სამი კი არა, უამრავი გზის დასაწყისში. ზღაპრებისა არ იყოს, მარჯვნივ წახვალ... პირდაპირ წახვალ... მარცხნივ წახვალ... და შერე სულ ივლი, ცხოვრების რთულ გზაზე.

სწორედ ასეთ გზაჯვარედინზე იდგა ოცდაათიან წლებში ნიკოლოზ გრიგორის ძე მიქაძე და სწორედ რომ გულის კარნახით დაადგა ცხოვრების ძნელ გზას. ძნელს იმიტომ, რომ იურისტობა რთული და კეთილშობილური საქმიანობაა. ადამიანს ეხმარები, ხელს უწყობ ცხოვრების სწორი გზის არჩევაში. ვინ იცის რამდენი ადამიანი გადაურჩენია ნიკოლოზ მიქაძეს, რამდენი

წაბორძიკებული წამოუყენებია ფეხზე და სწორი, ნათელი გზა უჩვენებია, თქვენ წარმოდგინეთ ყველანი ახსოვს, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც მისულა მის სამუშაო ოთახში. ბევრი მათ შორის სასახელოდ შრომობს დღეს, ზოგმა კი ვერ გაამართლა იმედი. რას იზამ.

ნიკოლოზ მიქაძე 56 წლისაა. ეს არც თუ ისე მცირე ასაკია, მაგრამ იგი მხნედ არის, ახალგაზრდული ენერჯით დაუღალავად შრომობს.

— ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ, — ამბობს ნიკოლოზ მიქაძე და იღიმება, — სიბერე მერე მოდის, უსაქმოდ რომ გაჩერდება კაცი.

ოციან წლებში პირტიტველა ჭაბუკი პირველად შეეჭიდა ცხოვრებას.

1920 წელს ნიკოლოზ მიქაძე თბილისის მეორე შრომის სკოლაში იწყებს სწავლას, რომელსაც 1931 წელს ამთავრებს და მუშაობას იწყებს თბილისის მაუდ-კამფოლის ფაბრიკაში საქსოვი საამქროს აღმრიცხველად.

1932 წელს განხორციელდა მისი დიდი ხნის ოცნება. სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

გადიოდა დღეები, თვეები. ნიკოლოზ მიქაძე მთელი მონღომებით ეწაფებოდა იურიდიულ მეცნიერებას. მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა თეორიულად მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად გამოიყენებდა.

დადგა ეს ნანატრი დროც. 1937 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ

პროკურორის ბრძანებით იგი დაინიშნა ტყიბულის რაიონის სახალხო გამომძიებლად. ორი წელიც არ უმუშავია ამ თანამდებობაზე, რომ დააწინაურეს და იმავე რაიონის პროკურორის თანაშემწედ გადაიყვანეს.

კეთილსინდისიერ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მალე ნიკოლოზ მიქაძეს ვაჟდავთ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1940 წელს იგი გადაყვანილი იქნა საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწედ, ხოლო 1952 წელს კი მას ნიშნავენ საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსად, სადაც დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

ნ. მიქაძე დაუტყობლად იღწვის სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, ამოწმებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა პირობებს, აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად წერს წარდგინებებს.

ნ. მიქაძე არის განსახიერება მაღალი პრინციპულობისა, მომთხოვნი და უკომპრომისო არამარტო მუშაკების მიმართ, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის, საკუთარი საქმიანობის მიმართ.

ნ. მიქაძის ინიციატივით თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილება ხშირად აწყობს პატიმართათვის „კითხვა-პასუხის საღამოებს“, რომელშიც თვითონაც იღებს აქტიურ მონაწილეობას.

მისი კეთილსინდისიერი შრომა უყურადღებოდ არ დარჩენილა. მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მრავალი მადლობა.

ნ. მიქაძის გულმხურვალე სიყვარული და

ზრუნვა თავისი საქმისადმი დააფასეს მისმა კოლეგებმა. ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა აღნიშნეს ნ. მიქაძის პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 30 წელი.

რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა იუბილარის ცხოვრებასა და წარმატებებზე, რასაც მან მიადწია 30 წლის განმავლობაში.

პ. ბერძენიშვილმა პროკურატურის ორნოებში კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნ. მიქაძეს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და სახელმწიფო დაწესებულების, პროფკავშირისა და რესპუბლიკის პროკურატურის საპატიო სიგელი.

საღამოზე გულთბილი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სწდს საპატიმრო ადგილების უფროსმა მ. ქურდაშვილმა, რესპუბლიკის პროკურატურის ადგილკომის თავმჯდომარემ ვ. გოგუაძემ და სხვ.

მადლიერმა კოლეგებმა ნ. მიქაძეს მიულოცეს სახელოვანი იუბილე და ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვეს სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ნ. მიქაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

და დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ზეიმობს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნ. მიქაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჩვენ გვწამს, რომ მისი საქმიანობა კვლავაც ნათელი საწყისის გამარჯვების ცოცხალი მაგალითი იქნება.

ვუსურვებთ ნ. მიქაძეს ახალ წარმატებებს თავის დიდ და კეთილშობილურ საქმეში.

ა. ვაყელიშვილი

ნაქრები

მ ო თ ხ რ ო ბ ა *

მინდელმა უეცრად შესწყვიტა საქმის ფურც-
ვლა და ჯიქურ მიაჩერდა პატიმარს.

— ჩარგივე! — დაიწყო მინდელმა ყოველგვარ
შესავლის გარეშე — მე გონი ღრთა გვა-
თავით კომედია და ვალიაროთ ყოველივე, თქვენ
უნდა გესმოდეთ, რომ სიჯიუტეს ვნების მოტანა
შუქლია მხოლოდ.

პატიმარს თვალეზი აენთო და სიძულელით
შეხედა გამომძიებელს.

— თუ ამ უაზრო კითხვის მოსაცემად ამო-
მიყვანეთ, ტყუილად გარჯილხართ, ნომწყინდა
ერთი და იგივე კითხვებზე პასუხის გაცემა —
ბრაზიანად თქვა მან.

— კეთილი, გვათათო, ჯერ ტყეშელიაძისა და
ჩიკვაიაძის მკვლელობის შესახებ გვიამბეთ, შემ-
დეგ კი ძველი საქმეებიც გავიხსენოთ, გეუბნე-
ბით აზრი აღარა აქვს ჯიუტობას.

— არავითარი დანაშაული მე არ ჩამიდენია,
არც ჩემი წარსულია რითიმე შებღალური, რამ-
დენჯერ უნდა ვითხრა?

— მაშ იხევე ამტიციებთ, რომ ჩარგივეი
ხართ?

— ღიას და ძალიანაც მივირის რატომ არ მო-
გწონთ ჩემი გვარი.

— კეთილი, ასე იყო, მაშინ ჩვენ სხვა სახე-
ლი გვინტერესებს. აი ის, ქურდებმა რომ შე-
გარქვეს.

— ნე მოვიტხოვ შეწყვიტოთ ჩემი შეურაცხ-
ყოფა. აქ რაღაც გაუგებრობაა, ვილაცაში გერე-
ვით.

— საოცარია. ნე კი სხვა მეგონეთ, სრულიად
სხვა წყნარად შენიშნა მინდელმა.

— ვინ სხვა? — გაიკვირვა ჩარგივემა.

— „ჩერქეზი სამკა“ — ლითონივით ცივი
ხმით დამარცვლა გამომძიებელმა.

გასროლა მიზანს მოხვდა.

— ჩერქეზი? წამოიყვია პატიმარმა და უეც-
რად დაჰკარგა მოგონილი სიმშვიდე, შემდეგ
შლეგიანივით წამოიჭრა სკამიდან, აკანკალებუ-
ლი ხელით პაპიროსს წაებტანა და ერთი მოქაჩ-
ვით შუამდე დაიყვანა.

— მშვიდად ჩარგივე, თამაში დამთავრდა —

მეცარად შენიშნა ფეხზე წამომდგარმა მინდელ-
მა და გამსჭვალავად შეხედა.

გამომძიებლის ბავიდან წარმოთქმულმა ორმა
სიტყვამ გამანადგურებლად იმოქმედა პატიმარ-
ზე, ერთბაშად დაეკარგა ცივი გამოხედვა, სახე
მოექცა, თვალები საოცრად მოერღვა, მიცვა-
ლებულივით გაფითრდა და შუბლი ოფლის
მსხვილმა წვეთებმა დაუნამა.

მინდელი თვითონაც არ მოელოდა ასეთ შე-
დეგს, დაკვირვებით მიაჩერდა ნირწამხდარ პა-
ტიმარს. ჩარგივეი თითქოს გამოერკვა, მოწყვე-
ტილ დაეშვა სკამზე, ხელებით მუხლებს დაე-
ჭინა და შეეცადა უნებურად ატეხილი კანკალი
შეეჩერებინა.

მინდელმა წყალი დაასხა და უსიტყვოდ შეს-
თავაზა.

ჩარგივემა ზედაც არ შეხედა ჭიქას, ისევე პა-
პიროსს მოუყიდა, შემდეგ სახეზე ხელი გადის-
ვა, სკამზე ერთბაშად შესწორდა, თვალეზში
კვლავ რისხვა ჩაიღვარა და საკმაოდ მტიციე-
ხმით წარმოთქვა:

— ღიას, ჩემი თამაში დამთავრდა, მაკობეთ.
მაგრამ მინდა ვიცოდე ვინ გამცა, შემდეგ კი
გეტყვი, ყველაფერს ვიამბობთ, რადგან აზრი
აღარ აქვს, სულ ერთია.

მინდელს რატომღაც არც ესიამოვნა ჩარგივე-
ის ასე ერთბაშად მოტეხვა, გაკვირვებით გა-
დახედა უეცრად შეცვლილ პატიმარს.

— ვინ გამცა მეთქი? — ბრაზიანად გაიმეორა
ჩარგივემა.

— კითხვებს აქ მე ვიძლევი ჩარგივე, მაგრამ
რაკი ასე გაინტერესებთ. თითებზე დაიხედეთ და
თვითონვე მიხვდებით ვინც გაგცათ — დინჯად
შენიშნა გამომძიებელმა.

ჩარგივეი განცვიფრდა.

რა შუაშია აქ ჩემი თითები? — იკითხა მან
და ხელეზზე დაიხედა.

— თქვენ ფრჩხილები გლენურად მოირთეთ,
სახეც გრიმში დამალეთ, მაგრამ ფრჩხილებმა,
დაკენტილმა ფრჩხილებმა გაგცათ, ქირურგი-
გრძელიც არც ისე მიამიტი აღმოჩნდა თქვენ
რომ გეგონათ.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1966 წ. № 3, 4, 5, 6; 1967 წ. № 1, 2, 3, 5.



ჩარგევმა ხელები გადმოაბრუნა. დაკვირვებით შეათვალიერა დაკვნიტილ-დამახინჯებული ფერხილები.

— მაშ ექიმი უნდა ვუმაღლოდ ჩემს ჩავარდნას? კიდევ უფრო განცვიფრდა იგი.

— რა თქმა უნდა ექიმსაც — გაეღიმა გამომძიებელს.

— მაგრან სახელი. „საშკა ჩერქეზი“, ამას ხომ ექიმი ვერ გეტყვია.

— გვიხარა მან, ვინც თქვენთან ერთად ჩაიღინა ბოროტმოქმედება — მიუგო მინდელმა მტკიცედ.

ჩარგევმა ბოროტად გაიღიმა

— რასაკვირველია, თუ ქურდებმა ერთმანეთის გაყიდვა დაიწყეს, ხოლო ექიმებმა გამომძიებლობა, ჩანს ჩვენი საქმე მართლაც წასულა, მაგრამ ვი მას ვინც „საშკა ჩერქეზი“ ახსენა, მე იმას...

— საქმეს დავუბრუნდეთ ჩარგევ — შეაწყვეტინა გამომძიებელმა.

— მე მზად ვარ, რა გაეწყობა, მაჯობეთ — ავად გაიღიმა პატიმარმა.

— იქნებ ქართულ ენაზე ისტრუვით ჩვენების შიციმ? — მოულოდნელად ქართულად შეეკითხა მინდელი და თვალი თვალში გაუყარა.

ჩარგევმა თვალი გაუსწორა გამომძიებელს, შემდეგ ხრინწიანი ხმით გაიცინა.

— ასე იყოს, არც ამის დაშალვას აქვს აზრი, ჩემი და გრძელიძის საუბარი ისედაც ცნობილია თქვენთვის — უბასუხა ქართულად.

— კეთილი, მაშ დავიწყეთ.

— დავიწყეთ — უმაღლესად ჩარგევი.

— პირველ რიგში თქვენი ნამდვილი ვინაობა დაასახელოთ, თქვენ ხომ ჩარგევი არა ხართ — დამარცხდა მინდელმა.

ჩარგევმა კვლავ ცივად გაიღიმა.

— რა თქმა უნდა, არც ვაპირებ ჩემი გვარის დამალვას.

კეთილი, დაასახელოთ თქვენი ნამდვილი გვარი.

— ინებეთ, ჩემი გვარი კოკოევია, ალექსანდრე სუმბათის ძე კოკოევი, ქ. თბილისში დავიბადე, მშობლები ადრე დამეხოცა, 16 წლისა ქურდების ბანდაში მოვხვდი და მას შემდეგ ამ საქმიანობას ვეწევი.

— სად ცხოვრობთ მთელი ეს წლები?

ჩარგევი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— გეტყვით, ყველაფერს ვიამბობთ, ორი წელი თბილისში ვინმე რუბენასთან, შემდეგ კი 1940 წელს, როცა ჰქვნი ბანდა გაანადგურეს, როსტოვში გავყვევი რუბენას, იქაც ორი წელი ვიცხოვრე, შემდეგ ხარკოვში, ბოლოს მოსკოვში. იქ დამიპირეს, რუბენა კი მოკლეს. „საშკა ჩერქეზი“ როსტოვში შემარტყეს.

— რამდენჯერ ხართ ნასამართლევი?

— ორჯერ, ორჯერვე მოსკოვში, პირველად

ერთი წელი მომცეს, მეორედ 1943 წელს 8 წლით გამისტუმრეს.

— სასჯელი მოიხადეთ?

— მოვიხადე. 1951 წელს განვთავისუფლდი.

— შემდეგ?

— შემდეგ მოსკოვში დავბრუნდი და ჩარგევის გვარით ხარკოვს ვეწევი.

— სად იშოვეთ პასპორტი?

— ვიშოვე, ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ეს პასპორტი საესეებით საიმედო გამოდგა. 2 წელი დავყავი ხარკოვში, შემდეგ ვილნიუსში წავიდი, იქ გავაგრძელე ჩემი საქმიანობა.

— ქურდობა?

— ქურდობა, ვთამაშობდი კიდევ.

— თქვენ ვინდათ დავგარწმუნოთ, რომ მთელი ეს წლები ერთხელაც არ ჩავარდით?

ჩარგევის თვალებში ბოროტი ელვა გამოკრთა.

— ვითომ რატომ არა? თქვენ მე ვილაც ბაცაცა ხომ არ გგონივართ, ესეც არ იყოს გარდა ორიოდ საიმედო ქურდისა არავინ იცოდა ჩემი ვინაობა, არც მეტი სახელი, მუდამ ვფრთხილობდი, მაინც გაუფრთხილებლობამ დამლუბა. კიტოვანმა და ბალავაძემ შემთხვევით გაიგეს ჩემი სახელი.

— ვინ გავაცნოთ კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი?

— უცნაურ კითხვას მაძლევეთ, ჩვენ არავის წარდგენა არ გვკვირდება, მაშ რაღა ქურდები ვართ თუ ერთმანეთსაც ვერ მოვძებნით?

— სად გაცნაით ერთმანეთს.

— ივანისელს ვილნიუსში, კიტოვანს და ბალავაძეს კი თბილისში.

— როდის?

— ივანისელი შარშან, დანარჩენი ორი კი დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

— როდის ჩამოხვედით თბილისში?

— 26 დეკემბერს.

— მარტო?

— ასე ვთქვათ, ივანისელი რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა.

— რა იყო თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— არავითარი განსაკუთრებული მიზანი არ მქონია.

— მაინც?

— თბილისში არაფერი. ტანიაშ წყალტუბოში წასვლა გადაწყვიტა და წამოვიდი.

— ბასაკოვასთან ერთად?

— არა, ტანია წყალტუბოში ჩამოვიდა. ბეკი რამდენიმე დღით ადრე წამოვიდი, თბილისში გამოვიარე.

— სად შეხვდით დანარჩენ ბოროტმოქმედებს?

— თბილისში, ივანისელმა გამაცნო.

— თბილისში გადაწყვეიტთ ტყეშელიაძის ბინის გაქურდვა?

— არა, ტყეშელიაძის ბინის გაქურდვა აზრად არ გვქონია, ეგ საქმე შემთხვევით მოხდა.

— მაშინ რა იყო თქვენი ქუთაისში ჩამოსვლის მიზანი?

ჩარგივეი ცოტა ხნით დღმდა.

— მე სრულად სხვა საქმე მქონდა, ერთი კაცი მყავდა სანახავი — მიუვო უხალისოდ.

— ვინ კაცი, დასახელებთ.

— ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ არ ვასახელებ.

— სხვებიც ვინმეს სანახავად წამოიყვანეთ? — შეეკითხა მინდელი დაცინვით.

— სხვები ჩემთან ერთად არ წამოსულან. მე წყალტუბოში ვიყავი. ივანისელი, კიტოვანს და ბალავაძეს აქ შევხვდი — უპასუხა პირქუშად ცრუ ჩარგივემა.

— კარგი, გვიამბეთ რა პირობებში გაძარცვით ტყეშელიაძის ბინა?

ჩარგივემა ცივად გააცინა.

— სიამოვნებით, თუმცა, ბევრი არაფერია საამბობი.

— ქუთაისში სრულიად შემთხვევით ჩიკვაიძეს გადავყვარე, კიტოვანმა გამაცნო. ანზორი პოკერიო იყო გატაცებული, რამდენჯერმე შევხვდი, არ ვიცი ვის ოჯახში. გადავწყვიტე, ანზორი ჩვენს წრეში ჩამეთრია, ორჯერ თუ სამჯერ ვანგებ წუვაზე, შემდეგ კი კარტი ჩავუწყე და ნაღდს გარდა 20000 მანეთი მოუტევე. ჩიკვაიძემ ვალის გადახდის მიზნით მისი ბიძის ბინის გაქურდვა შემოგვთავაზა, წინასწარ გვითხრა სად იყო ონახული 25.000 მანეთის სამპროცენტთან მიღვაციებით. შევთანხმდით. ანზორმა ფანჯარა ჩაურახავი დასტოვა, თვითონ კი სოფელში წავიდა. მისი აზრით, ყველაფერი ქურდებს დაბრალდებოდა და ჩვენს ვალსაც პატიოსნად გადაიხდიდა.

სალამოს ქუთაისში ჩამოვედი, არაერთგზის ნაცადი ხერხი გამოვყენე, გლახურად მოვირთე და ჭალარა პარიკი გავიცეთე. წინასწარ გაფრთხილებული კიტოვანი ადგილზე მანქანით მოვიდა, ბალავაძე და ივანისელიც მოვიყვანა. ჯერ გავჯვარდი, მაგრამ კიტოვანმა დამარწმუნა, რომ მანქანის პატრონი საიმედო კაცი იყო და დავთანხმდი. მანქანა უკეთესიც იყო, ცრუ კვალზე დაგვიწყებდნენ ძებნას. გვიან ღამით ოთხივე წავედით საქმეზე. დანარჩენი თქვენც იცით. ჩიკვაიძის ბიძა შემთხვევით დაბრუნებულიყო თბილისიდან, გაიღვიძა. ივანისელს შეებრძოლა. დასჭრა კიდეც, იმანაც დანა დაარტყა და ფანჯრიდან გადმოვარდა.

ჩარგივეი გაჩუმდა.

— შემდეგ? — შეეკითხა მინდელი.

— შემდეგ რა, დაჭრილი ივანისელი დევიძის

ბინაში მივიყვანეთ. დევიძეს ჩემი შეთხზული ამბავი ვუამბეთ, ხოლო მეორე დღეს მისგან დამალულად ბალავაძეც მის ბინაში მოვთავსეთ.

— რა მონაწილეობა მიიღო დევიძემ თქვენს ბოროტმოქმედებაში?

— დევიძემ არაფერი, მან არც კი იცოდა ვინ იყო კიტოვანი ან ივანისელი.

— ვინ არის მანქანის პატრონი?

— არ ვიცი.

— იცოდა თუ არა რისთვის მიგყავდათ მანქანა?

— მე ის არ მინახავს, კიტოვანის თქმით კი არ იცოდა, ეგონა სამტრედიის მიდითადა კიტოვანი.

— ვინ მოგვით წერილი?

— რა წერილი? გაუკვირდა ჩარგივეს.

— წერილი, რომელიც დევიძის ქალს მიუტანეთ.

— მე არავითარი წერილი არ მიმიტანია.

— იცნობთ თუ არა დევიძის ქმარს?

— არა. არც ის ვიცოდი თუ ქმარი ყავდა.

— კეთილი, რისთვის მოჰკალით ჩიკვაიძე?

ჩარგივეი წამით დღმდა, შემდეგ მიმიღე და იწყო:

— შეიძლება თქვენ არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩიკვაიძის სიკვდილი არც მიფიქრია. ივანისელის დაჭრის გამო ქუთაისიდან ჩვენი წასვლა გადაიდო, დევიძის სახლში მას მარტო ვერ მივატოვებდი, ესეც არ იყო არ ნინდოდა მის გარეშე წაესულიყავით. ერთადერთი კაცი, ვისაც შეეძლო გარკვეული ცნობები მოეწოდებინა თქვენთვის, ტყეშელიაძის ბინის გაძარცვისა და თვით ტყეშელიაძის მკვლელობის შესახებ, ჩიკვაიძე იყო. მართალია, მან ჩვენი ნამდვილი გვარი და სახელიც არ იცოდა, მაგრამ, მაინც ბევრი რამ შეეძლო ეამბო გამოძიებისათვის, ამიტომ გადავწყვიტე შიშქვემ მყოლოდა იგი და იძულებული გამეხადა არაფერი ეთქვა. ვუთვალთვალე. როგორც მოველოდი ანზორი მეორე დღესვე დაიბარეს მილიციაში. გავყვევი, მაგრამ შეხვედრა ვერ მოვახერხე, გადავწყვიტე საღამომდე დამეცადა. მთელი საღამო ტყეშელიაძის სახლის ახლო ვტრიალებდი, სამძიმარზე მოსულ ხალხში, ყველა მომხდარ საქმის ირგვლივ ლაპარაკობდა. მე ყურს ვუვადებდი და მათი საუბრიდან ის დასკვნა გავაკეთე, რომ გამოძიებას ნამდვილი კვალისათვის ჯერ ვერ მივგნო.

ღამის 11 საათზე ჩიკვაიძე სახლიდან გამოვიდა. უკან გავყვევი, ის ისევ მილიციის სამმართველოში მოვიდა. თითქმის 2 საათი ვუცდილი გარეთ, როგორც ქენა გამოვიდა. შევდევნე, შემდეგ ერთბაშად მოვაბრუნე და ავეჯარევი. ანზორი, ცხადია, არ მოელოდა ჩემთან შეხვედრას, ჯერ დაიბნა, შემდეგ კი ყვირილი დააპირა.



— ჩუმად! — გავაფრთხილე მე და ხელი წა-
ვაკლე.

— კიდეც რაღა გინდათ ჩემგან — ძლივს ამო-
იღო მან ხმა.

— ორიოდე სიტყვა მაქვს, აი აქეთ მოვეფა-
როთ — მივუტე მე მშვიდად და საბავირო გზის
სადგურისაკენ წავიყვანე. სიბნელეში გავუჩი-
ნარდით, ჩიკვაძე ხმას არ იღებდა. მეც ვლუმ-
დი, რაღაც ვერ მოვახერხე საუბრის დაწყება.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი, ბოლოს უხერ-
ხული ღუმელი თვით ჩიკვაძემ დაარღვია.

— რისთვის მოჰკალით ბიძაჩემი? — შემე-
კითხა ბრაზიანად.

— შენი ბრალია, რატომ მოგვატყუე? —
მივუგე ცივად.

— მკვლელებო, ბანდიტებო... ამოიხრიალა
ანზორმა.

— ჩუმად, არავინ გაიგონოს თორემ...

— თორემ რა? — შემომოიტია მან.

— ის რომ დაგვიჭერენ და...

— დაგვიჭერენ? გზაც იჭითა ვაქეთ.

— ჩუმად შენ გეუბნებიან!

არ გავჩუმდები! — იყვირა ჩიკვაძემ.

— არა, გაჩუმდები შენთვისაც ასე სჯობია.

— ჩემთვის სჯობია? უპროდ გაიმეორა მან.

— ჰო შენთვის... მე არ ვატყუილებ, ბიძა-
შენის მოკვლა ჩვენ ანგარიშში არ შედიოდა,

თვითონვე დავესხა თავს.

— ცრუობ, განზრახ მოჰკალით! მე თქვენ
ყველას... არაფერს დავმალავ, გესმის? ყველა-
ფერს, ყველაფერს ვეტყვი გამომძიებელს,

მკვლელებო, ბანდიტებო — ჩუმად, მაგრამ

მტკიცე ხმით მითხრა ჩიკვაძემ.

„ყველაფერს ვეტყვი“ ამ ორმა სიტყვამ და-
მარწმუნა, რომ ანზორს ჯერ არაფერი ეთქვა
გამომძიებლისათვის და მტკიცედ გადაწყვიტე

გამეჩუმებინა იგი.

— შენ არავის არაფერს ეტყვი ანზორ!

მან ბრაზიანად შემომხედა.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ თუ ეს საქმე გაიხსნა შენ
პირველს დაგიჭერენ.

— დამიჭირონ, მეც ის მინდა.

— არა, არ გინდა, თუ დაგვიჭერენ ჩვენ
ვიტყვით, რომ შენ წავიყვანე ბიძაშენის სახ-
ლის გასაქურდავად და შენვე მოჰკალი იგი,

რადგან გაიღვიძა და გიცნო კიდეცა. გაიგე?

ჩიკვაძე ვამტერდა.

— მე, მე მოვკალი? რას ამბობ? შემეკითხა

ის შეცვლილი ხმით.

— ცხადია და ჩვენ ამას დავიმტკიცებთ, ასე
რომ...

— შენ ვერაფერსაც ვერ იტყვი საზიზღარო,

— ამოიხრიალა ანზორმა და იმავე წამს მის
ხელში დანამ გაიელვა.

წამით დავასწარი, მარცხენა ხელით მივწვდი
დანაინ მარჯვენაში, მაგრამ დანა ვერ გავაგლე-
ბინე.

— ღორივით, ღორივით უნდა დაგკლა, ისე
როგორც ბიძაჩემი დაჰკალით — ჩაისისინა მან
და ისე ღონივრად მიბიძგა, ძლივს შევიმაგრე
თავი თოვლში წაქცევისაგან.

ჩიკვაძე კედელთან იდგა, ოდნავ ეცემოდა
ელექტრო შუქი.

მისმა ბრაზისაგან დამახინჯებულმა სახემ და
ანთებულმა თვალებმა დამარწმუნეს, რომ არ
დამინდობდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე,
მარცხენას მარჯვენა შევაშველე და ღონივრად
დავიქნიე. ჩიკვაძე დახარბაცდა. ამით ვისარ-
გებლემ და სწრაფად გამოვკარ საჩხა. ანზო-
რი მოწყვეტით დაეცა ცემენტის იატაკზე. მეც
თავი ვეღარ შევიკავე და მთელი სიმძიმით და-
ვეცი წაქცულს. უცერად ჩიკვაძე მოეშვა,

ერთბაშად მოუღუდნა და დაქიმული მარჯვენა და
ხრიალი ამოუშვა.

სწრაფად წამოვდექი, ჩიკვაძეს დავწვდი,
გულაღმა ვადმოვაბრუნე და დავინახე, რომ
დანა ტარაძე ქონდა მკერდში გაყრილი. ჩიკ-
ვაძემ ერთიც გაიბრძოლა და მიჩუმდა, სწრა-
ფად გათავდა თავისივე დანაზე წამოგებული.

მე აღარ დამიყოვნებია, ფრთხილად გამო-
ვედი პარკიდან და სწრაფად გავმოხრდი იქაუ-
რობას — დამთავრა ჩარგიემა.

კაბინეტში ცოტა ხნით ღუმელი ჩამოვარდა.

— შემდეგ?

— შემდეგ არაფერი, დანარჩენი თქვენც
იცით.

— იციან თუ არა სხვა ბანდიტებმა რა ვითა-
რებაში მოჰკალით ჩიკვაძე?

ჩარგიევის თვლებში სიბრაზემ გაიელვა.

— არ მომიკლავს გითხარათ, მე მხოლოდ
თავს ვიცავდი, სხვებმა კი ამის შესახებ ნამდვი-
ლად არაფერი იციან.

— თქვენ ტყეშელიაძისაგანაც თავს იცავ-
დით — გესლიანად შენიშნა მინდელმა.

— დიხ, მაგრამ არა მე, არამედ ივანისელი.

— საოცარი თავდაცვაა, ქურდი რომელიც
სხვის ბინაში გაძარცვის ნიშნით შევადა, კლავს
თავის ქონების დამცველს და ამას თქვენ თავ-
დაცვას ეძახით — მკაცრად შენიშნა მინდელმა.

ჩარგიევის არ უპასუხია.

— კარგი — განაგრძო გამომძიებელმა —
როგორ დაუკავშირდით ხოტოველს?

— კიტოვანის საშუალებით. მანვე მითხრა,
რომ ხოტოველი ძველ და სანდო პირია, რო-
მელიც ნაქურდალს ასაღებს.

— პირადად შეხვდით?

ერთხელ კი, მაგრამ შემდეგ არ ვენდე-
წყალტუბოში ტანია გავაცანი, შემდეგ კიტო-



ვანს ტანის მისამართი მივეცი და დავავალე მასთან გამოეგზავნა ხოტოველი.

— სად არის ნაძარცვი ნივთები და ობლიგაციები?

— არ ვიცი, ხოტოველს კითხეთ.

— თქვენ ამტიცებთ, რომ ნაქურდალი ხოტოველს მიჰყიდეთ?

— რა თქმა უნდა, მეორე დღესვე გადასცა კიტოვანსა.

...რამდენად გაჰყიდეთ?

— 2000 მანეთად.

— თანხა სრულად მიიღეთ?

— არა. ხოტოველს ორჯერ იყო წყალტუბოში ტანისთან. პირველად 800 მანეთი ჩამოიტანა, მეორედ ჩემი დეკაეების დღეს 500.

— დანარჩენი?

დანარჩენი 700 მანეთი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა ჩაებარებინა.

— სად და როგორ?

— ისევ წყალტუბოში ტანისთან.

— მაშასადამე, ბასკაკოვამ ყველაფერი იცოდა?

— არავითარ შემთხვევაში — მიუგო ცხარედ ჩარგიევმა, ტანამ არა თუ ეს ამბავი, ჩემი წარსულიც არ იცის. კიტოვანს, ბალავაძეს და ივანისელსაც არ იცნობს. ის მტიციედ არის დაწმუნებული, რომ ხოტოველმა ჩემი ვალი ჩამოუტანა მხოლოდ.

— რა იცოდა ხოტოველმა, როდის უნდა ჩამოეტანა ფული ტანისთან?

— სწორედ იმ ღამეს, როდესაც გრძელიძე თავიდან მოგოშორეთ, კიტოვანს არა მარტო ტანის მისამართი მივეცი, ხოტოველის იქ გამოგზავნის დაწვრილებითი გეგმაც დავუსახე.

— რაში მდგომარეობდა ეს გეგმა?

— ხოტოველს წინასწარ არ უნდა ცოდნოდა როდის უნდა ჩამოეტანა ფული. ვმისობდი თქვენ არ მოეყვანეთ ჩემამდე. ამ მიზნით კიტოვანს ვუბრძანე საქონლის გადაცემისას შეთანხმებოდა ხოტოველს პირობით ნიშანზე და საფოსტო ყუთად დევიძე გამოეყენებინა. ხოტოველს რომ პირველ დღესვე მთლიანად ჩამოეტანა ფული ასეა თქვენთანაც არ იქნებოდა, მაგრამ სიხარბე გამოიჩინა და ახია რაც მოუვიდა — დამათავრა ჩარგიევმა ზიზლით.

— კარგი, დღეისათვის კმარა — დასკვნა მინდელმა და დარეკა.

კაბინეტში სერჟანტი შემოვიდა.

— წაიყვანეთ, მიუთითა გამოძიებელმა პატიმარზე.

ჩარგიევი წამოდგა.

— შეიძლება გთხოვოთ? იკითხა წყნარად.

— რა გნებავთ?

— ყველაფერი რაც მე გითხარით სრული სიბართლეთა, დაწმუნებული ვარ ეჭვი არ გე-

პარებათ, რომ ჩემი ჩვენების შემდეგ სხვებს თუ რაიმე გამოჩნდა იმასაც აღიარებენ, მაგრამ თუ ეჭვი გეპარებათ შეგიძლიათ დამაპირისპიროთ კიდევ, რადგან...

— რჩევისათვის გმადლობთ — ცივად შეაწყვეტინა მინდელმა — უთქვენოდ გადავწყვეტო, როდის ან ვისთან დაგაპირისპიროთ.

— რასაკვირველია, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ვიცი ჩემს ჩვენებას შეამოწმებთ, მოსკოვიდან პირად საქმეს და ყველა დოკუმენტებს გამოითხოვთ, ამას კი ცოტა დრო არ დასჭირდება, ამიტომ გთხოვთ ციხეში გადამიყვანოთ, არ მიყვარს მილიციის საკანში ჯდომა, ციხეში მირჩევნია — მწარედ გაიღიმა ჩარგიევ-კოკოვემა.

— გაჰყევით... ციხეში მაშინ ვაღაგიყვანთ, როდესაც საჭიროდ დავინახავთ.

მინდელი მარტო დარჩა,

ჩარგიევ-კოკოვეის აღიარება ის უკანასკნელი რგოლი იყო, რომელმაც მტიციე ჯაჭვად შეჰკრა მთელი საქმე და ჩადენილი ბოროტმოქმედების სრული სურათი აღადგინა.

შეუბოვარმა ურომამ და უძილოდ გატარებული ღამეებმა თავისი შედეგი გამოიღო, ლიკვიდირებულ იქნა ძველი, ჯერ კიდევ შემორჩენილი რეციდივისტების მეტად საშიში ჯგუფი.

დასადგენი ისლა დარჩა, სად წაიღო ხოტოველმა ნაძარცვი ფასეულობა. მაგრამ მიინდელს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩარგიევთან დაპირისპირების შემდეგ კიტოვანიც ყოველივეს აღიარებდა და შეკრებილ მტიციელების უეჭველობის გამო ბოლოს და ბოლოს ხოტოველიც გატყდებოდა.

მინდელმა კვლავ გულდასმით გადაიკითხა ცრუ ჩარგიევის ჩვენება, თითქოს არაფერი იყო საეჭვო, თვით ჩიკვაძის მკვლელობის ფაქტიც აღარ იწვევდა დავას. „ჭალარას“ ჩვენება ზუსტად ასახავდა დანაშაულის სურათს, მაგრამ გამომძიებელს მისდაუნებურად ეჭვი აწვალედა, რომ ჩარგიევის ჩვენება სრული არ იყო.

მინდელი წამოდგა, ცეცხლგამძლე ყუთიდან აკინძული ტომი გამოიღო და დიდხანს, დაკვირვებით სინჯავდა ავგილობრივის დათვლიერების ფოტო-სურათებს. ჩარგიევის ჩვენებას, დანაზე არსებულ დეფექტს უღარებდა. ყველაფერი ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს.

თოვლისაგან თავისუფალ ცემენტის იატაკს ნათლად ეტყობოდა მცირე გაბარიტის ამოტეხილი ადგილი.

ჩარგიევის ჩვენებამ ლოგიკურად ახსნა არა მარტო დანის ტარზე არსებული დეფექტი, არამედ დარტყმის ის არაადამიანური სიძლიერე,



რამაც ასე განაცვიფრა სამედიცინო ექსპერტი. გამომძიებელმა ისე ნათლად წარმოიდგინა ჩიკვაიძის თავისივე დანახე დაცემის სურათი, თითქოს მოწმე ყოფილიყოს ანზორის სიკვდილისა.

მინდელმა შემდეგ ჩიკვაიძის დედის, ტყეშელიაძის ქვრივის, ლეჟავას და სხვა მოწმეთა ჩვენებებსაც გადახედა. ყველა ერთხმად ადასტურებდა, რომ კუსტარულად ნაკეთები დანა ჩიკვაიძეს ეკუთვნოდა და ტყეშელიაძის მკვლელობის მეორე დღეს ანზორს ქონდა ჯიბეში. ამ ჩვენებებით მხოლოდ ის დასტურდებოდა, რომ ჩარგიევს მართლაც არ ქონდა ჩიკვაიძის მოკვლის განზრახვა. დაუჯერებელი იყო შეუიარაღებელი ჩარგიევი შეხვედროდა ჩიკვაიძეს.

მაგრამ რატომ ასე იოლად აღიარა ყოველივე? ეჭვი აწვალებდა გამომძიებელს და ვერ აეხსნა რათ იყო უქმყოფილო ჩარგიევის ასე სწრაფი გატეხვით.

სისულელეა, ალბათ დავიღალე, ნამდვილად დავიღალე, გადაწყვიტა მან, მაგრამ ეჭვს ნაინც ვერ დასძლია ამან კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება, ნერვულად აიღო ტელეფონის ყურმილი, სწრაფად აკრიფა ციფრები.

— გიორგი ასლანის ძეგ, გამარჯობათ... დიახ, მინდელი ვარ თქვენთან მოსვლა მინდა. პატრიცევმულ დავითს ველი მხოლოდ, თქვენთან არის? მით უკეთესი, დიახ აღიარა; ყველაფერი აღიარა... სწორედ ამ საკითხზე მინდა შეგაწუხოთ... ახლავე მოვიდვიარ.

მინდელმა ყურმილი დადო, პალტო ჩაიცვა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

* * *

ხომერიკი და ბალანჩივაძე დაკვირვებით ყურადღებით უსმენდნენ გამომძიებელს, რომელიც თითქმის 1 საათს მოუხდა საქმის სრული მასალების მოხსენებას.

— მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ჩარგიევმა ასე ადვილად აღიარა ყოველივე — დამატებრა მინდელმა და მოლოდინით მიაჩერდა ორთავეს.

დუმილი პირველად ბალანჩივაძემ დაარღვია.

— ჩემის აზრით აქ საკვირველი არაფერია, როგორც ვვარაუდობდით „საშუა ჩერქეზის“ ხსენებამ დაარწმუნა ცრუ ჩარგიევი, რომ თამაში წაგებული იყო და ამიტომ აღიარა ყოველივე, ეს ქურდ-რეციდივისტების სტილია.

— მეც ასე ვფიქრობ — დაეთანხმა ხომერიკი.

— ეს ყველაფერი სწორია მაგრამ... მინც რატომღაც ეჭვი მეპარება.

— ეჭვი? მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ მის აღიარებას არ ვენდობით, შევამოწმებთ, ხვალვე გაგზავნეთ შეკითხვა კოკოფე-ჩარგიევის პირივეების შესახებ, მისი პირადი საქმე, ფოტოსურათები, დაქტილობარათი და ორივეს საქმეები გამოითხოვეთ და თუ ყველაფერი დამთხვავდება საეჭვოც არაფერი დარჩება.

— დატაცებული ნივთები და ობლიგაციები? — იკითხა მინდელმა.

— ეგ საქმის დამთავრებას ვერ შეაფერხებს. დღესვე დააპირისპირეთ ჩარგიევი ხოტოველთან. საერთოდ ჩარგიევის ჩვენების შემდეგ უდაოა კიტოვანიც აღიარებს ყოველივეს და დაადასტურებს, რომ ნაძარკვი ხოტოველს გადაეცა.

— ხოტოველი შეიძლება გაჯიუტდეს — შენიშნა ბალანჩივაძემ.

— შეიძლება — დაეთანხმა ხომერიკი — მაშინ სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ჩვენი გეგმა. ობლიგაციებს თუმცა ცოტა გვიან მაგრამ უეჭველად აღმოვაჩენთ. ეს მომავლის საკითხია, ახლა კი მაინტერესებს როგორია თქვენი აზრი ქაეყარაძეზე?

მინდელი ცოტახანს დუმდა.

— გიჭირს? გაიღიმა პროკურორმა.

— არ დავიფარავთ, მართლაც მიკვირს. დადასტურებულია, რომ ძარცვა და გრძელის მოტაცება ქაეყარაძის მანქანით მოხდა, მაგრამ მიიღო თუ არა მონაწილეობა დანაშაულში ან იცოდა თუ არა რაიმე დანაშაულის შესახებ ქაეყარაძემ, ამის გალაწყვებით თქმა ჭერჯერობით ძნელია. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ბევრია ქაეყარაძის, როგორც საზიანო ისე სასარგებლო მონაცემები, ვფიქრობ ეს საკითხი კიტოვანის დაკითხვის შემდეგ გადაწყვიტოთ.

— კეთილი, იმოქმედეთ.

ახლა კი წავიდეთ. წარმოთქვა ხომერიკმა და სავარძლიდან წამოიღა.

თავი XII

მინდელის ვარაუდი გამართლდა. ჩარგიევთან დაპირისპირებისთანავე ბალანჩივაძემ, ივანსელმა და კიტოვანმა საესებით აღიარეს დანაშაული, დადასტურეს ჩარგიევის მონაწილეობა და ხალისით მისცეს გამოძიებას დეტალური ჩვენება. არც ერთი ბოროტმოქმედი არ შეეცადა რაიმე დავმალა გამოცემისათვის, მხოლოდ ხოტოველი გაჯიუტდა და კატეგორიულად უარყო ობლიგაციებისა და ორი ოქროს საათის კიტოვანისაგან შესყიდვა.

კიტოვანი ხოტოველის ჩვენებამ აღაშფოთა და ნაწამდე აგინა უშეგერი სიტყვებით, ვიდრე მინდელმა ისევ საქანში არ დააბრუნა.



ქვეყარაძეს მიმართ გამოძიებელმა საქმე წა-
რმოებით შეწყვიტა და ბავშვივით ატირებული
პატიმარი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა, დანა-
რჩენები კი წინასწარ საპატიმრო საგნიდან ცი-
ხეში გადაიყვანა.

გამოძიება თითქმის დასრულდა.

ძალზე მძიმედ განიცადა მინდელმა ტყეშე-
ლიაძის ქვრივთან და ჩიკვაძის დედასთან შეხ-
ვედრა: სიძისა და შვილის დაკრძალვის შემდეგ
ძაბებით მოსილი, ერთბაშად დაბერებული ან-
ზორის დედა, თითქმის ყოველდღე პროკურორ-
თან იჯდა და დაჟინებით მოითხოვდა გამოძიე-
ბის სწრაფად დამთავრებას. გამწარებულ ქალს
დამნაშავეთა საკვდილით დასჯაც მცირე სასჯე-
ლად მიაჩნდა, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ
ბოროტმოქმედნი კიდევ არ იყვნენ დასჯილნი
და გაბოროტებული ყველას ბრალს დებდა
უმოქმედებაში. პროკურორს და გამოძიებელს
ესმოდათ მისი მძიმე მდგომარეობა, ამიტომ ყუ-
რადლებას არ აქცევდნენ უსანართლო ბრალდებ-
ას, უყვავებდნენ და პირდებოდნენ საქმის მალე
დამთავრებას.

და აი. დადავ დრო, როდესაც ორი გაუბედუ-
რებული ქალისათვის გამოძიების მასალები უნ-
და გაცნოთ. მინდელის თხოვნით ანზორის დე-
და და ტყეშელიაძის ქვრივი ხომერიკმა მიიღო,
გამომძიებელი ფრთხილად შეუდგა მათ შემზა-
რებას სიკვდილზე უარესი უბედურების შესა-
ტყობინებლად.

ქალეებზე საქმის გაცნობამ სხვადასხვანაირ-
რად იმოქმედა: ტყეშელიაძის ქვრივი თითქმის
დამუნჯდა, ხოლო ჩიკვაძემ დიდხანს ვერ გაი-
გო რას ამბობდა გამოძიებელი, ხოლო როდე-
საც ყველაფერმა მის შემეცნებადღე მიაღწია,
საზარელი ხმით იკვილა და გულწაუსული სკამი-
დან გადავარდა. მინდელი აფორაიქებული გავი-
და კაბინეტიდან და იმ დღეს მუშაობაც ვერ
წოახტება. დილით ხომერიკსა და ბალანჩივა-
ძეს ეთათბირა. მას მოსვენებას არ აძლევდა პა-
ტიმარ გიორგაძის წერილი და თითონაც არ
იციოდა რატომ ეპარებოდა ეკვი კიტოვანის
ჩვენების სინამდვილეში, თითქმის წერილის შო-
რეულ ჩრდილოეთიდან უცნობმა პატიმარმა ჩა-
მოიტანა. ხომერიკი ჯერ წინააღმდეგი იყო ამ
საკითხის გასარკვევად გამოძიება გაეგრძელე-
ბინათა და თავის მოსაზრებას ასაბუთებდა იმ
ბანაკიდან, სადაც გიორგაძე სასჯელს იხდიდა
უკვე მიღებული პასუხით. ბოლოს ისიც და-
თანხმდა და განარებულმა მინდელმა სასწრა-
ფოდ აფრინა დაშიფრული დეპეშა.

სამი დღის შემდეგ, შორეულ ჩრდილოეთი-
დან მოულოდნელი პასუხი მოვიდა. მინდელი
გაკვირვებული დასცქეროდა გაშიფრულ დე-
პეშას და თვალს არ უეჭვებდა. ხომერიკი და
ბალანჩივაძეც დუმდნენ.

ცნობა რომელსაც ასე მოუთმენლად მოულო-

და მინდელი, სულ ოციოდე სტრიქონისაგან
შედგებოდა, მაგრამ ის რაც ამ სტრიქონებში
ეწერა თავდაყირა აყენებდა მთელ საქმეს. მინ-
დელს არაფრით არ სურდა დაეჭვებინა ცნო-
ბის სინამდვილე, ეკვი შეებერა პასუხის სწო-
რად გაშიფვრაში და ამით განაწყინებულ კაბი-
ტან დარსაძეს მეორედ მოუხდა დეპეშის დაქუ-
შავება. პასუხი იგივე იყო. მაგდანის ოლქის
კოლონიათა სამმართველო იტყობინებოდა, რომ
რეციდივისტების წრეში „საშკა ჩერქეზად“
წოდებული პატიმარი კოლონიიდან გაქცევის
ცდის დროს ტაივამი დაღუპულიყო.

მინდელი უხერხულად ატრიალებდა ხელში,
ფარაჩინა ქალაღს და ისე ჩაიცივებით ჩასცქე-
როდა, თითქმის იქ შეიძლებოდა ეპოვნა თავისი
ვერსიის ასეთი მოულოდნელი დასასრულის მი-
ზეზი.

დუმილი ხომერიკმა დაარღვია და მინდელს
თხოვა ხმამაღლა წაეკითხა მაგდანიდან მიღე-
ბული ცნობა. გამოძიებელმა უხალისოდ წაი-
კითხა:

„თქვენ ა/წ № 18/3 მომართვაზე გაცნობებთ:
მათე ივანეს ძე ჩარგევი მაგდანის ოლქის
შრომა-გასწორებით კოლონიაში არ ყოფილა.
მოთავსებული, რაც შეეხება „საშკა ჩერქეზს“
ასეთი პატიმარი გვარად ვაზგენ მიხეილის ძე
მარკაროვი, რომელსაც უზბეკეთის სსრ უნაღ-
ლესი სასამართლოს 1954 წლის 18-26 მარტის
განაჩენით მისჯილი ჰქონდა 25 წლით პატიმო-
ბა, სასჯელს იხდიდა შრომა-გასწორებით კოლო-
ნიაში. 1955 წლის 10 მაისს მარკაროვა შესძ-
ლო კოლონიიდან გაქცევა და გაურკვეველი მი-
მართულებით მიმალვა. გაქცეულის ძებნა უშე-
დეგოდ დამთავრდა. იმავე წლის 9 აგვისტოს,
ბანაკიდან მე-47-ე კოლონეტრზე, გაუვალ ტაი-
ვამი, მონადირეები წააწყდნენ მგლებისაგან და-
გლეჯილ ადამიანის ჩონჩხის ნარჩენებს. აღმი-
ნისტრაციის მიერ მივლინებულმა სპეციალურ-
მა კომისიამ დაადგინა, რომ ის იყო კოლონიი-
დან გაქცეული პატიმრის, მარკაროვის, იგივე
„საშკა ჩერქეზის“ ჩონჩხი. სათანადო კვლევის
ჩატარებისა და ვინაობის დადგენის შემდეგ
ძელების ნარჩენები და თავის ქალა დამარხუ-
ლი იქნა ტაივამი მისი აღნოჩენის ადგილზე. მა-
გდანის ოლქის შრომა-გასწორებითი კოლო-
ნიის სამმართველოს უფროსი

პოლკოვნიკი ზლოტოვი“.

მინდელმა კითხვა დაამთავრა, ქალაღი სა-
წერ მაგიდაზე დააგდო და ნერვიულად მოჰაჩა
პაპირისი.

— ცნობის სისწორეში ეკვის შეტანა შეუძ-
ლებელია — ყველას აზრი გამოსთქვა პოლ-
კოვნიკმა.

ხომერიკმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია,



შემდეგ თავდახრილ წინდელს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— რას იტყვი, ლევან, იქნებ შეცდით, იქნებ სწორად ვერ გაიგეთ?

მინდელმა თავი ასწია, ერთბაშად აუფარა ახლა სახე — არა, არ შევმცდარვარ, დამიჯერეთ ნამდვილად არ შევმცდარვარ.

— კი მაგრამ ეს ცნობა... დაიწყო ისევ ხომერეკმა.

— ცნობა არის და ამის უარყოფა მე არ შემიძლია, მაგრამ ჩარგივეიც ხომ „საშუა ჩერქეზია“, ესეც არ ნიშნავს სადავოდ, შეიძლება ეს სხვა „საშუა ჩერქეზია“, მაგრამ...

— არა — გააწყვეტინა პოლკოვნიკმა — რეციდივისტებში ასეთი რამ არ ხდება. თითოეულ მათგანს თავისი სახელი აქვს და სხვის სახელს არ დაირქმევს. ან ჩარგივეი მართლაც „საშუა ჩერქეზია“, ან კიდევ... — პოლკოვნიკმა მინდელს გადახედა და სათქმელი არ დაამთავრა.

— ან კიდევ ბალაქაქემ მე თვითონ გამაბა ჩემს მიერვე დაგებულ მახეში და სკვდარი „ჩერქეზის“ შემოჩეხებით ცრუ კვალზე გამოიყვანა — წარმოსთქვა მინდელმა ცხარედ.

— ნუ ცხარობ, ლევან, ასეთი რამ სრულია-

დაც არ არის გამორიცხული — შენიშნა ხომერეკმა წყნარად.

— და არც სათაქილო — დაუმატა პოლკოვნიკმა.

— მე არ გელაგებთ, რომ შესაძლოა მოხდეს ის, რასაც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი მახეში გაბმა გამორიცხულად მიმაჩნია.

— მაშ თქვენ ფიქრობთ „საშუა ჩერქეზია“ გამოქცევა შესძლო და ახლა ჩარგივეის გვართი ჩავარდა? — იკითხა ხომერეკმა.

— ყოველ შემთხვევაში ამ ვერსიის გამორიცხვა ნაადრევეა, მით უმეტეს, იმის შემოწმებას ერთი და იგივეა თუ არა ჩარგივეისა და მარკაროვის პიროვნება, რაღაც 10-15 დღე დასჭირდება — წარმოსთქვა მინდელმა ცხარედ.

— კეთილი, დავუშვათ ჩარგივემა შეძლო შეუძლებელი და გაიქცა, როგორ მოხდა რომ მგლებსაგან დაფლეთილ ადამიანში ჩარგივეი ამოიცნეს.

— გარდა ამისა, „ჩვენს ჩერქეზს“ ხომ მეორე გვარიც აქვს — კოკოვევი, მაგადანიდან მოსულ ცნობაში კი ნხოლოდ ერთი გვარია აღნიშნული.

(დასასრული 1968 წლის პირველ ნომერში)

მკითხველთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და ქუჩნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მიერ დიდი მუშაობის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1968 წლის პირველ ნომერში.

3360 50 333.

6 99/222

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР